ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 თებერვალი **პარასკევი** 2013
№031 (13 947) ფასი 80 თეთრი

# ხუთი ცვლილება პორტუგალიისთვის

მილტონ ჰეიგმა საქართველოს [illegible] ნაკრების შემადგენლო[illegible]



12

# ბასკი მცველი დინამოში



საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდს ბილბაოს ატლეტიკის ყოფილი მცველი უსტარიცი შეუერთდა



უსტარიცი (მარჯვნივ) ლიონელ მესის წინააღმდეგ

3

ფოტო: fcdinamo.ge

# მესის ახალი კონტრაქტი



5

# გერმანიისა და ინგლისის ნაკრებების ისტორიული გამარჯვებები

8-9



# აბრამოვიჩმა გადაიფიქრა



ჩელსის ხელმძღვანელობა მზადაა, ფრენკ ლამპარდს ახალი ერთწლიანი ხელშეკრულება შესთავაზოს

9

ქართული ფეხბურთი

სპეციალისტის აზრი

# თამაში დასწრებაზე

## ოთარ გაბელია: საფრანგეთის ნაკრები კი სულ სხვა რამეა
## ზაზა ზამთარაძე: ნიჭიერებს კარგი ზურგიც სჭირდებათ

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2013 წელი მოგებით დაიწყო, გუშინწინ ალბანეთის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში სტუმრად 2:1 დაამარცხა.

ამ შეხვედრაზე აზრის გამოთქმა სპეციალისტებს ვთხოვეთ, ორი სხვადასხვა თაობის წარმომადგენელს: ოთარ გაბელიასა და ზაზა ზამთარაძეს.

გაბელიას რეგალიების ჩამოთვლას არ შევუდგებით, ბოლოს ის „ზუგდიდში“ მუშაობდა კონსულტანტად, ზამთარაძე კი დავით მუჯირთან ერთად „ზესტაფონის“ მწვრთნელი გახლდათ, მანამდეც უმუშავია უმაღლესი ლიგის არაერთ მოწინავე გუნდში.

მაშ ასე, ალბანეთი-საქართველოს მატჩს სპეციალისტები აფასებენ...



**ზაზა ზამთარაძე:**

- ერთობ პოზიტიურია, რომ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა წელი გამარჯვებით დაიწყო, ფეხბურთელების ფსიქოლოგიისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მოგება თავისთავად უკვე პოზიტივია.

**- ლევან ყენიაზე უნდა გკითხოთ - როგორ შეაფასებდით მის თამაშსა და როლს გუნდის ამ წარმატებაში?**

- ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მან პირველად ითამაშა ეროვნული ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ამ ნაკრებში ყენია ძალიან დიდი ძალაა, ისეთი ფეხბურთელია, მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლია.

**- ისიც ფაქტია, რომ ყენია ჯერ ვერ არის საუკეთესო ფორმაში...**

- ამ ეტაპზე ყენია უფრო ნიჭის ხარჯზე თამაშობს, ერთ-ორ სეზონს გადაბმულად, სტაბილურად რომ ითამაშებს, მერე სულ სხვა ფეხბურთელი იქნება.

**- საქართველოს ნაკრების პირველი გოლის ეპიზოდს როგორ შეაფასებდით?**

- დავით თარგამაძემ კარგად წამოიღო ბურთი, ამის შემდეგ მას ორი არჩევანი ჰქონდა, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ბურთი ყენიას მისამართით გაგზავნა, თუმცა პასი არცთუ გამოზომილი გამოდგა, რის გამოც კონტრშეტევის ფაზა თითქოს დამთავრდა, მაგრამ ყენიამ ნიჭის, ინტელექტის ხარჯზე ბურთი და მომენტი შემოატრიალა, ზუსტი გადაცემა შეასრულა, მათე ვაწაძეც კარგად წამოვიდა ბურთზე -თანამედროვე ფეხბურთში გოლი სხვანაირად არ გადის.

**- ვაწაძეზე უკეთესი ცენტრფორვარდი ამ ეტაპზე გეგულებათ საქართველოს ნაკრებისთვის?**

- ვაწაძეს ჯერ კიდევ იქიდან ვიცნობ, როცა თბილისის „დინამოს“ ძირითადში იწყებდა თამაშს და ასაკის მიუხედავად, ის საქართველოში საუკეთესო ცენტრფორვარდი იყო. ის არის თავდამსხმელი, რომელსაც დასწრებაზე თამაში შეუძლია, შოთა არველაძის შემდეგ ასეთი ჩვენთან ვაწაძის გარდა ჯერ არ გამოჩენილა, ქართველ თავდამსხმელებს რატომღაც არ უყვართ დასწრებაზე თამაში. ვაწაძე ტიპურად მეგოლე ფორვარდია, არაფრისგან შეუძლია გოლის შექმნა. ეს ყველაფერი კიდევ ერთი პოზტივია საქართველოს ნაკრებისთვის. კიდევ თარგამაძე, ოქრიაშვილი, ანანიძე... ჩვენს ნაკრებში არიან საინტერესო ფეხბურთელები.

**- იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ საქართველოს ნაკრებში ფეხბურთელის პრობლემა არცთუ ისე მწვავედ დგას?**

- ვფიქრობ, საკადრო პრობლემა მაინც არსებობს. ვინც ჩამოვთვალე, მართლაც ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, მაგრამ მათ ზურგს უნდა უმაგრებდნენ გამოცდილი, მტკიცე ხასიათის მოთამაშეები, ასეთებიც უნდა გამოჩნდნენ. გუნდის შენება ხანგრძლივი პროცესია.

**- თუ გეგულებათ ისეთი ფეხბურთელი, საქართველოს ამ ნაკრებში რომ არ იძახებენ, მაგრამ მიგაჩნიათ, რომ ეროვნული გუნდისთვის საინტერესოა?**

-ამ ეტაპზე ასეთ ფეხბურთელს ვერ ვხედავ, თუმცა გიორგი კახელიშვილი ნაკრებშიც რომ ვნახოთ, ვფიქრობ, ეს შეიძლება. კახელიშვილი სწრაფი შემტევია, ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში, არაერთხელ უასპარეზია ევროტურნირებზე და მიმაჩნია, რომ ასეთ ფეხბურთელს ერთხელ მაინც უნდა მიეცეს სანაკრებო შანსი.

**ოთარ გაბელია:**

- ჩვენი ნაკრების მეკარეს რაც შეეხება, როინ კვასხვაძეს გაშვებულ გოლში ვერ დავადანაშაულებთ, დარტყმა ახლოდან, მეკარისთვის უხერხული ტრაექტორიით იყო შესრულებული. ამ ბურთზე გამოსვლა მეკარისთვის ძალიან ძნელი იყო, მცველები პოზიციურად სწორად ვერ განლაგდნენ ამ ეპიზოდში. საერთო ჯამში, კვასხვაძემ ალბანეთთან ძალიან კარგად ითამაშა.

**- ნაკრების გუნდურ თამაშზე რა აზრის ხართ?**

- ჩვენებმა იბრძოლეს და ეს შედეგშიც აისახა. სეზონი ჯერ განახლებული არ არის, მაგრამ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა საკმაოდ ნორმალურად წარმოაჩინეს თავი, -არავის გამოყოფა არ მსურს, მთავარია, რომ მოვიგეთ, რაც ძალიან გამიხარდა. როგორც მწვრთნელი, არაერთხელ ჩავსულვარ ალბანეთში და კარგად ვიცი, თუ რა რთულია იქ თამაში.

**- ჩვენი ნაკრების რა ხარვეზები დაინახეთ ალბანეთთან შეხვედრაში? დაცვის თამაშზე რას იტყოდით?**

- პატარ-პატარა შეცდომები იყო და ეს უნდა გამოსწორდეს, თორემ მალე საფრანგეთთან გველის შეხვედრა და ყველას კარგად გვესმის, რომ საფრანგეთის ნაკრები სულ სხვა რამეა.

**- ვაწაძის თამაშს როგორ შეაფასებდით?**

- როცა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ვიყავი, ვაწაძე თურქეთთან მატჩისთვის გამოვიძახე, მაგრამ ტრავმა მიიღო და ვერ ითამაშა. ახალგაზრდულ ნაკრებში ვათამაშებდით როინ კვასხვაძეს, თორნიკე ოქრიაშვილს... ასეც უნდა იყოს, ასაკობრივმა ნაკრებებმა ეროვნული გუნდისთვის უნდა მოამზადონ ფეხბურთელები. ვაწაძე ყოველთვის იყო საქართველოს ნაკრების ამ მწვრთნელის თვალთახედვის არეში, ალბანეთთან გოლის ეპიზოდში ზუსტად ისე მოიქცა, როგორც კარგ ცენტრფორვარდს შეეფერება. ვაწაძე საჯარიმო მოედანში ძალიან სახიფათოა. ისეთი თავდამსხმელი მიყვარს, დასწრებაზე თამაში რომ შეუძლია.

**- დაბოლოს, იმაზეც გკითხავთ, თუ რატომ წამოხვედით „ზუგდიდიდან“...**

- გუნდში ხელფასები გაანახევრეს, „ზუგდიდი“ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, უკეთესი პირობები რომ შემოეთავაზებინათ ჩემთვის, დავრჩებოდი, მაგრამ... მხოლოდ ის არ არის საქმე, რომ ზედა ექვსეულში მოვხდით, ისეთ გუნდში მსურს მუშაობა, რომელსაც ამბიციები აქვს, ექვსეულში სტატისტის როლში ყოფნა კი ნამდვილად არ მხიბლავს...

**დავით თავართქილაძე**



ოთარ გაბელია

ეროვნული ნაკრების მეტოქეები



ბელარუსი-უნგრეთი 1:1

# ბელარუსმა გადაარჩინა, ფინეთს ცოტა დააკლდა

**ბელარუსი-უნგრეთი 1:1**

**0:1 საბიჩი (32), 1:1 ვოლოდკო (58)**

**ბელარუსი: ვერემკო, მარტინოვიჩი, ვერხოვცოვი, ფილიპენკო, ბორდაჩოვი, კისლიაკი (77. ხაჩატურიანი), დრაგუნი (53. ვოლოდკო), პუტილო, ბრესანი, ტრუბილო (46. ბალანოვიჩი), როდიონოვი (78. ხვაშჩინსკი)**

**ისრაელი-ფინეთი 2:1**

**გოლები: 1:0 ბენ ბასატი (2), 1:1 პ. ფორსელი (87), 2:1 რაფაელოვი (90)**

**ფინეთი: მაენპაა, ოიალა, რაიტალა (90. ჰურმე), არკივოუ, მოისანდერი, ოიალა (46. ა. ერიომენკო), რ. ერიომენკო, კოლემაინენი, სპარვი, მ. ფორსელი (73. პ. ფორსელი), პუკი**

ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებების ამხანაგური მატჩების მიმოხილვას "ლელოს" უცხოური ფეხბურთის გვერდებზე წაიკითხავთ, საქართველოს ნაკრების დანარჩენი ორი მეტოქის, ბელარუსისა და ფინეთის შეხვედრების შესახებ კი აქ გიამბობთ.

დავიწყოთ ბელარუსით, რომელთანაც, მართალია, ორივე ოფიციალური შეხვედრა უკვე მოვილიეთ, მაგრამ ეს გუნდი ჯგუფში მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჩვენს უმთავრეს კონკურენტად რჩება და მისი ასპარეზობისთვის თვალის დევნება ყოველთვის საინტერესოა.

ბელარუსები უნგრელებს ამხანაგურად ნეიტრალურ მოედანზე, თურქეთის საკურორტო დაბა ბელექში შეხვდნენ.

უნგრეთის ნაკრებმა 32-ე წუთზე ანგარიში მას შემდეგ გახსნა, რაც **დრაგუნმა** მოედნის ცენტრში ბურთი დაკარგა და **ჟუჟაკმა საბიჩი** დასარტყამ პოზიციაზე გაიყვანა. ამას ბელარუსების გააქტიურება მოჰყვა. მათ შემადგენლობაში ყველაზე გამორჩეული ნატურალიზებული ბრაზილიელი **რენან ბრესანი** იყო, რომლის ერთი დარტყმაც ოდნავ არაზუსტი გამოდგა, მეორე კი უნგრელთა მეკარემ მოიგერია.

ბელარუსის ნაკრების თავკაცმა **გეორგი კონდრატიევმა** მოედანზე 53-ე წუთზე **ალექსანდრ ვოლოდკო** შეუშვა, რომელსაც ხუთიოდე წუთში თანაგუნდელები გოლს ულოცავდნენ – ბატე-ს ნახევარმცველმა მეტოქის საჯარიმოში შექმნილი ქაოსით ისარგებლა და ბურთი უნგრეთის ნაკრების კარში გაგზავნა.

დარჩენილ დროში უფრო აქტიურები უნგრელები იყვნენ და **ვერემკოს** რამდენიმეჯერ მოუწია ბელარუსთა კარის გადარჩენამ. მატჩის სცენარიდან გამომდინარე, ფრე კონდრატიევის გუნდისთვის უფრო იყო მიღწევა.

*"ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. სასურველი ტემპის შენარჩუნება მთელი მატჩის განმავლობაში შევძელით. ტრავმების გამო ტიგორევი და ჟავრეჩიკი დაგვაკლდნენ, რამაც ჩვენს გეგმებში იძულებითი კორექტივები შეიტანა. რამდენიმე ფეხბურთელს მათთვის უჩვეულო პოზიციაზე დავაკვირდი და ეს შეხვედრა ამითაც იყო სასარგებლო. ჩამოვყალიბდით იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ ფორსმაჟორულ სიტუაციებში. განსაკუთრებით დაცვაში დაშვებული შეცდომები მაღელვებს და მათ გამოსწორებაზე ვიზრუნებთ"*, - განაცხადა ნამატჩევს კონდრატიევმა.

ისრაელის ნაკრებმა ნეთანიაში ფინეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში ერთბურთიანი უპირატესობით დაამარცხა. **ედენ ბენ ბასატმა** სუომელებს სწრაფი გოლი გაუტანა და ამის შემდეგ სტუმრებს ანგარიშის გასათანაბრებლად ცდა არ დაუკლიათ.

ფინელთა დამრიგებელმა **მიქსუ პაატელაინენმა** შეხვედრის 73-ე წუთზე თავისი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სახელიანი ფეხბურთელი, **მიკაელ ფორსელი** ნაკლებად ცნობილი მოგვარით, **პეტერით** შეცვალა და სწორედ ამ უკანასკნელმა შეძლო 87-ე წუთზე წონასწორობის აღდგენა.

ფინელებს სასურველ ფრემდე ბევრი ალარაფერი აშორებდათ, მაგრამ დამატებული დროის მესამე წუთზე ებრაელთა ერთ-ერთმა ლიდერმა **ლიორ რაფაელოვმა** გამარჯვების გოლი გაიტანა.

*"საყაიმო შედეგთან ძალიან ახლოს ვიყავით, რაც გასვლითი მატჩის ფაქტორიდან გამომდინარე, ჩვენთვის სრულიად მისაღები იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, 1:1-ის შენარჩუნება ვერ შევძელით. ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო მაინც არ ვარ, ფეხბურთელებმა ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს. თამაშის ხარისხი კი ოფიციალურ მატჩებში აშკარად უკეთესი გვჭირდება"*, - თქვა მიქსუ პაატელაინენმა.

2012 წლის მუნდიალის უახლოესი საკვალიფიკაციო შეხვედრები მარტში გაიმართება. 22 მარტს საფრანგეთი საქართველოს უმასპინძლებს, ესპანეთი კი ფინეთს მიიღებს. 26 მარტს ჯგუფის ცენტრალური მატჩია: საფრანგეთი-ესპანეთი, სადაც პირველადგილოსანი გამოვლინდება, ბელარუსები კი უახლოეს ოფიციალურ მატჩს 7 ივნისს ჩაატარებენ, როცა ფინეთს ეწვევიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ისრაელი-ფინეთი 2:1

U21. მეტოქეები

# ჩვენი გუნდი უქმადაა, ჰოლანდია ისრაელში განადგურდა

რამდენიმე დღის წინ ევროპის 21-წლამდელთა 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა გაიმართა, რომელმაც საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად ჰოლანდია, შოტლანდია, სლოვაკეთი და ლუქსემბურგი არგუნა.

გუშინწინ ეროვნული ნაკრებების პარალელურად, ახალგაზრდულების ამხანაგურებიც გაიმართა და **ალექსანდრე ჩივაძის** გუნდის მეტოქეებმაც ითამაშეს.

ჰოლანდიელი 21-წლამდელები ისრაელს ესტუმრნენ და 0:3 განადგურდნენ. დაგვეთანხმებით, მოულოდნელი შედეგია. ჰოლანდიის ნაკრები ხომ ჩვენი ჯგუფის ფავორიტია. ამ შედეგმა კი დაგვანახა, რომ ახალგაზრდა ნარინჯისფერებთან წარმატებისთვის ბრძოლა შეიძლება და იმედია, ჩვენი გუნდი ამას მოახერხებს.

შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრები სტუმრად საბერძნეთს დაუზავდა – 1:1. ბერძნები მე-12 წუთზე დაწინაურდნენ, 58-ეზე კი **უოტმა** ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანით სქოთები მარცხისგან იხსნა.

ასევე გასვლითი შეხვედრა ჩაატარა სლოვაკეთმა და შვეიცარიას 1:0 მოუგო.



ალექსანდრე ჩივაძე

ეს შედეგიც მოულოდნელობად უნდა შევაფასოთ, რადგან შვეიცარიელი 21-წლამდელები თავის ასაკში ყოველთვის საუკეთესოთა შორის არიან, რაც წინა საკვალიფიკაციო ციკლში საქართველოს ნაკრებმა საკუთარ თავზე იწვნია. სლოვაკებმა **მესაროშის** მიერ 68-ე წუთზე გატანილი გოლით გაიმარჯვეს.

ლუქსემბურგისა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებებს კი გუშინწინდელი დღე არ გამოუყენებიათ. ლუქსემბურგელთა პრობლემები ნაკლებად გვაღელვებს, აი ჩვენი ფეხბურთის ფედერაციას კი ჩივაძის გუნდისთვის სპარინგ-პარტნიორის მოძიება მართებდა. საერთაშორისო სანაკრებო დღეს უქმად ყოფნა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წისქვილზე ნამდვილად არ დაასხამს წყალს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● დინამო

# დინამოს უსტარიცი შეუერთდა



უსტარიცი ფოტო: fcdinamo.ge

თურქეთში მოსამზადებელ ეტაპზე მყოფ დინამოელებს 29 წლის ბასკი ცენტრალური მცველი **უსტარიც ალდეკოა ოტალორა ასტარლოა** შეუერთდა. **უსტარიცმა** პრაქტიკულად მთელი საფეხბურთო კარიერა ესპანეთის პრიმერადივიზიონის ბილბაოს "ატლეტიკში" გაატარა. მას ბასკური გუნდის რიგებში პრიმერადივიზიონის, კოპა დელ რეის და უეფას ტურნირებში 150-მდე შეხვედრა აქვს ჩატარებული. მცველმა განვლილი სეზონი იჯარის წესით "ბეტისში" გაატარა. 2012 წლის ზაფხულში კლუბისა და ფეხბურთელის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უსტარიცსა და ბილბაოს "ატლეტიკს" შორის არსებული კონტრაქტი შეწყდა. უსტარიცმა ჩვენს გუნდთან დღეს პირველი ვარჯიში გამართა.

**უსტარიცი:** *"ცხადია, გარკვეულ ინფორმაციას "დინამოს" შესახებ ინტერნეტიდან ვფლობ. ვიცი, რომ გუნდი ჩემპიონატის ლიდერია, გარკვეული წარმოდგენა კლუბზე "დინამოს" ესპანელი ლეგიონერების მხრიდანაც მაქვს. ვიცი, რომ "დინამო" სწორი პრინციპების და დიდი ამბიციების გუნდია და დიდი სურვილი მაქვს კლუბის ნაწილი გავხდე".*

fcdinamo.ge

# ზავი პრემიერლიგელთან

ეროვნული ჩემპიონატისთვის თბილისის "დინამო" 5 თებერვლიდან კვლავ თურქეთში ემზადება. გუშინ **დუშან უჰრინის** გუნდმა თურქულ შეკრებაზე მორიგი საკონტროლო შეხვედრა რუსეთის პრემიერლიგელ პერმის "ამკართან" ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში ჩატარებულ წინა სამ შეხვედრაში თბილისელებმა წააგეს ყარაღანდის "შახტიორთან" 0:1 და პოლტავის "ვორსკლასთან" (0:2), მარიუპოლის "ილიჩიველცთან" კი ფრედ ითამაშეს – 2:2. "ამკარმა" კი "დინამოს" მძლეველ ყაზახურ კლუბს 4 თებერვალს 2:1 სძლია.

"დინამოს" 7 თებერვალს შეუერთდნენ **გიორგი ლორია** და **ირაკლი ძარია,** რომლებიც ალბანეთში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ახლდნენ, მაგრამ რუსების წინააღმდეგ არ უთამაშიათ.

პირველ ტაიმში რეალური საგოლე მომენტი შექმნეს **ჩისკომ** და **გიორგი მერებაშვილმა**, მაგრამ რუსები მეკარე **რომან გერუსმა** გადაარჩინა. 23-ე წუთზე **ჯაბა დვალმა** პერმელთა კარი კი აიღო, მაგრამ ლაინსმენმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. ანგარიშის გახსნა შეეძლოთ რუსებსაც, მაგრამ მეკარე **თორნიკე ზარქუა** საიმედოდ გამოიყურებოდა.

როგორც ჩანს, დინამოელები მეტოქეს მეორე ტაიმშიც არ ეპუებოდნენ. თავის გამოჩენა შეეძლო დვალს, მაგრამ ანგარიში "ამკარმა" გახსნა - კუთხურიდან მოწოდებული ბურთი თავით ჩერნოგორიელმა **მიტარ ნოვაკოვიჩმა** დინამოელთა კარში გადაგზავნა – 0:1.

დინამოელებმა წონასწორობა მალე აღადგინეს: საჯარიმო დარტყმის შედეგად **კარლეს კოტოს** ჩაწოდებული ბურთი **გიორგი პაპავამ** თავით ზუსტად გაგზავნა - 1:1. თამაში ასეც დასრულდა.

| დინამო – ამკარი | 1:1 |
|---|---|

**0:1 ნოვაკოვიჩი (67), 1:1 პაპავა (74).**

"დინამო": **ზარქუა – შაშიაშვილი, კვარაცხელია, მენდი, მილხრაუმი (46. გლიშიჩი) – ალვარო, პაპავა, ხმალაძე (46. კოტო), მერებაშვილი (68. რეხვიაშვილი) – ჩისკო (65. შინდაგორიძე), დვალი (66. ტატანაშვილი)**

**მერაბ მამულაშვილი**



ფოტო: fcdinamo.ge

● დილა



ვალდას ივანაუსკასი

# ივანაუსკასმა ესპანელებზე უარი თქვა

თურქულ ბელექში შეკრებაზე მყოფმა გორის "დილამ" ერთი დღით დაისვენა და ვარჯიში განაახლა. შიდაქართლელთა ახალი თავკაცი, ლიტველი **ვალდას ივანაუსკასი** გუნდს სამჯერადად ავარჯიშებს. რამდენიმედღიანი სინჯების შემდეგ "დილა" დატოვეს ესპანელებმა, **ალვარომ** და **ალექსმა**. ივანაუსკასმა ისინი ბრაზილიურ "გრემიო ბარუერთან" სპარინგში (2:1) გამოსცადა და ამის შემდეგ მათ სამსახურზე უარი თქვა.

სამაგიეროდ, გორელთა სამწვრთნელო შტაბს მოსწონს ლატვიელი მეკარე **კასპარს იქსტენსი**, რომელმაც უკვე ორ საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა. ასევე გრძელდება დაკვირვება კამერუნელ **ლობეზე.**

მორიგ ტესტ-მატჩს "დილა" დღეს ჩეხურ "მლადა ბოლესლავთან" გამართავს. შეხვედრა თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სპარტაკი



# ხაჩიძის გუნდი ალანიაშია, მელქაძე მწვრთნელობას შეუდგა

უმაღლესი ლიგის გუნდებთან ერთად, პირველ ლიგაში დაქვეითებული ცხინვალის "სპარტაკიც" ანთალიაში ემზადება. **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი გუშინ, ტრაბზონის გავლით გაემგზავრა თურქეთში და დღეს გამთენიისას ანთალიის მხარეში მდებარე ქალაქ ალანიის ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ეფტალიაში" დაბინავდა. "სპარტაკი" თურქეთში 21 ფეხბურთელით გაემგზავრა და მათ შორის არაერთი ისეთი მოთამაშეა, რომლებიც გუნდში ტესტირებაზე არიან.

ჯერ სპარტაკელთა სრულ სიას გავეცნოთ, შემდეგ კი პოტენციურ ახალწვეულებზე ვთქვათ:

მეკარეები: **გიორგი ნადირაძე, ვლადიმერ ზუხბაია;**

მცველები: **ლევან ჭაფოძე, ლევან ქურდაძე, გიორგი ლემონჯავა, ლევან თვალავაძე, კონსტანტინე ხიზანეიშვილი, გიორგი ნარიმანიძე, ანატოლი ხუბეჟოვი, ზაურ დარჩიევი;**

ნახევარმცველები: **თეიმურაზ შონია, უჩა ბურძენაძე, ვარლამ კილასონია, კახაბერ კაკაშვილი, გიორგი ხარაზიშვილი, ხეთაგ ხადარცევი, გიორგი კაბისოვი;**

თავდამსხმელები: **ზვიად მეტრეველი, თორნიკე თუხარელი, დავით გელაშვილი, თამაზ მაქაცარია.**

უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც "სპარტაკში" ვარჯიშობს **კონსტანტინე ხიზანეიშვილი,** რომელიც თბილისის „დინამოს" დუბლებში ასპარეზობდა. მას დაცვასა და ნახევარდაცვაში, მარცხენა ფრთაზე შეუძლია თამაში. ხიზანეიშვილმა 20 იანვარს „ზესტაფონთან" სტუმრად გამართულ ამხანაგურ მატჩშიც (2:0) ითამაშა და პირველი გოლი სწორედ მის ანგარიშზეა. ხიზანეიშვილის გარდა, შიდაქართლელთა გუნდში ახალწვეულია მეკარე **ვლადიმერ ზუხბაია,** რომელიც ბოლნისის "სიონში" ასპარეზობდა.

**ანატოლი ხუბეჟოვი** უკვე წელიწადზე მეტია, რაც "სპარტაკშია", ხოლო **გიორგი კაბისოვი, ხეთაგ ხადარცევი** და **ზაურ დარჩიევი** იანვრის ბოლო რიცხვებში გამოჩნდნენ გუნდის ვარჯიშებზე. ხადარცევი ყაზანის "რუბინის" დუბლებში ასპარეზობდა, კაბისოვი და დარჩიევი კი ვლადიკავკაზის "ალანიას" სარეზერვო გუნდში იყვნენ. ამ ფეხბურთელებმა ანთალიაში გამგზავრებამდე ზაზა ბენდელიანის სახელობის ტურნირზეც იასპარეზეს. "სპარტაკის" მთავარმა გუნდმა "ბენდელას თასზე" რუსთავის "მეტალურგის" დუბლშემადგენლობა 5:1 დაამარცხა, ხოლო "საქართველოს უნივერსიტეტს" 5:0 სძლია.

"სპარტაკში" სინჯებზე მყოფი ფეხბურთელების გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი ანთალიური შეკრების შემდეგ გადაწყდება.

ანთალიაში "სპარტაკი" პირველ ამხანაგურ შეხვედრას დღეს ავსტრიის პირველი ლიგის (რანგით მეორე ლიგა) ლინცის "ბლაუ ვაისთან" გამართავს. ეს მატჩი თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

ცხინვალელთა კლუბში სხვა სიახლეებიცაა. "სპარტაკში" დუბლების ახალი გუნდი შეიქმნა, რომელიც თბილისში ემზადება და "ბენდელას თასზე" აგრძელებს ასპარეზობას. "სპარტაკის" დუბლშემადგენლობას ისევ **მალხაზ ლაცაბიძე** ხელმძღვანელობს, რომლის ასისტენტიც ამავე კლუბის ყოფილი ფორვარდი **ლევან მელქაძეა**, რომელმაც მოთამაშის კარიერა დაასრულა და გადაწყვიტა, ფეხბურთში მწვრთნელის რანგში დარჩეს. იგი სამწვრთნელო საქმის შესწავლას შეუდგა და წლეულს მწვრთნელის ლიცენზიასაც აიღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სამეზადისი. მარბელას თასი

# რუმინელებს მეორედ ვეღარ ვაჯობეთ

ესპანეთში შეკრებაზე მყოფი ქუთაისის "ტორპედო" "მარბელას თასის" ფინალში გასასვლელად გუშინ რუმინეთის 18-გზის ჩემპიონს, ბუქარესტის "დინამოს" შეხვდა. ცნობისთვის, ქუთაისელთა მეტოქე მსოფლიო საკლუბო რეიტინგში 68-ე ადგილზეა, "მარბელას თასის" მეოთხედფინალში კი პოლონეთის "ლეხს" 3:1 მოუგო.

ქუთაისელებმა მეორე რუმინული ბარიერი ვეღარ გადალახეს და 1:2 დამარცხდნენ. ბუქარესტელები მე-8 წუთზე 36 წლის **იონელ დანჩიულესკუმ** დააწინაურა. მან 54-ე წუთზე დუბლი შეასრულა და რუმინელების უპირატესობა უფრო სოლიდური გახდა – 0:2. მატჩის მიწურულს **გრიგოლ დოლიძემ** სხვაობა შეამცირა, მაგრამ ქუთაისელებმა მეტი ვერაფერი მოახერხეს.

10 თებერვალს "ტორპედო" "მარბელას თასის" მე-3 ადგილს კიევის „დინამოს" შეეცილება, რომელიც მეორე ნახევარფინალში „ატლეტიკო პარანაენსესთან" დამარცხდა.

| ტორპედო — დინამო (ბუქარესტი) | 1:2 |
|---|---|

"ტორპედო" (სასტარტო): **მიგინეიშვილი - ტაბატაძე, გ. ონიანი, ცინცაძე, გ. გურული – ზ. ჭელიძე, ე. გრიგალაშვილი, ფირცხალავა, ტულუში - ფანცულაია, ბერიაშვილი.**

თამაშამდე კი ქუთაისის "ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** ტურნირში მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა: *"გუნდისთვის მნიშვნელოვანია ასეთი დონის ტურნირში მონაწილეობა. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ისაა, რომ ახალგაზრდული გუნდი გვყავს და მას საერთაშორისო თამაშების გამოცდილება სჭირდება. ამასთან, უფრო ნათლად გამოჩნდება სუსტი და ძლიერი მხარეები, რა შეცდომები დავუშვით წინა ეტაპებზე და მომავალში რაზე უნდა ვიმუშაოთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

DINAMO TBILISI 1925

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge

ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.

დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2

რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

## ქართული ფეხბურთი

### მოსაზრება

# ჩემი ოქრო... სხვასთან

## სად არის თექთურმანიძე?

საქართველოს არ ჰყავს ძლიერი ფეხბურთელები და სპეციალისტები - ეს მოსაზრება ჩვენში უკვე ისეთ კლიშედ იქცა, რომლისგან გათავისუფლებაც დანაშაულის ტოლფასი გახდა, ხოლო მისი გამზიარებლები შეკამათებასაც ვერ იტანენ.

რა თქმა უნდა, საქართველო პატარა და მცირე მოსახლეობის ქვეყანა არის. ფეხბურთელებისა და მწვრთნელების საერთო რაოდენობაც არასაკმარისია, მაგრამ თავადაც ისეთი დარდიმანდები ვართ, ვინც გვყავს, არ ვუფრთხილდებით.

იტყვიან, რუსეთში ნამუშევარ მწვრთნელს დიდი მადა ექნებოდაო, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის, რაზეც თეთრაძემ "ლელოსთან" ინტერვიუში მკაფიოდ ილაპარაკა.

ისინიც დავივიწყეთ, ცალსახად დიდი მადა რომ არ აქვთ. 2011 წელს **თამაზ პერტია** ლატვიელმა გულშემატკივრებმა 2010 წლის სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელად დაასახელეს, ხოლო 2011 წელს - ვირსლიგის (უმაღლესი ლიგის) საუკეთესო დამრიგებლად. შარშან რიგის "სკონტოს" სპორტულ დირექტორად მუშაობდა,



გიორგი თექთურმანიძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მაგალითი მრავლად გვაქვს და აგერ, ბოლო ამბავი: რამდენიმე თვეზე მეტია, რაც **ომარ თეთრაძე** "ხიმკიდან" გაუშვეს და უმუშევარია, მაგრამ საქართველოს არც ერთ კლუბს არ გასჩენია სურვილი, ასეთ გამოცდილ სპეციალისტს დალაპარაკებოდა და თუნდაც დაინტერესებულიყო, რეალური იყო თუ არა მისი სამშობლოში დაბრუნება. ახლა კი ლაპარაკია, რომ შესაძლოა, ერთ-ერთი ყაზახური კლუბი ჩაიბაროს.

ბავშვთა ჯგუფებს კურირებდა და "სკონტო 2"-ს წვრთნიდა.

ისეთი რა განსაკუთრებული პირობები უნდა ჰქონოდა ლატვიაში, რომლის დარსაც საქართველოში ვერ შესთავაზებდნენ? სამწუხაროა, რომ ქართული ფეხბურთის სამსახურში ვერც თეთრაძე და ვერც ეს ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი რომ ვერ ჩავაყენეთ.

კიდევ ერთი დასანანი ამბავი გუშინ შევიტყვეთ: **დავით ჯანელიძე** კარიერას აზერბაიჯანის პრემიერლიგის "თურანში" გააგრძელებს. ამ ხუთიოდე წლის წინ, რუსთავის "მეტალურგის" 23 წლის ყოფილ თავდამსხმელზე საქართველოს უმაღლესი ლიგის კლუბებს ტაციაობა ჰქონდათ და ასაკობრივი ნაკრებების ერთ-ერთი ლიდერი იყო.

მართალია, საქართველოშია, მაგრამ დღემდე სათანადოდ ვერ დასაქმდა **გიორგი თექთურმანიძე**. საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ, რუსთავის "მეტალურგის" შემტევი ნახევარმცველი ერთ-ერთმა სპორტულმა პორტალმა სათადარიგო სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. ეს არ იყო შემთხვევით ალიარება - 22 წლის თექთურმანიძისთვის 2012 წელი საკმაოდ წარმატებული გამოდგა. განსაკუთრებით, ევროპის ლიგაზე ივარგა, სადაც თავი შედეგიანობითა და დახვეწილი თამაშით დაგვამახსოვრა. სხვათა შორის, ინტერნეტსააგენტო "ტრანსფერმარკტ"-მა, **რევაზ გეწაძესთან** ერთად, გიორგი რუსთაველი კლუბის ყველაზე ძვირად ღირებულ მოთამაშედ გამოაცხადა და მისი ტრანსფერი 300 ათას ევროდ შეაფასა.

თუმცა, გასულ წელთან ცუდი მოგონებებიც აკავშირებს: ზაფხულში თბილისის "დინამოდან" მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** რუსთავში იჯარით გაუშვა, მაგრამ ევროპის ლიგაზე რუსთავის "მეტალურგში" ჩატარებული მშვენიერი თამაშების შემდეგ დააბრუნა. თუმცა... ეროვნული ჩემპიონატის დაწყებისას... ხელმეორედ გაუშვა.

ახლაც იგივე მოხდა: თექთურმანიძემ იანვარში ვარჯიში ჩემპიონატის ლიდერ "დინამოში" განაახლა, მერე კი მისი კვალი დავკარგეთ, აღარც "მეტალურგშია" და მისი გვარი ვერც თურქეთში მოსამზადებლად გამგზავრებულ "დინამოს" მოთამაშეთა სიაში ამოვიკითხეთ.

შევიტყვეთ, რომ **"ჩიორას"** (თექთურმანიძის მეტსახელია) ტრანსფერით ქუთაისის "ტორპედო" დაინტერესდა, თითქოს, თბილისელებიც მზად იყვნენ ფეხბურთელის გასაშვებად, მაგრამ გიორგი ახლაც "დინამო 2"-ში ვარჯიშობს. არადა, დასანანია, ნიჭიერ ბიჭს ასაკიც ხელს უწყობს და სწორედ ახლა სჭირდება სტაბილური გარემო, სადაც სისტემატურად ითამაშებს და გაიზრდება.

დუშან უჰრინი გიორგის არ ენდობა და მის დაბრუნებაზე უარს ამბობს. "დინამოს" თავკაცებს არ სჭირდებოდათ ბრაზილიელი **რობერტინიო** და უპრობლემოდაც გაუშვეს, მაგრამ ნიჭიერი პლეიმეიკერის თექთურმანიძის ფასი კარგად იციან და ვერ ელევიან.

სამწუხაროა, რომ ფეხბურთელი ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია და ამჟამად "დინამოს" დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობს.

### ბენდელას თასი

# ბოლო ტურში გაირკვევა...

აფხაზეთის ომის გმირის, ზაზა ბენდელიანის სახელობის თასის XXII გათამაშების ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა.

6 და 7 თებერვალს მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა.

**IV ტური**

| 6 თებერვალი | |
|---|---|
| ტორპედო 2 - იმერეთი | 0:2 |
| მეტალურგი 2 - საქ. უნივერს. | 0:2 |

| 7 თებერვალი | |
|---|---|
| სპარტაკი - ქართლი - 2011 | 1:5 |
| გაგრა - იუსი ბესტი | 1:1 (პენ. 3:5) |

ჯგუფში გამარჯვებულები ბოლო ტურში გამოვლინდებიან.

**V ტური**

**8 თებერვალი**

ზესტაფონი - ტორპედო

**9 თებერვალი**

ქართლი 2011 - მეტალურგი 2

ზოოვეტი - ვიტ ჯორჯია

**10 თებერვალი**

საქართ. უნივერსიტეტი - დინამო 2

ზესტაფონი - იმერეთი

### U 19. შეკრება



## გია ცეცაძე:

# კარგი შეკრება გვქონდა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდისთვის ემზადება. მოგეხსენებათ, გუნდში მთავარი მწვრთნელი შეცვალა, თანამდებობიდან გადადგა "ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელად დანიშნული **კახა კაჭარავა**, რომელმაც გუნდი შესარჩევი ციკლიდან ელიტრაუნდში გაიყვანა.

ის **გია ცეცაძემ** შეცვალა და მისი ხელმძღვანელობით 19-წლამდელებმა პირველი ერთკვირიანი შეკრება 6 თებერვალს დაასრულეს. გუნდმა "გაგრასთან" საკონტროლო მატჩი ჩაატარა (0:2), რომლის შემდეგაც "ლელომ" ცეცაძეს შეკრების შეფასება სთხოვა.

*"მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ეს ჩვენი სამწვრთნელო შტაბის მოწყობილი პირველი შეკრება იყო. რამდენიმე ფეხბურთელი ვერ გამოვიძახეთ – ზოგი ლეგიონერია, ზოგიც თავიანთ კლუბებში ემზადება. მოწვეული მოთამაშეების 90 პროცენტს კარგად ვიცნობდი და დანარჩენების საქმეში ნახვაც მსურდა. "გაგრამდე" ორმხრივი თამაში გვქონდა.*

*შეკრება და ეს მატჩები ერთ მიზანს ემსახურებოდა - ჩვენთვის მთავარი იყო, გამოძახებული ფეხბურთელები საქმეში მენახა, გამეცნო და მათი პლუს-მინუსები უკეთ გამეგო. ადრეც ვთქვი, რომ ახალ მოთამაშეებს ვერ აღმოვაჩენთ, მაგრამ გარკვეულ ტაქტიკურ ცვლილებებსაც ვგეგმავდი და მაინტერესებდა, ორი დღის განმავლობაში დავალებებს როგორ შეასრულებდნენ.– შედეგებს კი ამჯერად მნიშვნელობა არ ჰქონდა. შემიძლია გითხრათ, რომ კარგი მატჩი გამოგვივიდა. არ ვამბობ, რომ "იფრინეს", მაგრამ ჩემი ხედვა საკმაოდ კარგად აითვისეს. ყველანაირად ცდილობენ, თამაში გააუმჯობესონ და ახლა წარმოდგენა ყველაზე შემექმნა.. ყველაზე ძნელი ეტაპი ახლა იწყება, 40 კანდიდატიდან 18 საუკეთესო უნდა შევარჩიოთ. იმედია, მომავალ შეკრებას უკვე სრული შემადგენლობით ჩავატარებთ"* – ამბობს ცეცაძე.

რა შეიცვალა ნაკრების მთავარი მწვრთნელის მისვლის შემდეგ? ამ კითხვით ქუთაისის "ტორპედოს" 18 წლის ცენტრალურ მცველს, **ნიკა სანდოხაძეს** მივმართეთ, რომელიც მეორე ციკლია, ამ თაობის გუნდების კაპიტანია: *"ახალს არ ვიტყვი, მწვრთნელის შეცვლა გუნდზე გავლენას ახდენს. გამიხარდა, ცეცაძე რომ დაინიშნა, რადგან ფეხბურთელებთან ურთიერთობა ეხერხება და მასთან მუშაობა მსიამოვნებს. საინტერესო ვარჯიშები და თამაშები გვქონდა. არიან ახალი სახეები, ყველას კარგად არც ვიცნობდი. ელიტრაუნდისთვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ, რადგან ძლიერი მეტოქეები გვყავს. ფავორიტად ინგლისი ითვლება, მაგრამ ბოლო წლების შესარჩევისა და ელიტრაუნდის შეხვედრებმა გვაჩვენა, რომ შეუძლებელი არც მისი დამარცხებაა. ის მაიმედებს, რომ ამხანაგური თამაშები საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან გველის და გუნდის შეთამაშებისა და დაბალანსების საშუალება გვექნება".*

სანდოხაძეს მიმდინარე სეზონში ქუთაისის "ტორპედოს" ძირითად გუნდში ჯერ ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია. ცხადია, დავინტერესდით, როგორ ახერხებს ფორმის შენარჩუნებას მოთამაშე, რომელიც 19-წლამდელებისთვის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა: *"ჯერჯერობით "ტორპედოს" შემადგენლობაში თამაშები არ მიწევს, მაგრამ დუბლებში ვთამაშობ და პრაქტიკის ნაკლებობას დიდად არ ვუჩივი. თუმცა, იმედი მაქვს, ნელ-ნელა წინ წავიწევ და მალე უმაღლეს ლიგაშიც გამოვჩნდები".*

### სავარაუდო ტრანსფერი

# იოსელიანი უნგრეთში ემზადება

1 თებერვალს "ტორპედო" ესპანეთში მოსამზადებელი ეტაპის გასავლელად გაემგზავრება. ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელის, **გია გეგუჩაძის** სიაში არ ყოფილა **გიგი იოსელიანი**. ორმხრივი შეთანხმებით, მან გუნდთან კონტრაქტი გაწყვიტა.

22 წლის ფლანგის ნახევარმცველს მიმდინარე სეზონში "ტორპედოში" ერთხელაც არ უთამაშია და გუნდის დატოვება სწორედ ამის გამო გადაწყვიტა - მის სურვილს ქუთაისელთა ხელმძღვანელობაც არ შეწინააღმდეგებია.

იოსელიანს რამდენიმე მიწვევა ჰქონდა, ლატვიაში იწვევდნენ, მაგრამ საბოლოოდ, უნგრეთში გაემგზავრა და სეზონისთვის "კეჩკემეტიში" ემზადება. საშემოდგომო ეტაპის შემდეგ, 16-გუნდიან უნგრეთის უმაღლეს დივიზიონში, ეს გუნდი 20 ქულით მე-12 ადგილზე იმყოფება.

იოსელიანმა "კეჩკემეტის" შემადგენლობაში უკვე სამი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა: ერთი უნგრეთში, ორიც ხორვატიაში, სადაც ახლა უნგრელები სეზონისთვის ემზადებიან. პირველი თამაში უნგრეთის პირველი ლიგის "სეგედთან" (1:0) შეუცვლელად ჩაატარა. შემდეგი ორი შეხვედრა გუნდმა ხორვატულ შეკრებაზე გამართა და ქართველი ნახევარმცველი მოედანზე ორივეჯერ მეორე ნახევარში გამოჩნდა. "კეჩკემეტმა" კოსტრენას "პომორაცთან" 1:2 წააგო, "ისტრასთან" – 3:4.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



გიგი იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბარსელონა



ლეო მესი და კლუბის პრეზიდენტი სანდრო როსელი

# მესიმ მოაწერა

## 250 მილიონი ევრო რა ამბავია?!

25 წლის არგენტინელმა **ლეო მესიმ** ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ შეათანხმა „ბარსელონასთან“ ახალი კონტრაქტი, გუშინ კი ამ საქმეს თავი დაედგა.

ახალი კონტრაქტის მიხედვით, მესი „ბარსელონაში“ 2018 წლამდე უნდა დარჩეს. არგენტინელი „ბარსას“ ერთგულია და წასვლას არსად აპირებს, თუმცა ხელშეკრულების ერთ პუნქტზე მან ხელმძღვანელობას სასტიკი უარი სტკიცა.

„ბარსელონა“ აპირებდა, მესის გამოსყიდვის ახალი თანხა დაეწესებინა, ფეხბურთელის ყიდვის მსურველებისთვის - 250 მილიონი ევრო! მესიმ „ბარსელონას“ წინადადება შორს დაიჭირა.

სხვათა შორის, ესპანეთის მთავრობის ახალი კანონის გამო - მესის ხელფასიდან დასატებით მილიონი ევრო გადასახადებში წავიდა. ეს გაითვალისწინა „ბარსელონამ“ და ამიერიდან, 2018 წლამდე მესის ხელფასი (გადასახადების გარეშე) 12 მილიონი ევრო იქნება. ლეოს შეუძლია ეს ხელფასი წელიწადში 4 მილიონი ევროთი გაზარდოს - სხვადასხვა ბონუსის წყალობით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● პსჟ

# კარლო ანჩელოტი: ბექჰემს მოცდა მოუწევს

„პარი სენ-ჟერმენის“ იტალიელმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** გუნდის ახალწვეულ **დევიდ ბექჰემზე** ილაპარაკა.

ანჩელოტის აზრით, 35 წლის ინგლისელს ჯერ კიდევ სჭირდება დრო, რომ ფიზიკურად მზად იყოს საფრანგეთის ჩემპიონატის დატვირთვებისთვის.

8 თებერვალს „პარი სენ-ჟერმენი“ „ბასტიას“ შეხვდება, მაგრამ ამ თამაშში ინგლისელ ნახევარმცველს ვერ ვიხილავთ.

*„12 თებერვალს, ჩემპიონთა ლიგაზე „ვალენსიას“ წინააღმდეგ შეიძლება იხილოთ დევიდი, მაგრამ უფრო მგონია, რომ ის მზად „სოშოს“ წინააღმდეგ იქნება - 17 თებერვლის მატჩში. ბექჰემი პსჟ-ს ფიზმომზადების ორი მწვრთნელის მეთვალყურეობით ვარჯიშობს, თუმცა დღეს ლონდონშია პირად საქმეებზე“,* - განაცხადა ანჩელოტიმ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ვერდერი

# პეტერსენი პისაროს გზაზე

## მასზე უკეთ ვერდერში კარიერა მხოლოდ ფიოლერმა და კლოზემ დაიწყეს

**ბრემენის „ვერდერი“ ბუნდესლიგაში 20 ტურის შემდეგ მე-11 ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ „მუსიკოსები“ მიმდინარე სეზონში დაგეგმილზე გაცილებით ცუდად ასპარეზობენ. უკეთესი მომავლის იმედს ბრემენელ ფანებს 24 წლის თავდამსხმელი ნილს პეტერსენი აძლევს - ფეხბურთელი, რომელიც „ვერდერმა“ სეზონის დაწყებამდე მიუნხენის „ბაიერნიდან“ ინათხოვრა.**

**პეტერსენს** „ვერდერში“ ცოტა თუ უწინასწარმეტყველებდა იმას, რომ ეს თავდამსხმელი თავის ბრემენულ კარიერას ზუსტად ისე დაიწყებდა, როგორც თავის დროზე **კლაუდიო პისარომ** დაიწყო (34 წლის პერუელი ახლა „ბაიერნშია“), მაგრამ ფაქტია, რომ 20 ტურის შემდეგ ნილსი „ვერდერის“ საუკეთესო გოლეადორია. პეტერსენმა ბუნდესლიგის 20-ივე შეხვედრაში იასპარეზა და 9 გოლის გატანა მოახერხა. სხვათა შორის, თავის დროზე ბრემენული კლუბის ფორმით ჩატარებულ პირველ 20 შეხვედრაში პისარომაც ზუსტად 9 გოლი შეაგდო.

*„ნამდვილად არ მინდა, რომ პისაროს ვედრებოდე, რადგან კლაუდიოს წლების მანძილზე სტაბილურად გაჰქონდა გოლები, მე კი ჩემი შესაძლებლობები ჯერ კიდევ დასამტკიცებელი მაქვს. ჩემი მიზანიც სწორედ ისაა, რომ სტაბილურად ბევრი გოლი გამქონდეს,“* - აცხადებს პეტერსენი და მართალიცაა, რადგან მას ამ სეზონში 55 საგოლე მომენტი შეექმნა და მხოლოდ 9 გამოიყენა. შედარებისთვის, „ბაიერნის“ თავდამსხმელ **მარიო მანჯუკიჩსაც** 55 შანსი ჰქონდა, მაგრამ პეტერსენზე მეტი, 14 გოლი გაიტანა. სწორედ ამაზე ჩივის „ვერდერის“ მცველი **სოკრატის პაპასტატოპულოსიც** - ხშირად საგოლე მომენტებს ვერ ვიყენებთო.

მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ პეტერსენის კარიერა „ვერდერში“ ძალიან კარგად დაიწყო. თავად განსაჯეთ, პირველი 20 თამაშის შემდეგ „ვერდერში“ ნილსის დარი შედეგიანობით თვით **აილტონი** (6 გოლი) და **მარკო ბოდეც** (4) კი არ გამოირჩეოდნენ. და საერთოდ, „ვერდერის“ ლეგენდარული თავდამსხმელებიდან პირველ 20 მატჩში პეტერსენზე მეტი გოლი მხოლოდ **მიროსლავ კლოზემ** (13) და **რუდი ფიოლერმა** (14) გაიტანეს.

*„სეზონის წინ ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, 20 თამაშის შემდეგ 9 გოლი გექნებაო, ძალიან გამიხარდებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სეზონში კიდევ არაერთხელ შევძლებ მეტოქეთა კარის დალაშქვრას. მიხარია, რომ მწვრთნელი მუდმივად მენდობა, რის გამოც თამამად ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის პირველი ნაღდი სეზონია ბუნდესლიგაში, რადგან „ბაიერნში“ იშვიათად მათამაშებდნენ,“* - ამბობს „ვერდერის“ ბომბარდირი, რომელმაც პარასკევს „ჰანოვერთან“ (2:0 ბრემენელთა სასარგებლოდ) დუბლი შეასრულა...

**გოტფრიდ ლენცი**



ნილს პეტერსენის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში 9 გოლია

**ვერდერის ლეგენდარული თავდამსხმელები პირველი 20 თამაშის შემდეგ**

| | გოლები 20 თამაშის შემდეგ |
|---|---|
| 1. რუდი ფიოლერი | 13 |
| 2. მიროსლავ კლოზე | 12 |
| 3. ნილს პეტერსენი | 9 |
| 3. კლაუდიო პისარო | 9 |
| 5. ფრანკ ნოიბართი | 7 |
| 5. ვინტონ რუფერი | 7 |
| 5. კარლ-ჰაინც რიდლე | 7 |
| 8. აილტონი | 6 |
| 9. მარკო ბოდე | 4 |
| 10. ივან კლასნიჩი | 1 |



## უცხოური ფეხბურთი

ჰოლანდია-იტალია. გამოხმაურება

# პრანდელი ახალი ტაქტიკით ვან გაალის თაობა

ამსტერდამში გამართულ ჰოლანდია-იტალიის მატჩს ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ამხანაგური იყო. თამაში ნელ ტემპში წარიმართა, მწვრთნელებმა ახალი ფეხბურთელები ნახეს საქმეში და ახალი ტაქტიკები გამოსცადეს. მშვიდი და აუღელვებელი პაექრობა მეგობრული ანგარიშით, 1:1 დასრულდა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თამაშის სცენარის მიხედვით, გამარჯვებას უფრო მასპინძლები იმსახურებდნენ...



მარკო ვერატიმ იტალია მარცხისგან იხსნა

### თამაში

**ლუის ვან გაალმა არიენ რობენი, დირკ კუიტი** და სხვა გამოცდილი ფეხბურთელები თადარიგში დატოვა, ძირითადი შემადგენლობა კი ახალგაზრდა ფეხბურთელებით დააკომპლექტდა. აშკარაა, რომ ვან გაალი მომავლის გუნდს აშენებს და ვეტერანებს სულ უფრო ნაკლებად ენდობა. მაგალითად, **ვესლი სნეიდერი** საერთოდ არ გამოიძახა, ისევე როგორც, **რაფაელ ვან დერ ვაარტი.** რაც შეეხება **ჩეზარე პრანდელის**, მან სრულიად ახალი ტაქტიკა შეარჩია და გუნდი 4-3-3 სქემით ათამაშა. აქამდე, სენიორ ჩეზარე ან 3-5-2-ს იყენებდა, ან 4-4-2-ს და ამჯერად, სულაც სამ შემტევზე გაიწია. თავდასხმის წინა ხაზზე, **მარიო ბალოტელი** გაამწესა, ფლანგებიდან კი მას **სტეფან ელ შაარავი** და **ანტონიო კანდრევა** ეხმარებოდნენ. მეორე ნახევარში, კანდრევა **ალესანდრო დიამანტიმ** შეცვალა.

მომენტების აღწერას აღარ მოვყვებით, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თამაშის უდიდესი ნაწილის მანძილზე სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ჰოლანდიელები ფლობდნენ. რომ არა **ჯანლუიჯი ბუფონის** შესანიშნავი თამაში, მასპინძლები ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გადაწყვეტდნენ მატჩის ბედს. ჰოლანდიელთა შორის გამორჩეული **ლენსი** გახლდათ, რომელმაც 33-ე წუთზე ულამაზესი გოლი გაიტანა - მცველს ბურთი თავზე გადაატარა და უზუსტესი დარტყმით ბადეში გაახვია...

სტუმრებმა ბოლო ათ წუთში გამოიღვიძეს, როდესაც უკვე დიამანტის კანდრევა ჰყავდა შეცვლილი, **ალბერტო ჯილარდინოს** სტეფან ელ შაარავი, **მარკო ვერატის** კი **ანდრეა პირლო...** გოლი სწორედ ვერატიმ გაიტანა, საგოლე პასი კი ჯილარდინოსგან მიიღო. მოკლედ, შეცვლაზე შესულებმა იტალია მარცხისგან იხსნეს.

### მოკლე ანალიზი

იტალია ახალ ტაქტიკას რთულად შეეგუა - როგორც ნამატჩევს **რიკარდო მონტოლივომ** განაცხადა, გუნდს სიმრთელე აკლდა და ეს მართლაც ასეა. რგოლებს შორის კავშირი მორღვეული იყო, იტალიელთა შეტევები კი ხშირ შემთხვევაში ბალოტელის მისამართით გაკეთებული გრძელი გადაცემებით შემოიფარგლებოდა. საერთოდ ჩაიკარგა სტეფან ელ შაარავი, რომელიც „მილანის" მსგავსად, მარცხენა გარემარბად ირჯებოდა. ჯიჯი ბუფონთან ერთად, იტალიელთა შორის ყველაზე გამოსარჩევი მარკო ვერატი იყო, რომელიც შესანიშნავად ჩაერთო თამაშში და შეხვედრის მიწურულს გოლიც გაიტანა. ვერატის სახით, იტალიის ნაკრებს მართლაც ნიჭიერი ნახევარმცველი ჰყავს, შესაძლოა ანდრეა პირლოს სრულფასოვანი შემცვლელიც კი.

როგორც აღვნიშნეთ, ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, რომლებმაც სწორი ფეხბურთი ითამაშეს და ისიც ვთქვით, რომ ბევრ რამეში აჯობეს შედარებით გამოცდილ მეტოქეს. მოკლედ, არის რესურსი, რომელიც რეალურ ძალად უკვე ლუის ვან გაალმა უნდა აქციოს. თუმცა, ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ამ ახალგაზრდა ჰოლანდიელებში არნახულად ნიჭიერი მოთამაშეები ვიხილეთ, რომლებსაც უახლოეს პერიოდში საფეხბურთო მსოფლიოს ალაპარაკება შეუძლიათ. ვან გაალის შეგირდებს თითქოს აკლდათ იმპროვიზაცია, ტექნიკა და ამ ფონზე, ვეტერანების ჩამოწერა არ უნდა იყოს მთლად სწორი ამბავი...

### მატჩის შემდეგ

**ჩეზარე პრანდელი (იტალია):** *„ძალიან არ გვინდოდა წაგება და საბედნიეროდ, ანგარიშის გათანაბრება მოვახერხეთ. 4-3-3 ჩვენთვის ახალი სქემაა და გარკვეული პრობლემები შეგვექმნა. ბევრად უკეთ ვთამაშობთ 4-4-2 ტაქტიკით, მაგრამ სამფორვარდიან სქემასაც უნდა შევეჩვიოთ... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არაერთი ისეთი ფეხბურთელი გვყავს, რომლებსაც გარემარბად თამაში შეუძლიათ. მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან დიდი ინფორმაცია მივიღეთ განსჯისთვის. მარკო ვერატი შესანიშნავი ფეხბურთელია, რაშიც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. აქვს რაღაც ხარვეზები, მაგრამ ამასაც მალე აღმოფხვრის".*

**ლუის ვან გაალი (ჰოლანდია):** *„უნდა მოგვეგო, მაგრამ ამისთვის მეორე გოლის გატანა იყო საჭირო, რაც ვერ შევძელით. ბოლო ათი წუთი კონცენტრაცია დავკარგეთ და ამისთვის დავისაჯეთ კიდეც. ბევრი მომენტი შევქმენით, მაგრამ ჯანლუიჯი ბუფონი შეუდარებელი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ჰოლანდიურ სტილში ვითამაშეთ და მთლიანობაში, მაღალი ხარისხის ფეხბურთი ვაჩვენეთ".*

**მარკო ვერატი (იტალია):** *„შეხვედრის დიდი ნაწილი ტერიტორიულ უპირატესობას ჰოლანდიელები ფლობდნენ, მაგრამ ბოლოს ჩვენც გავაქტიურდით და არაერთი მომენტიც შევქმენით. ვფიქრობ, ფრე ლოგიკური შედეგია და მიხარია, რომ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ნაკრების დახმარება შევძელი. ბედნიერი ვარ, რომ ეროვნულ ნაკრებში პირველი გოლი გავიტანე, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ალბერტო ჯილარდინოს ვუხდი... რომ არა ჯილას შესანიშნავი პასი, ამსტერდამში დავმარცხდებოდით".*

**ლაშა ნიკლაური**

ტოტენჰემი



ჯერმეინ დეფოს წელს პრობლემები არ ელევა

# დეფოს მცირე შეფერხება

SKY SPORTS-ის ცნობით, პრემიერლიგის XXV ტურში „ვესტ ბრომვიჩთან" პირველ ტაიმში მიღებული ტერფის ტრავმის გამო „ტოტენჰემის" 30 წლის თავდამსხმელი **ჯერმეინ დეფო** მინიმუმ სამი კვირა დაისვენებს. ვეტერანი **როი ჰოჯსონის** გუნდს ბრაზილიის წინააღმდეგ სწორედ ამ მიზეზით დააკლდა. ცხადი ხდება, რომ სანაკრებოს გარდა დეფო გამოტოვებს მომდევნო ტურის შეხვედრებს „ნიუკასლისა" და „ვესტ ჰემის" წინააღმდეგ და ევროპა ლიგაზე „ლიონთან" ორივე დაპირისპირებას.

**ანდრე ვილაშ ბოაშს** განაცხადში **ემანუელ ადებაიორი, ჰარი კეინი** და **ჯონ ობიკა** რჩება. პირველი ლონდონში აფრიკის ერთვნებათა თასიდან ტოგოს ნაკრების გამოვარდნის შემდეგ დაბრუნდა, თუმცა ფეხბურთელის თქმით, ის იმდენად დაღლილია, რომ რეაბილიტაციისთვის დრო სჭირდება; მეორეს „ნორვიჩის" რიგებში აგვისტოში ჩატარებული მატჩის შემდეგ ერთი ოფიციალური შეხვედრაც არ ჩაუტარებია; უკანასკნელი კი პრემიერლიგის განაცხადში ვილაშ ბოაშს ჯერ არასოდეს შეუყვანია. პორტუგალიელს ერთადერთი გამოსავალი რჩება. **კლინტ დემპსი** თავდასხმაში უნდა ათამაშოს.

*„დეფო გარკვეული დროით დაგვაკლდება, მაგრამ არა უშავს, რადგან ველოდით, რომ ტრავმა უფრო სერიოზული იქნებოდა. არაფერი დრამატული მის თავს არ ხდება,"* – განაცხადა „ტოტენჰემის" 35 წლის მთავარმა მწვრთნელმა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ვარსკვლავი

## დიდიე დროგბა:

# გალაში ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად მოვედი

34 წლის კოტდივუარელმა **დიდიე დროგბამ** განაცხადა, რომ ზედიზედ მეორედ აპირებს ჩემპიონთა ლიგის მოგებას, ამჯერად ახალ კლუბთან ერთად.

„შანხაი შენხუაში" დროებით გაჩერების შემდეგ, აფრიკელმა სტამბოლელ „ლომებთან" 18-თვიანი კონტრაქტი გააფორმა. ახლა კი დროგბა ირწმუნება, რომ „გალათასარაის" ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდოს მოგება ძალუძს.

*„მე მოვედი „გალათასარაიში" ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად. ეს კლუბი მხოლოდ თურქული გრანდი არაა, ევროპაშიც ანგარიშგასაწევი ძალაა. ჩვენ პლეიოფში ვართ და დიდებული იქნება, ზედიზედ მეორედ თუ მოვიგებ ჩემპიონთა თასს. ძალიან კარგი გუნდი გვყავს: ვესლი სნეიდერი დიდი ძალაა, დიდი პატივია ჩემთვის მის მხარდამხარ თამაში. ვიცნობ იოჰან ელმანდერს, ფელიპე მელოს, ფერნანდო მუსლერას და სხვებს",* - განუცხადა დროგბამ თურქულ გაზეთ „მილიეთს".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოსაზრება

# ვან ბასტენის მილანური ოცნება

ჰოლანდიური „ჰეერენვეენის" მთავარი მწვრთნელი, ლეგენდარული **მარკო ვან ბასტენი** „მილანის" გაწვრთნაზე ოცნობებს და ამას ღიად აფიქსირებს. 48 წლის სპეციალისტი იტალიელ ჟურნალისტებს გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*„იტალიაში მუშაობა ჩემი ოცნებაა და თუ ერთ მშვენიერ დღეს „მილანი" ჩავიბარე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექნება. ამას სრულიად გულწრფელად ვამბობ და ვიცი, რომ გულშემატკივრები სწორად გამიგებენ. ამასთან, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს მასიმილიანო ალეგრისთან და მას წარმატებები მინდა ვუსურვო. მიუხედავად იმისა, რომ კალჩოს პრობლემები მოეძალა, სწორედ იტალიაში მსურს საკუთარი თავის გამოცდა. პრობლემებში რას ვგულისხმობ? - გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებულ სკანდალებს, მსაჯების მოხშირებულ შეცდომებს, მოძველებულ სტადიონებს და შესაბამისად, გულშემატკივართა სიმცირეს. როდესაც „მილანში" ვთამაშობდი, ყველა სტადიონი პირთამდე ივსებოდა, დღეს კი სხვა ვითარებაა. მოკლედ, კალჩოს პრობლემები არ აკლია, მაგრამ ამ ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია".*

**ლაშა ნიკლაური**



მარკო ვან ბასტენი

ნაპოლი

# დე ლაურენტისი: კავანის გაყიდვა არ მინდა...

## თუმცა, 63 მილიონი დიდი ფულია

ბოლო დღეებში, აქტიურად ვრცელდება ცნობები იმის თაობაზე, რომ ზაფხულში **ედინსონ კავანის** სანაცვლოდ „მანჩესტერ სიტის" მესვეურები 63 მილიონ ევროს გადაიხდიან. 25 წლის ურუგვაელი ფორვარდის საბაზრო ღირებულება სწორედ ამდენია და ეს თანხაც აქედანაა აღებული. გასულ ზაფხულს ინგლისელებმა ნეაპოლელებს 50 მილიონი შესთავაზეს, რაზეც **აურელიო დე ლაურენტისმა** უარი განაცხადა. იტალიური კლუბის პრეზიდენტმა იქვე დასძინა, რომ კავანის მხოლოდ კონტრაქტში გათვალისწინებული თანხის სანაცვლოდ გაყიდის და ეს თანხა სწორედ 63 მილიონია. ახალმა ინფორმაციამ დე ლაურენტისამდეც მიაღწია და ამ თემაზე საგანგებო კომენტარი გააკეთა:



ედინსონ კავანი

*„გასულ ზაფხულს, 50 მილიონზე უარი განვაცხადე და მაშინვე ვთქვი, რომ ედინსონის ფასი 63 მილიონი ევროა. კავანი მიყვარს როგორც ადამიანი და როგორც ფეხბურთელი, ასე რომ, მისი გასხვისების არავითარი სურვილი არ მაქვს. თუ ედინსონის ხელფასს და პლუს საკონტრაქტო ვალდებულებებს გავითვალისწინებთ, კლუბს ერთიანად მოუწევს 70 მილიონი ევროს გადახდა და თუ ამაზე ვინმე დათანხმდება, ალბათ ტრანსფერი შედგება. ეს ის თანხაა, რომლითაც სრულიად ახალი გუნდის გაკეთება შეიძლება და ასეთ შემთხვევაში, თუნდაც საუკეთესო ფეხბურთელის წასვლის არ უნდა შეგვეშინდეს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ კავანის გასხვისების სურვილი არ მაქვს".*

**ლაშა ნიკლაური**

ესპანეთი. ლა ლიგა



რეალს დიეგო ლოპესი 3,5 მილიონი ევრო დაუჯდა

# იანვრის ყველა ტრანსფერი

ესპანეთში უჩვეულოდ მშვიდად ჩაიარა ზამთრის სატრანსფერო პერიოდმა - მოწინავე გუნდებს თითქმის არავინ დაუმატებიათ („რეალი“ იკერ კასილიასის ტრავმამ იძულებული გახადა, მეკარე შეეძინა, „ბარსელონას“ და „ვალენსიას“ არავინ შეუძენიათ).

## რეალი

**მოვიდნენ**

დიეგო ლოპესი (მეკ, „სევილია“, 3,5 მლნ. ევრო)

**წავიდნენ**

ნური შაჰინი (ნახ, „დორტმუნდი“, იჯ, 1 მლნ)

## რეალ სოსიედადი

**მოვიდნენ**

არავინ

**წავიდნენ**

ჯეფრი სარპონგი

## ბეტისი

**მოვიდნენ**

დორლან პაბონი (თავ, იჯ, „პარმა“), გილერმო მოლინსი (ნახ, „ანდერლეხტი“, 0,5 მლნ), ალვარო ვადილიო (ახალგაზრდულიდან)

**წავიდნენ**

ხონათან პერეირა (თავ, იჯ, „ვილიარეალი“), სალვადორ აგრა (თავ,იჯ, „სიენა“), ხოსე ანტონიო დორადო (მც, „ვილიარეალი“), ნელსონი (მც, თავ. აგენტი, „პალერმო“)

## ესპანიოლი

**მოვიდნენ**

მარტინ პეტროვი (ნახ, თავ. აგენტი, „ბოლტონი“)

**წავიდნენ**

ერნესტო გალანი (მც, „ხერესი“), ხუან ანხელ ალბინი (ნახ, იჯ, „ნასიონალი“), რუი ფონტე (თავ, თავ აგენტი, „ბენფიკა II“)

## რაიო ვალეკანო

**მოვიდნენ**

რაულ ტამუდო (თავ, თავ. აგენტი, „პაჩუკა“), ხორდი ფიგერასი (მც, იჯ, „ბრიუგე“), გაბრიელ მაჩადო (თავ, თავ. აგენტი, „სტიაუა“), ანაიც არბილია (მც, თავ. აგენტი, „ერკულესი“)

**წავიდნენ**

ნიკი ბილე ნილსენი (თავ, იჯ. დაბრუნდა, „ვილიარეალი“), მოჰამედ აბუ (ნახ, იჯ. დაბრუნდა, „მანჩესტერ სიტი“), სუელიტონი (მც, თავ. აგენტი, „კრისიუმა“), პაპე მალი დიამანკა (ნახ, სარეზერვო გუნდში), მანუელ არანა (ნახ, თავ. აგენტი, „უელვა“), გაბრიელ მაჩადო (თავ, იჯ, „ერკულესი“)

## სარაგოსა

**მოვიდნენ**

რუბენ როჩინა (თავ, იჯ, „ბლექბერნი“), ხოსე მანუელ ფერნანდესი (მც, „კორდობა“), ჰენრი ბიენვენუ (თავ, იჯ, „ფენერბაჰჩე“), ადრია კარმონა (თავ, იჯ, „მილანი“), როდრი (თავ, იჯ, „ბარსელონა II“)

**წავიდნენ**

რაულ გონი (მც, თავ. აგენტი, „საბადელი“), კარლოს არანდა (თავ, „გრანადა“, 0,3 მლნ), ტონი დობლასი (მეკ, თავ. აგენტი, „ხაზარი“)

## გრანადა

**მოვიდნენ**

რესიო (ნახ, იჯ, „მალაგა“), კარლოს არანდა (თავ, „სარაგოსა“, 0,3 მლნ), ნოლიტო (თავ, იჯ, „ბენფიკა“), დიეგო ბუონანოტე (ნახ, „მალაგა“, 2,3 მლნ)

**წავიდნენ**

ალექს ბერნალი (ნახ, იჯ, „ლეგანესი“), ნალდო (მც, იჯ, „ბოლონია“), ხონა (თავ, იჯ, „გიმარაეში“), ანტონიო ფლორო ფლორესი (თავ, იჯ. დაბრუნდა, „უდინეზე“), ხაიმე რომერო (ნახ, იჯ. დაბრუნდა, „უდინეზე“), მოისეს ურტადო (ნახ, „ჟირონა“), ფაბიან ორელიანა (თავ, „სელტა“, 1,2 მლნ), დარვინ მაჩისი (თავ, იჯ, „გიმარაეში“), ხუანხო (თავ, თავ. აგენტი, „გვადალახარა“), ხოსე მარია კასესი (ნახ, „ალკოიანო“)

## დეპორტივო

**მოვიდნენ**

პაულო ასუნსაო (ნახ, თავ. აგენტი, „სან პაულო“), სილვიო (მც, იჯ, „ატლეტიკო“)

**წავიდნენ**

როდერიკ მირანდა (მც, იჯ. დაბრუნდა, „ბენფიკა“), იაგო ბესეირო (თავ, „კარპატი“), დიეგო სეაონე (მც, იჯ, „კორდობა“), საული (ნახ, „პონფერადინა“), როდოლფო ბოდიპო (თავ)

## სელტა

**მოვიდნენ**

ვადიმ დემიდოვი (მც, იჯ, „აინტრახტი“), დანიელ პრანიჩი (მც, იჯ, „სპორტინგი“), ფაბიან ორელიანა (თავ, „გრანადა“, 1,2 მლნ)

**წავიდნენ**

ხოან ტომასი (თავ, „აეკ ლარნაკა“), კრისტიან ბუსტოსი (ნახ, იჯ, „სპორტინგი“), დანი აბალო (ნახ, იჯ, „ბეირა მარი“)

## ხეტაფე

**მოვიდნენ**

სერხიო ესკუდერო (მც, იჯ, „შალკე“), ფედერიკო ფერნანდესი (მც, იჯ, „ნაპოლი“)

**წავიდნენ**

დავიდ აბრაამი (მც, „ჰოფენჰაიმი“, 3 მლნ)

## ბილბაო

**მოვიდნენ**

აიმერი ლაპორტე (მც, სარეზერვო გუნდიდან)

**წავიდნენ**

არავინ

## ბარსელონა

**მოვიდნენ**

არავინ

**წავიდნენ**

ისააკ კვენკა (თავ, იჯ, „აიაქსი“), მარკ მუნიესა (მც, სარეზერვო გუნდში)

## ვალენსია

**მოვიდნენ**

არავინ

**წავიდნენ**

ფერნანდო გაგო (ნახ, იჯ, „ველეს სარსფილდი“)

## მალაგა

**მოვიდნენ**

პედრო მორალესი (ნახ, თავ. აგენტი, „დინამო“ ზ.), ლუკას პიაზონი (ნახ, იჯ, „ჩელსი“), დიეგო ლუგანო (მც, იჯ, პსჟ), ვიტორინო ანტუნეში (მც, იჯ, „ფერეირა“)

**წავიდნენ**

სანდრო სილვა (ნახ, იჯ, „ვასკუ და გამა“), რესიო (ნახ, თავ. აგენტი, „გრანადა“), ხუანმი (ნახ, იჯ, „რასინგი“), დიეგო ბუონანოტე (ნახ, „გრანადა“, 2,3 მლნ), ნაჩო მონრეალი (მც, „არსენალი“, 10 მლნ)

## ატლეტიკო

**მოვიდნენ**

ემილიანო ინსუა (მც, „სპორტინგი“, 3,5 მლნ)

**წავიდნენ**

ხოელ რობლესი (მეკ, იჯ, „უიგანი“), სილვიო (მც, იჯ, „დეპორტივო“), ემრე ბელოზოღლუ (ნახ, „ფენერბაჰჩე“, 0,35 მლნ)

## ლევანტე

**მოვიდნენ**

ვალდო (ნახ, თავ. აგენტი, „ატლანტე“), რუბენ გარსია (ნახ, სარეზერვო გუნდიდან), ლუკას ვინტრა (მც, თავ. აგენტი, „პანათინაიკოსი“), რობერტ აკვაფრესკა (თავ, იჯ, „ბოლონია“)

**წავიდნენ**

მასიმო ვოლტა (მც, იჯ. დაბრუნდა, „სამპდორია“), ანხელ როდრიგესი (თავ, იჯ, „ელჩე“), ოსკარ სერანო (ნახ), მიგელ პალიარდო (ნახ, თავ. აგენტი, „ალმერია“)

## ოსასუნა

**მოვიდნენ**

რიკარდო (მეკ, თავ. აგენტი), მიგელ დე ლას კუევასი (ნახ, იჯ, „სპორტინგი“), ფრანსისკო სილვა (ნახ, იჯ, „უნივერსიდად კათოლიკა“)

**წავიდნენ**

იონ ეჩაიდე (მც, იჯ, „უესკა“), როლან ლამა (ნახ, იჯ, „სუონსი“)

## მალიორკა

**მოვიდნენ**

ანტონიო ლუნა (მც, იჯ, „სევილია“), ალან ჰატონი (მც, იჯ, „ასტონ ვილა“), ფერნანდო ტისონე (ნახ, იჯ, „სამპდორია“)

**წავიდნენ**

მარვინ ოგუნჯიმი (თავ, იჯ, „ბეერსხოტი“)

## სევილია

**მოვიდნენ**

ბეტო (მეკ, იჯ, „ბრაგა“), მიროსლავ სტევანოვიჩი (ნახ, „ვოივოდინა“, 1,5 მლნ)

**წავიდნენ**

ბერნარდო ესპინოსა (მც, იჯ, „სპორტინგი“), დიეგო ლოპესი (მეკ, „რეალი“, 3,5 მლნ), ანტონიო ლუნა (მც, იჯ, „მალიორკა“)

## ვალიადოლიდი

**მოვიდნენ**

დანიელ ლარსონი (ნახ, თავ. აგენტი, „მალმიო“), ვალდეტ რამა (თავ, „ორებრო“)

**წავიდნენ**

არავინ

ესპანეთის ნაკრები

# პუიოლის ასიანი და სამი დებიუტანტი

### აქა ამბავი ევროპის ჩემპიონის მიერ კოპა ამერიკას მომგების ძლევისა

**ერთი კონტინენტის გამარჯვებულმა მეორის ტრიუმფატორს ნეიტრალურ ტერიტორიაზე აჯობა - ყატარის დედაქალაქ დოჰაში, „ხალიფა ინტერნეშნლზე“ ესპანეთის ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონობასთან ერთად მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონია, 3:1 მოუგო ურუგვაის ნაკრებს.**

## იუბილეზე მოპარული გოლი

ამ თამაშში ყველაზე გამოსარჩევი **კარლეს პუიოლის** დაბრუნებაა - თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ: 34 წლის ვეტერანმა პირველი ტაიმი ითამაშა და „ფურია როხას“ მაისურით საიუბილეო, მე-100 კეპი მოიხვეჭა. ესპანეთის ნაკრებში სულ 6 ფეხბურთელია, რომლებიც კარლესს ეროვნულ ნაკრებში თამაშების რაოდენობით ჯობნიან: **იკერ კასილიასი, ჩავი, ანდონი სუბისარეტა, ჩაბი ალონსო, რაული** და **ფერნანდო ტორესი.**

■ ■ ■

პუიოლს შეეძლო იუბილე გოლითაც აღენიშნა, მაგრამ ყატარელი არბიტრის, **ფაჰად ჯაბერის** თანაშემწის გამოგონილი ოფსაიდით მას წესების დაცვით გატანილი გოლი გაუუქმეს.

■ ■ ■

**ვისენტე დელ ბოსკემ** სამივე დებიუტანტი ათამაშა. „ჩელსის“ განაპირა მცველი **სესარ ასპილიკუეტა** სულაც ძირითადში იყო, შეცვლაზე შევიდნენ **ისკო** და **მარიო სუარესი.**

## კურიოზული გოლით

ესპანელთა სამივე გოლი „ბარსელონას“ ფეხბურთელებმა გაიტანეს, საგოლე პასებიც კატალონიელებისაა. პირველი გოლი ცოტა კურიოზული გამოდგა - **სესკ ფაბრეგასმა** შორიდან დაარტყა, დარტყმას აულებელი ნამდვილად არ ეთქმოდა, მაგრამ მეკარე **მუსლერამ** ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა. „ფურია როხას“ მეორე გოლი საჯარიმოს მისადგომებთან ურუგვაელთა მხრიდან ბურთის უაზრო დაკარგვას მოჰყვა - **ჟერარდ პიკემ** უმალ მოძებნა **პედრო როდრიგესი.** მესამე გოლი ფაბრეგასის პასს მოჰყვა, პედრომ მუსლერას დაასწრო. გოლკიპერს ამ შემთხვევაშიც უკეთ გარჯა მართებდა.

■ ■ ■

ურუგვაელებმა შედეგიანად ერთხელ გაისროლეს - პირველ ტაიმში გაათანაბრეს ანგარიში - მცველმა **კასერესმა** პლეიმეიქერს რომ შეშურდება, ისეთი პასი „გაუჭრა“ **კრისტიან „სებოლა“ როდრიგესს** და მადრიდის „ატლეტიკოს“ ახალგაზრდა ნახევარმცველმაც კარლეს პუიოლს დაასწრო.

■ ■ ■

მატჩის შემდეგ მედიას ესპანელთა თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე გაესაუბრა:

## პედროს შესახებ

*„პედრომ ძალიან დიდი როლი იკისრა დღევანდელ მოგებაში. ის ძალიან დინამიკურია, სწრაფია, რაც თანამედროვე ფეხბურთში აუცილებელი პირობა გახდა და ყოველთვის იცის, მოცემულ მომენტში რა მოიმოქმედოს. პირველ ტაიმში სწორედ ეს შემართება გვაკლდა, მეორეში კი პედრომ ეს დანაკარგი აგვინაზღაურა“*

## სამი დებიუტანტის შესახებ

*„ასპილიკუეტა, სუარესი და ისკო ის ხალხია, რომელთაც მომავალში უნდა გააძლიერონ ჩვენი ნაკრები. ისინი ჯგუფში ყოველგვარი პრობლემის გარეშე შემოვიდნენ. ვნახოთ, როგორც წარმოაჩენენ თავს, ისე წარიმართება მათი საერთაშორისო კარიერა“.*

## თამაშის შეფასება

*„ესპანეთის ნაკრები მომენტებში კარგ ფეხბურთს თამაშობდა. მეტოქე ძალიან კარგ დაცვას გვეთამაშებოდა, ამიტომაც გაძნელდა შეტევები. თანაც, ურუგვაელთა კონტრშეტევები სახიფათო იყო, ამიტომაც უკანმოუხედავად ვერც შევუტევდით“.*

## მომავალ დაპირისპირებაზე ურუგვაისთან

*„ურუგვაის ჩვენ კიდევ გადავეყრებით - კონფედერაციათა თასზე. ურუგვაი ძალიან რთული მეტოქეა, დაცვაში კარგი და შეტევაში ძალზე სახიფათო. ძალიან მნიშვნელოვანია, ნელ-ნელა ახალი ფეხბურთელებიც შევაჩვიოთ ნაკრებს, რომ გუნდმა არ დაკარგოს ტონუსი და საბრძოლო ჟინი. არა აქვს მნიშვნელობა, თამაში ამხანაგური იქნება თუ ოფიციალური“*

## მარტის ოფიციალურ მატჩებზე

*„ორ-ნახევარი თვე არ შევკრებილვართ აქამდე, ახლა კიდევ 6 კვირაა ფინელებთან მატჩამდე. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი იყო დღევანდელი თამაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რა გველის მარტში: ორი ძალიან მძიმე მატჩი. თუკი, გუნდში ფეხბურთელები კარგად შეეწყობიან ერთმანეთს, წარმატება არ დაახანებს. მინდა ვთქვა, რომ გუნდში ყველა ფეხბურთელი ისე იქცევა, როგორც ნაკრების მოთამაშეს შეეფერება“.*

## ყატარის შესახებ

*„ჩვენ გაოცებულნი და მოხიბლულნი ვართ იმით, რაც ვნახეთ ყატარში. საკვირველია, რა მაღალ დონეზეა აქაური ინფრასტრუქტურა, რა მაღალი დონის პროფესიონალები მუშაობენ სპორტის სფეროში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მოედანს - ის უბრალოდ ბრწყინვალე იყო“.*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**


ესპანელები ფაბრეგასს კურიოზულ გოლს ზეიმობენ

საფრანგეთი-გერმანია. გამოხმაურება

# ისტორიული გამარჯვება

**იოახიმ ლიოვის** გუნდმა პარიზში ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. გერმანიის ნაკრებს საფრანგეთი 1987 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია. მაშინ, „ბუნდესნაკრებმა“ 2:1 მოიგო (ორივე გოლი **რუდი ფიოლერმა** გაიტანა), იქიდან მოყოლებული გამართულ 6 შეხვედრაში, 5-ჯერ გამარჯვება ფრანგებს დარჩათ, ერთხელ კი შეხვედრა ფრედ დასრულდა. გასაკვირი ნამდვილად არ არის ის, რომ საერთო ბალანსი საფრანგეთის სასარგებლოდ იყო (11 მოგება, 6 ფრე და 7 მარცხი).

მეზობლების ბოლო შეხვედრა 2012 წელს ბრემენში შედგა. ფრანგებმა 2:1, **ოლივიე ჟირუს** და **ფლორან მალუდას** გოლების წყალობით მოიგეს. ერთი წლის წინ გამართული მატჩის მსგავსად, „სტად დე ფრანსზეც“ პირველი ტაიმი „სამფეროვნებმა“ მოიგეს, არადა გერმანელები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ და გოლის გატანის საკმაოდ კარგი შანსებიც ჰქონდათ. შეხვედრის 44-ე წუთზე ანგარიში **მატიო ვალბუენამ** თავური დარტყმით გახსნა და თითქოს, ფრანგთა დაუმარცხებელი სერია უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ამ შეხვედრაში გერმანელების ხასიათმა გადამწყვეტი როლი ითამაშა.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის მეორე ტაიმში ფრანგები უკეთ გამოიყურებოდნენ და მომენტსაც უხვად ქმნიდნენ, გოლები ბუნდესნაკრებმა გაიტანა. 51-ე წუთზე შეცდა **ეტიენ კაპუ**, რომელმაც ბურთი **ილქაი გიუნდოგანს** ჩააბარა და ამ უკანასკნელის პასის შემდეგ, **თომას მიულერმა** ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრის 74-ე წუთზე კი წლის ერთ-ერთი საუკეთესო პასი ვნახეთ – **მესუთ იოზილმა** და **სამი ხედირამ** სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა.



მესუთ იოზილმა შესანიშნავი მატჩი ჩაატარა

იოზილის გადაცემა, რომლის შემდეგაც „რეალში“ მისი თანაგუნდელი **უგო ლორისთან** პირისპირ დარჩა, სასწაულთა კატეგორიაში გადის.

მატჩის შემდეგ, იოახიმ ლიოვმა, პირველ რიგში სწორედ იოზილი შეაქო:

*„მესუთი დღეს შესანიშნავი იყო. ის დღეს შეუცდომლად მოქმედებდა და მას ჩვენს გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. ძალიან ბევრი იშრომეს პოდოლსკიმ და მიულერმა, რაც ისეთი შემტევი პოტენციალის მქონე გუნდის წინააღმდეგ, როგორიც საფრანგეთის ნაკრები გახლავთ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დეშამის გუნდმა, ბოლო პერიოდში მოუმატა და ახლა გაცილებით უკეთესი გუნდია, ვიდრე თუნდაც 2010 წელს იყო. მათ ჯგუფში ფავორიტი ესპანეთია, მაგრამ ვფიქრობ მუნდიალზე საფრანგეთის ნაკრებსაც ვიხილავთ“.*

**სამი ხედირა:** *„პირველი ტაიმის ანგარიში რეალურ სურათს არ ასახავდა, რადგან ჩვენ მეტოქეზე უკეთ ვთამაშობდით. საფრანგეთის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია, რომელთანაც 90 წუთის განმავლობაში არც ერთი წამით არ უნდა მოეშვა. საბედნიეროდ, მეორე ტაიმში თამაში გადავაწყვეთ და ლამაზი გამარჯვება მოვიპოვეთ“.*

იმედგაცრუებული იყო მატიო ვალბუენა, რომელმაც საფეხბურთო კარიერაში თავით პირველი გოლი გაიტანა: *„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, რადგან კარგად ვითამაშეთ და რომ არა ჩვენი შეცდომები, ამ შეხვედრას არ წავაგებდით. ხასიათი, რა თქმა უნდა, გაგვიფუჭდა, რადგან მოგება გვსურდა, მაგრამ ამ შეხვედრაზე მნიშვნელოვანი მატჩები საქართველოსთან და ესპანეთთან გველის და თუ იმ შეხვედრებს მოვიგებთ, ეს დამარცხება აღარ გაგვახსენდება“.*

**დიდიე დეშამი:** *„შეტევაში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ და გოლების გატანაც შეგვეძლო, სამწუხაროდ დაცვაში დაშვებულმა შეცდომებმა ცუდი სამსახური გაგვიწია და დავმარცხდით. მეტოქედ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა, რომელთან წაგებაც ტრაგედია არ არის, მაგრამ ოდნავ უფრო მეტად რომ გაგვმართლებოდა, ამ შეხვედრას არ წავაგებდით“.*

საფრანგეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს მესუთ იოზილის შექებაც არ დაავიწყდა: *„იოზილი ძალიან ტექნიკური ფეხბურთელია, რომელსაც მოედნის შესანიშნავი ხედვა აქვს და მისთვის ბურთის წართმევა ძალიან ძნელია. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ის შესანიშნავ ფორმაში იყო და მას ლამის ყველაფერი გამოსდიოდა“.*

შვედეთი-არგენტინა. გამოხმაურება

# არგენტინამ შვედეთი პირველად დაამარცხა

შეხვედრის 88-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 1:3 იყო, მოედანზე „ბარსელონას“ ფორმაში გამოწყობილი „მესი“ გამოვარდა, „არგენტინელ“ **მესისთან** მიიჭრა და გულში ჩაიხუტა, შემდეგ თავზე აკოცა და როგორც ყოველთვის, დაგვიანებით გამოჩენილ სამართალდამცავებს მშვიდობიანად ჩაჰბარდა. არა, ეს „ჯიმი ჯამპი“ არ იყო, მაგრამ მის მსგავსად, ეს ადამიანიც „ბარსელონას“ და მესის დიდი თაყვანისმცემელი აღმოჩნდა, რომელმაც მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ეს მომენტი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მის ცხოვრებაში და ამისთვის ჯარიმის გადახდა ნამდვილად ღირდა.



თავად თამაში ძალზე სანახაობრივი და უხვგოლიანი გამოდგა. გარდა გატანილი ხუთი გოლისა, გუნდებს უამრავი მომენტი ჰქონდათ და საბოლოო შედეგი შეიძლებოდა გაცილებით დიდი ყოფილიყო. პირველ 23 წუთში მაყურებელმა ოთხი გოლი იხილა. ჯერ **დი მარია-იგუაინის** კომბინაციის შემდეგ, **მიკაელ ლუსტიგმა** საკუთარი კარი დალაშქრა, რასაც **კიმ კალსტრიომის** კუთხური და **იონას ოლსონის** შედეგიანი თავური დარტყმა მოჰყვა. სხვათა შორის, ოლსონმა ნაკრებში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

„ვესტ ბრომვიჩის“ მცველის გოლიდან ერთი წუთი იყო გასული, როდესაც დი მარიას გადაცემის შემდეგ, **ისაკსონთან** პირისპირ დარჩენილმა **აგუერომ** კვლავ არგენტინა დააწინაურა. აღსანიშნავია, რომ პასის მომენტში, „მანჩესტერ სიტის“ ფორვარდი აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა და ეს გოლი არ უნდა ჩათვლილიყო. სამაგიეროდ, თამაშგარეში არ იყო იგუაინი, რომელმაც ლიონელ მესის დარტყმის შემდეგ, ისაკსონის მიერ მოგერიებულ ბურთს დაამატა და ანგარიში 1:3 გახადა.

საკმაოდ კარგი მატჩი ჩაატარა ლეო მესიმ, რომელიც არგენტინის ნაკრების ლამის ყველა შეტევის ორგანიზატორი იყო, თუმცა „პულგამ“ ტაბლოზე საკუთარი გვარის დაფიქსირება ვერ მოახერხა, არადა ამის შესანიშნავი შანსი ჰქონდა – მეორე ტაიმში, მესი მეკარესთან პირისპირ დარჩა, ცარიელ კართან მდგარი იგუაინისთვის გადაცემის გაკეთების ნაცვლად, „ბარსელონელმა“ ისაკსონს ბურთი თავზე გადაუგდო და თითქოს გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ „კასიმფაშას“ კიპერმა მცირე საოცრება მოახდინა, ბურთს კარის ხაზზე მიასწრო და ე.წ. „მაკრატელათი“ მოიგერია.

შვედებიდან ასეთი ტრიუკები ყველაზე კარგად **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** გამოსდის, რომელზეც ჯერ არაფერი გვითქვამს, არადა შვედეთი-არგენტინის დაპირისპირების მთავარი ინტრიგა სწორედ იბრა-მესის დუელი იყო. ზლატანმა პირველ წუთებში იაქტიურა, პარტნიორებს მომენტებიც შეუქმნა, მაგრამ შემდეგ ჩრდილში მოექცა, მეორე ტაიმში კი მოედანზე საერთოდ არ გამოსულა, რადგან მის კლუბ „პარი სენ ჟერმენს“ პარასკევს საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი ელის, რის გამოც პარიზელებმა შვედთა დამრიგებელ **ერიკ ჰამრენს** იბრას მხოლოდ ერთი ტაიმით დატვირთვა სთხოვეს.

შეხვედრის მეორე ნახევარში ბევრი ცვლილება განხორციელდა, მაგრამ მომენტები მაინც იქმნებოდა, თუმცა გოლი მხოლოდ 95-ე წუთზე ვიხილეთ, როდესაც **რასმუს ელმმა**, თავის სტილში, შორეული საჯარიმო დარტყმით **სერხიო რომეროს** აჯობა და საბოლოოდ ანგარიში დააფიქსირა.

არგენტინამ შვედების დამარცხება ისტორიაში პირველად მოახერხა. აქამდე, ამ გუნდებს სულ ორი შეხვედრა ჰქონდათ გამართული: 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე შვედებმა 3:2 მოიგეს, 2002 წლის არგენტინელთათვის ავადსახსენებელი მატჩი კი 1:1 დასრულდა. სხვათა შორის, გუშინ შვედების რიგებში ერთი ისეთი ფეხბურთელი იყო, ვინც იმ მატჩში ითამაშა. ლაპარაკი, რა თქმა უნდა, „ალბისელესტეს“ დამაქცევარ **ანდერს სვენსონზე** გვაქვს, რომელმაც იმ შეხვედრაში ანგარიში გახსნა. 37 წლის სვენსონმა გუშინ ნაკრებში 138-ე თამაში ჩაატარა და ამ მაჩვენებლით ის მხოლოდ ლეგენდარულ **ტომას რაველის** ჩამორჩება, რომელმაც „ტრე კრუნურის“ კარი 143-ჯერ დაიცვა.

მატჩის შემდეგ მესიმ ჟურნალისტებთან არგენტინის ნაკრების მიზნებზე და პროგრესზე ისაუბრა:

**ლიონელ მესი:** *„წელსაც იგივე მიზანი გვაქვს, რაც შარშან გვქონდა. გვსურს, რომ კვლავ კარგად ვითამაშოთ და რაც შეიძლება სწრაფად მოვიპოვოთ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური. ჩვენ ძალიან ბევრს ვშრომობთ და ვცდილობთ, რომ ერთიან, ძლიერ გუნდად ჩამოვყალიბდეთ. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით წინ მივდივართ, რასაც ჩვენი თამაშით ვამტკიცებთ“.*

მესიმ ის ეპიზოდიც გაიხსენა, როდესაც ისაკსონმა „იიბრაჰიმოვიჩა“ და ბურთი „მაკრატელათი“ მოიგერია: *„ვფიქრობ, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა და გოლი უნდა დაფიქსირებულიყო, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ ნაკრებმა მოიგო“.*

კვირა ციფრებში




ეშლი კოულმა ნაკრებში მე-100 მატჩი ჩაატარა.

# ასიანთა კლუბის წევრები და შეწყვეტილი სერიები

**ამ კვირის სტატისტიკური შეჯამება ეროვნულ ნაკრებებს დაეთმობა. რამდენიმე ფეხბურთელი 100-იანთა კლუბის წევრი გახდა. გარდა ამისა, ეს კვირა გამორჩეული იყო ვისენტე დელ ბოსკეთვის, ისევე როგორც ინგლისის ნაკრებისთვის, რომელმაც როგორც იქნა, ბრაზილიის ნაკრების დამარცხება შეძლო.**

**100** – ოთხშაბათს, მსოფლიოს მასშტაბით უამრავი საერთაშორისო მატჩი გაიმართა. ეს დღე, რამდენიმე ფეხბურთელისთვის მართლაც გამორჩეული იყო, რადგან მათ საკუთარი ქვეყნის ღირსება მეასედ დაიცვეს. ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **კარლეს პუიოლი** და ინგლისის ნაკრების მარცხენა მცველი **ეშლი კოული**, 100-იანთა კლუბის წევრები გახდნენ. ორივე ეს მოთამაშე, საკუთარი ნაკრების ისტორიაში მეშვიდე ფეხბურთელია, ვინც ასეთ ნიშნულს მიაღწია, თუმცა ისინი საკმაოდ ჩამორჩებიან ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელ ფეხბურთელებს, **იკერ კასილიასსა** (143 თამაში) და **პიტერ შილტონს** (125 თამაში).

ინგლისისა და ესპანეთისგან განსხვავებით, ხორვატიის ნაკრებმა მოედანზე ასეთი ერთბაშად სამი ფეხბურთელი გამოიყვანა. კორეის ნაკრებთან გამართული მატჩი, **სტიპე პლეტიკოშასთვის, დარიო სრნასთვის** და **იოსიპ შიმუნიჩისთვის** ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მეასე მატჩი გამოდგა.

**19** – წელია ნიგერიას აფრიკის თასი არ მოუგია. ამ სერიის დასრულებას, ნიგერიელები კვირას ეცდებიან, როდესაც ფინალში სენსაციურად გასულ ბურკინა ფასოს დაუპირისპირდებიან. თითქმის 20 წლის წინ, **ჯეი ჯეი ოკოჩას, რაშიდ იეკინის** და **სანდეი ოლისეს** ნაკრებმა, ტუნისში ზამბია დაამარცხა და აფრიკის თასი უკანასკნელად მოიგო. „სუპერარწივების“ ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი **სტივენ კეში** 1994 წელს ნაკრების წევრი იყო. ნიგერია, რომელიც აფრიკის ყველაზე დასახლებული ქვეყანაა, ფინალში ბოლოს 2000 წელს მონაწილეობდა, მათი მეტოქე ბურკინა ფასო კი აფრიკის ერთა თასის გადამწყვეტ შეხვედრაში პირველად ითამაშებს.

**68** – მატჩი ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. **ვისენტე დელ ბოსკე** „ფურია როხას“ თანარეკორდსმენი გახდა, წამოეწია რა **ლადისლაო კუბალას**, რომელიც ესპანეთს სათავეში 11 წლის განმავლობაში ედგა. უნგრეთში დაბადებული „ბარსელონას“ ლეგენდის ხელმძღვანელობით, ესპანელებმა 31 თამაში მოიგეს, 21 ფრედ დაასრულეს და 16 წააგეს. დელ ბოსკემ „ლა როხას“ 57 შეხვედრაში მოუტანა გამარჯვება, 5 მატჩი ფრედ დასრულდა და ესპანელები მხოლოდ 6-ჯერ დამარცხდნენ. საინტერესოა, რომ ლადისლაო კუბალას ბოლო მატჩი (1980 წელს), ასევე უკანასკნელი იყო ფეხბურთელი ვისენტე დელ ბოსკესთვის, თუმცა ნახევარმცველი იმ შეხვედრაში სათადარიგო სკამზე იჯდა.

*„კუბალა, ყველაფერთან ერთად, ნამდვილი ჯენტლმენი და კარგი ადამიანი იყო, რაც ეროვნული ნაკრების მწვრთნელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მე ის დამამახსოვრდა როგორც კეთილი ადამიანი, ვისაც ძალიან უყვარდა ფეხბურთი,“* – განაცხადა კუბალას შესახებ დელ ბოსკემ.

**23** – წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ინგლისმა უკანასკნელად შეძლო ბრაზილიის დამარცხება. 1990 წელს ბრიტანელებმა „სელესაოს“ 1:0 **გარი ლინეკერის** გოლის წყალობით მოუგეს და მას შემდეგ ბრაზილიას 9 შეხვედრის განმავლობაში ვერ ამარცხებდნენ. ეს უიღბლო სერია ოთხშაბათს დასრულდა, როდესაც **რუნის** და **ლამპარდის** გოლების წყალობით, ინგლისმა „უემბლიზე“ 2:1 მოიგო.

გარდა ამისა, ეს იყო პირველი შემთხვევა 1984 წლის შემდეგ, როდესაც ინგლისმა ბრაზილიას ერთზე მეტი გოლი გაუტანა. მაშინ, „მარაკანაზე“ გამართულ შეხვედრაში, ბრიტანელებმა მასპინძლებს 2:0 მოუგეს. ის შეხვედრა ბევრს **ჯონ ბარნსის** საოცარი გოლის გამო დაამახსოვრდა, როდესაც „უოტფორდში“ მოთამაშე „ლივერპულის“ მომავალმა ლეგენდამ ბრაზილიელთა კარი ბრწყინვალე დრიბლინგის შემდეგ აიღო.

**0.5** – გოლი საშუალოდ ერთ შეხვედრაში – ასეთი შედეგი ყველა ფორვარდისთვის საამაყო იქნებოდა, მით უმეტეს საამაყოა მცველისთვის... ავსტრალიელმა მცველმა **რობი კორნტვეიტმა** რუმინეთთან შეხვედრაში ნაკრების რიგებში მესამე გოლი გაიტანა, არადა ეს მისთვის მხოლოდ მეექვსე მატჩი იყო. საინტერესოა, რომ **ლუკას ნილს**, კორნტვეიტის პარტნიორს დაცვის ცენტრში, „სოკერუზის“ რიგებში ჩატარებულ 89 შეხვედრაში გოლი არ გაუტანია, არადა ნილი ნაკრებში უკვე 17 წელია თამაშობს.

**27** წლის კორნტვეიტი, რომელიც 6 წლის განმავლობაში „ადელაიდაში“ თამაშობდა და ამ გუნდში ჩატარებულ 103 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა, ახლა კორეული კლუბის, „ჩუნამ დრაგონსის“ ღირსებას იცავს.

აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი ყოფილი „ადელაიდელი“ ფორვარდი **კოსტას სალაპასიდისი**, რომელმაც 1997 წლის 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მომავალ ჩემპიონ არგენტინას 4 გოლი გაუტანა, არადა ამავე დროს, საკლუბო კარიერაში ჩატარებულ 51 შეხვედრაში სულ 1 გოლი ჰქონდა გატანილი.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძე**

ამხანაგური მატჩი

# პირველად 23 წლის შემდეგ



იუბილარი ეშლი კოული და ინგლისელთა ლიდერი უეინ რუნი ბრაზილიელი ნეიმარის წინააღმდეგ

6 თებერვალი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ტრაგედიის დღეა. 1958 წელს მიუნხენის აეროპორტში **მეტ ბასბის** ლეგენდარული „მანჩესტერ იუნაიტედის" თვითმფრინავს ავიაკატასტროფა შეემთხვა, რასაც 21 ადამიანი შეეწირა, მათ შორის 8 ფეხბურთელი, 3 სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენელი, 8 ჟურნალისტი და 2 რიგითი მგზავრი. მას შემდეგ 55 წელიწადი გავიდა, თუმცა კუნძულზე ეს დღე არ ავიწყდებათ. მასპინძელთა ნაკრები სწორედ ამის გამო იყო, მოედანზე შავი სამკლავურებით რომ გამოვიდა. **როი ჰოჯსონის** გუნდის საბრძოლო განწყობაზე მოქმედებდა ისიც, რომ „პენტაკამპეონებთან" 1990 წლის შემდეგ არ ჰქონდათ მოგებული. წარუმატებელ სერიას ოდესმე წერტილი ხომ უნდა დასმოდა? ინგლისმა იმარჯვა და არც არავინ დავობს, რომ მან ეს 100%-ით დაიმსახურა. შეხვედრას თავისი გმირები ჰყავდა, რომელთა გარეშე ეს შედეგი არ დადგებოდა. გვინდა გამოვყოთ **უეინ რუნისა** და **ჯო ჰარტის** გარჯა. პირველმა გოლის გარდა საგოლე გადაცემა მიითვალა, მეორემ კი 0:0-ზე **რონალდინიოს** პენალტი აუღო და დამატებაზეც არ მისცა გატანის საშუალება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ასევე **ეშლი კოული**, ვინც მეასე სანაკრებო შეხვედრა გამართა.

**მატჩის შემდგომ**

**როი ჰოჯსონი** (ინგლისი): *„ფრენკ ლამპარდმა ფანტასტიკურად ითამაშა. დარწმუნებული ვარ, რომ ნაკრებში ის 100 და მეტი შეხვედრის ჩატარებასაც შეძლებს. იმედი მაქვს, ფრენკი კარიერას პრემიერლიგაში გააგრძელებს. ცხადია, „ჩელსიში" მისი მომავალი ჩემი განსასჯელი არ არის, მაგრამ თუნდაც წავიდეს ლონდონური კლუბიდან, მას კარიერის გაგრძელების არაერთი მშვენიერი შანსი მიეცემა. იდეალური იქნება, თუკი ევროპაში მაინც დარჩება, რადგან ეს გააიოლებს ჩემს ამოცანას. თუკი ფრენკი დევიდ ბექჰემის გზას დაადგება, მაშინ სიტუაცია ცოტა გართულდება, მაგრამ არც ეს იქნება იმის წინაპირობა, რომ მის სანაკრებო კარიერას ამით წერტილი დავუსვათ.*

*ძალიან მომეწონა თეო უოლკოტი და ჯეკ უილშირი. უკანასკნელი მეტოქის დაცვას 90 წუთის განმავლობაში აწიოკებდა, მონაწილეობდა პირველ საგოლე კომბინაციაში და თამაშისას რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც ჰქონდა გასატანად. თუკი ის ამ დონეს დიდხანს შეინარჩუნებს, დარწმუნებული ვარ, მასზე გაცემულ ავანსებს მთლიანად გაამართლებს. საერთოდაც, დღეს ჩვენ ვიხილეთ მაღალი კლასის გუნდის თამაში. მეტოქედ ბრაზილია გვყავდა და მოხარული ვარ, სწორედ მასთან ვითამაშეთ ასე კარგად. ცალკე აღვნიშნავ ეშლი კოულს. მის შეცვლას ნამდვილად არ ვგეგმავდი, მაგრამ ფეხბურთელი მუხლმა შეაწუხა და იძულებული გავხდი, ეს ნაბიჯი გადამედგა. გარწმუნებთ, ოფიციალური მატჩი რომ ყოფილიყო, ის შეძლებდა და ბოლომდე ითამაშებდა".*

**სტივენ ჯერარდი** (ინგლისის ნაკრების კაპიტანი): *„ბიჭები მთელი თამაში წამით არ გაჩერებულან, რის გამოც მხოლოდ კომპლიმენტებს იმსახურებენ. ბრაზილიელებს ბურთით თავისუფლად გადაადგილების საშუალება არ მისცემიათ. ამისთვის რომ მიგვეღწია, ძალიან დიდი შრომა დაგვჭირდა. გამარჯვება ნამდვილად დავიმსახურეთ. იყო თუ არა ეს ინგლისის საუკეთესო თამაში როი ჰოჯსონის ხელმძღვანელობით? შედარებით უფრო სუსტ მოწინააღმდეგეებთან რამდენიმე კარგი მატჩი გავმართეთ, მაგრამ ამ დონის მეტოქესთან მეტი ძალისხმევა იყო საჭირო. ბრაზილიამ შანსები გაანიავა, მაგრამ რამდენჯერმე გატანს ჩვენც შევქმენით. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ჯეკ უილშირი. ის ფანტასტიკური ფეხბურთელია. პირველი კონტროლის მისეული ნიჭი საშუალებას მისცემს, რომ არა მხოლოდ ინგლისის, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახდეს. იმდენი ხანია ბრაზილიისთვის არ მოგვიგია, რომ დღეს საღამოს ნამდვილად შეიძლება დავტკბეთ ამ მიღწევით".*

**ლუიზ ფელიპე სკოლარი** (ბრაზილია): *„მეტოქე თავისუფალ ზონებს პრაქტიკულად არ ტოვებდა, რამაც ნეიმარს არ მისცა საშუალება, რომ თავისი საუკეთესო თვისებები ყველასთვის ეჩვენებინა. არც გამიკვირდა, რადგან ჩვენს მასპინძელ გუნდს სივრცის შეზღუდვა ყოველთვის კარგად გამოსდიოდა. ნაკრებით იმედგაცრუებული არ ვარ, რადგან ჩვენ წინააღმდეგ თამაშობდა საუკეთესო ფიზიკურ კონდიციებში მყოფი გუნდი. ჩვენ კი შემადგენლობაში გვყავდა 8-9 ისეთი მოთამაშე, ვინც სეზონისთვის მზადება სულ ახლახან დაიწყო. მოდი, ვნახოთ, როგორ ითამაშებენ ინგლისელები 2 ივნისს „მარაკანაზე". გადაღლილი იყო რონალდინიოც. მისი შეცვლა ამით იყო განპირობებული. თუკი ის გუნდისთვის სასარგებლო შრომას არც მომავალში დაიზარებს, მომდევნო შეხვედრებისთვისაც აუცილებლად მივიწვევ".*

ჩელსი




ინგლისური მასმედიის მტკიცებით, ჩელსი მზადაა, ლამპარდს ხელშეკრულება გაუხანგრძლივოს

# ჩელსიში ლამპარდის დატოვება გადაწყვიტეს

**ინგლისისა** და ბრაზილიის ნაკრებების შეხვედრის დასრულების შემდეგ ბრიტანულმა პრესამ მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა: „ჩელსის" ხელმძღვანელობა დათმობაზე მიდის და მზადაა, გუნდის ლიდერს, 34 წლის **ფრენკ ლამპარდს** ახალი ერთწლიანი ხელშეკრულება შესთავაზოს. შეგახსენებთ, რომ ვეტერანს მიმდინარე ხელშეკრულება სეზონის მიწურულს უმთავრდება. ფრენკს იმდენად სურდა „სტემფორდ ბრიჯზე" გაჩერება, რომ დეკემბრის დასაწყისში კლუბს ანაზღაურების 2/3-ით შემცირება თვითონ შესთავაზა, თუმცა მაშინ ამაზეც უარი მიიღო. ყოველივეს მიზეზი კი **რომან აბრამოვიჩის** პოზიცია იყო. „ჩელსის" ბანკამ ერთადერთ სწორედ რუსი ოლიგარქი გახლდათ, ვისაც ლეგენდის გასაშვებად ემეტებოდა. გულშემატკივრები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ფეხბურთელისთვის თავიანთი სიყვარული დაემტკიცებინათ. საშინაო შეხვედრებს ისე არ ჩაუვლია, რომ მისი პლაკატი არ ყოფილიყო გადმოფენილი; იმართებოდა საპროტესტო აქციები კლუბის ოფისთან. ფანები გაიგებდნენ, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ მათ კერპს, შესაძლო იყო, კარიერა „ლოს ანჯელეს გალაქსიში" გაეგრძელებინა. „დეილი მეილი" ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ მოლაპარაკებები ფეხბურთელსა და მის წარმომადგენლებთან უკვე დაწყებულია და ის „სასურველი ტემპით" ვითარდება. ამავე თემაზე გააკეთა კომენტარი გუშინ talkSPORT-თან ინტერვიუში „ჩელსის" ყოფილმა ფეხბურთელმა **გრემ ლე სომ**. მისი ვარაუდით, კლუბი ვარსკვლავს თანამშრომლობას რამდენიმე კვირის წინ შესთავაზებდა: „პრესაში ყველა ერთსა და იმავეს წერდა, რომ „ჩელსიში" ნამდვილი შეშლილები მუშაობენ, რაკი ისინი ფრენკს წასვლის ნებას აძლევენ. დარწმუნებული ვარ, რომ ეშლი კოულთან ერთად კლუბი დარჩენას მასაც შესთავაზებდა. ლამპარდს რთული გადაწყვეტილება აქვს მისაღები და ჩვენ, გულშემატკივრებს თუ ჟურნალისტებს, ეს რატომღაც გვავიწყდება. მას აქტიური კარიერის მაქსიმუმ 2-3 წელი დარჩა. რა გზას უნდა დაადგეს? დათანხმდეს ერთწლიან დარჩენას თუ 2-3 წლიანი კონტრაქტის შოვნაზე იფიქროს. მას უამრავი შეთავაზება ექნება და დარწმუნებული ვარ, ღირსეულ გამოსავალს იპოვის".

მიმდინარე სეზონში ლამპარდმა ანგარიშზე 33 შეხვედრაში 15 გოლი და 4 საგოლე გადაცემა. ის პირველი ფეხბურთელი გახდა პრემიერლიგაში, ვინც მიჯრით 10 სეზონში მოახერხა 10 და მეტი გოლის გატანა.

ვარსკვლავი

# ენფილდის დიდი მსახური ფეხბურთიდან მიდის

„ლივერპულის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გუშინ მოულოდნელი ინფორმაცია გაჩნდა. ვიცე-კაპიტანმა **ჯეიმი კარაგერმა** სეზონის დასრულებისთანავე ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. არადა, „წითლების დიდ მსახურს", როგორც 35 წლის მერსისაიდელს ფანები უწოდებენ, ჯერ კიდევ შეეძლო უმაღლეს დონეზე ასპარეზობა, რაც მან ბოლო ტურში „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრაშიც დაამტკიცა.

კარა „ლივერპულის" ნამდვილი ლეგენდაა. მისი დებიუტი მშობლიურ კლუბში 1997 წელს შედგა. ჯეიმი კლუბის ისტორიაში მეორე ადგილზეა ჩატარებული თამაშების რაოდენობით (723), პირველადგილოსან **იან კალაჰანს** ის მთელი 134 თამაშით ჩამორჩება. დებიუტის შემდეგ კარაგერი ბევრი ღირსშესანიშნავი ამბის მომსწრე გახდა. მისი დამსახურებებისთვის ჩვენ მხოლოდ თვალის გადავლებაღა გვრჩება.




ჯეიმი კარაგერი

**1997/98** სეზონის ბოლოს კარაგერი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად იქცა.
**1999** - 28 აპრილს უნგრეთთან მან დებიუტი ჰქონდა ეროვნულ ნაკრებში.
**2001** - ჯეიმის ანგარიშზეა უეფას, ასოციაციისა და ლიგის თასები, ამას გარდა იმარჯვა ინგლისის სუპერთასზეც.
**2004**-დან მოულოდნელად, რაფა ბენიტესის თხოვნით, კარა ცენტრალურ მცველად იწყებს თამაშს.
**2005** - ის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ხდება.
**2006** - კიდევ ერთი გამარჯვება ასოციაციის თასზე.
**2007**-მარცხდება ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ამავე წელს წყვეტს სანაკრებო კარიერას.
**2008** – თამაშობს მე-500 თამაშს „ლივერპულის" მაისურით.
**2010** – ბრუნდება ეროვნულ გუნდში და მიემგზავრება სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ.
**2012** – იმარჯვებს ლიგის თასის გათამაშებაში.
**2013** – ... კარიერის დასასრული...

სუონსი

# ლაუდრუპის სამი წელი თავისუფლებაზე

„სუონსიმ" 2012/13-ის სეზონის დაწყებამდე კლუბის ბოლო წლების წარმატების სულის ჩამდგმელი **ბრენდან როჯერსი** დაკარგა. ჩრდილოირლანდიელმა სპეციალისტმა კარიერა „ლივერპულში" განაგრძო. დამრიგებლის გარდა „ლიბერთი სტედიუმიდან" წამყვანი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი წავიდა. ყველას ეგონა, რომ „გედები" თამაშს მოუკლებდნენ, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. „სუონსიში" **მიქაელ ლაუდრუპი** დაინიშნა, ვისი ხელმძღვანელობითაც ისტორიაში პირველად კლუბმა ინგლისის ლიგის თასის ფინალში გააღწია, სადაც 24 თებერვალს ჩემპიონშიპის „ბრედფორდს" დაუპირისპირდება. პრეზიდენტმა **ჰიუ ჯენკინსმა** ჩათვალა, რომ აღნიშნული მიღწევა საკმარისია, რათა 48 წლის სპეციალისტს ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელება შესთავაზოს. მოქმედი კონტრაქტი დანიელს 2014 წლის 30 ივნისს ეწურება.



სუონსი მიქაელ ლაუდრუპს კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივებას სთავაზობს

„ლაუდრუპმა არაორაზროვნად გვითხრა, რომ ამ ეტაპზე ის ჩვენთან ყველაფრით კმაყოფილია, მაგრამ არც თვითონ დარჩენილი კარიერის ჩვენთან გატარებაზე ოცნებობს. ჩვენი აზრით, გარკვეული ბალანსი უნდა მოვნახოთ. ვფიქრობ, ის არ იქნება წინააღმდეგი, თუკი „სუონსის" მწვრთნელად საერთო ჯამში სამი წელიწადი იმუშავებს. მომდევნო კვირების განმავლობაში მე მასთან და მის აგენტთან ვაპირებ შეხვედრას, რათა ახალი ხელშეკრულების დეტალები განვიხილოთ", – აცხადებს ჯენკინსი.

მასალა მოამზადა
**ლევან გიგილაშვილმა**



## სეოკი. მემორანდუმი




მარცხნიდან: პაატა კურტანიძე, ლერი ხაბელოვი, ელგუჯა ბერიშვილი

# სპორტსმენთა ჯანმრთელობა დაცულია

### ახალი მემორანდუმი ექიმებთან

მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში ქართველ ოლიმპიელთა თუ ვეტერან სპორტსმენთა ჯანმრთელობაზე კვლავ „ავერსი" იზრუნებს. ამის შესახებ ოფიციალურად გუშინ კომპანიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, სადაც საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საქველმოქმედო ფონდ „ავერსთან" თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მას ფონდის ხელმძღვანელი **პაატა კურტანიძე**, სეოკ-ის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი**, პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**, ვიცე-პრეზიდენტი **მამუკა ხაზარაძე** და ფარმაცევტული კომპანიის გენერალური დირექტორი **დიმიტრი ჯორბენაძე** ესწრებოდნენ. მიწვეულები იყვნენ აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონები.

*„მადლობელი ვარ, რომ ისევ მომეცა ქართული სპორტის დახმარების საშუალება. ძალიან სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ ოლიმპიური კომიტეტისთვის „ავერსის" დახმარების პროგრამა ერთ-ერთი წარმატებული პროექტი იყო. ასევე სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ დახმარებისთვის დამაჯილდოვა და აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტი სხვაგან არ განხორციელებულა. „ავერსისთვის" ქართული სპორტის მიღწევები ძალიან მნიშვნელოვანია. ისიც კარგად გვესმის, რომ ეს წარმატებები უდიდეს შრომასთან და ტრავმებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამან გაგვიჩინა მათი დახმარების იდეა, პროექტი კი ნაკრების კანდიდატების, ანუ მოქმედი სპორტსმენების გარდა ვეტერანთა დახმარებასაც ითვალისწინებს. ისინი ამ კლინიკაში ყველა სამედიცინო მომსახურებას და ნებისმიერ დანიშნულ პრეპარატს უფასოდ მიიღებენ. აქვე მადლობას ვუხდი სეოკ-ის ახალ ხელმძღვანელებს - ბატონ ლერი ხაბელოვს და ახალ ვიცე-პრეზიდენტებს, რომლებმაც ამ თანამშრომლობის გაგრძელების დიდი ინტერესი გამოიჩინეს და მოგვცეს საშუალება, კიდევ ერთხელ დავეხმაროთ ქართულ სპორტს. ცხადია, მათი სურვილია, ქართველმა ათლეტებმა რაც შეიძლება, მეტ წარმატებას მიაღწიონ. ეს ჩვენს სურვილსაც ემთხვევა და „ავერსზე" რაც იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ ამ საქმეში მათ დასახმარებლად"* - განაცხადა პაატა კურტანიძემ.

ლერი ხაბელოვმაც სიამოვნებით აღნიშნა ამ კომპანიის მიერ გაწეული ლვაწლი და ისიც, რომ კურტანიძე ახლაც სიამოვნებით დათანხმდა მათ შეთავაზებას. *„ეს სეოკ-ის მართლაც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი იყო, რაც ჩვენს წინამორბედ ხელმძღვანელობას არ უნდა დავუკარგოთ. ჩვენი მოსვლისთანავე ვეტერან სპორტსმენთა მხრიდან გაჩნდა ინტერესი და სეოკ-ში პირველი ზარიც იმაზე გაისმა, გაგრძელდებოდა თუ არა „ავერსის" დახმარების პროგრამა. დიდი მადლობა მათ ამ თანამშრომლობისთვის, რაც სასიკეთოდ წაადგება ქართულ სპორტს. წინა ოლიმპიურ ციკლში მოპოვებული წარმატებები „ავერსის" დიდი დამსახურებაცაა და ეს კომპანია სრულიად სამართლიანად დააჯილდოეს ამ დახმარებისთვის. მოხარული ვარ, რომ ეს პროექტი კვლავაც გაგრძელდება, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ როგორც ფედერაციების, ასევე - ვეტერანების სახელით"* - აღნიშნა ხაბელოვმა.

„ავერსსა" და პაატა კურტანიძეს მადლობა ვეტერანთა სახელით ოლიმპიურმა ჩემპიონებმა **რომან რურუამ**, **რობერტ შავლაყაძემ** და **რაფაელ ჩიმიშკიანმაც** გადაუხადეს. მათაც დიდი მადლიერება გამოხატეს გაწეული დახმარებისთვის, თუმცა შავლაყაძემ და ჩიმიშკიანმა ამ ქველმოქმედების გასაიოლებლად კურტანიძეს ფორმალური საკითხების გამარტივებაც სთხოვეს. კერძოდ, როცა ისინი კლინიკაში მიდიან, იქ მაღალკვალიფიციურ და გულისხმიერ მომსახურეობას კი იღებენ, მაგრამ მერე გარკვეული პრობლემები იწყება - ეს საბუთები უნდა მიიტანონ ოლიმპიურ კომიტეტში, ისინი კი მიმართვას უკვე კომპანიის სათავო ოფისში გადაგზავნიან. როგორც წესი, იქ ყველა თხოვნას აკმაყოფილებენ, მაგრამ ამ პროცედურების მოგვარებას 1-2 დღე მაინც სჭირდება, რაც გარკვეულ დისკომფორტს ქმნის. ამას ოლიმპიურ კომიტეტში თუნდაც ერთხელ მისვლა, მერე კი წამლის საყიდლად ისევ კლინიკაში მისვლაც ემატება, გადაადგილება კი სპორტული ტრავმებით გატანჯული ისედაც ხანდაზმული ადამიანებისთვის დამატებითი პრობლემაა. ამიტომ შავლაყაძემ ითხოვა, ამდენი დაგვიანება და წინ და უკან სიარული თავიდან რომ აიცილონ, იქნებ კლინიკის ტერიტორიაზევე მდებარე აფთიაქში მოხერხდეს წამლის შეძენა, რათა ექიმიდან გამოსულმა პაციენტმა პრეპარატი მაშინვე იყიდოს, სეოკ-ის ნაცვლად შინ წავიდეს და წამალი დროულად მიიღოს, ხოლო შემდეგ საბუთები სეოკ-სა თუ საქველმოქმედო ფონდში კლინიკამ ან აფთიაქმა გადაგზავნოს. ამით ვეტერანთა ჯანმრთელობაც დაიზოგება, არც ზედმეტი სიარული მოუწევთ და არც პრეპარატის მიღება დაუგვიანდებათ. მათი თხოვნა კურტანიძემაც გულთან ახლოს მიიტანა და თავის წარმომადგენელს იქვე დაავალა ამ პრობლემის მოგვარება, თუმცა ისიც დაამატა, რომ რალაცებში კანონიც ზღუდავს. ეს მართალია, მაგრამ, რაც შავლაყაძემ მოითხოვა, ურთიერთობის ის ფორმა სადაზღვევო კომპანიებისა და კლინიკების პრაქტიკაში ჩვეულებრივი ამბავია, ანუ მისი მოგვარება სავსებით შესაძლებელი გვგონია.

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი

# პაიჭაძე ლიდერებს მიუახლოვდა



ბულგარეთის 35-ე ღია ჩემპიონატში საქართველოს სამი მოჭადრაკე მონაწილეობს. მე-5 ტურში **შოთა აზალაძე** ემილიან-მირჩელა პარლიგრასს (რუმინეთი) დაუზავდა, **ლუკა პაიჭაძემ** შავი ფიგურებით ბოილ ბანოვს (ბულგარეთი) აჯობა, ხოლო **სალომე ხაჟომიამ** გეორგიოს დელოიდისს (საბერძნეთი) გააჩერებინა საათი.

ლიდერთა ჯგუფიდან ნახევარი ქულა დაკარგა ტურნირის რეიტინგფავორიტმა ივან ჩეპარინოვმა (ბულგარეთი), რომელიც ვლადისლავ ნევედნიჩის (რუმინეთი) დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ვლადიმირ პეტკოვი (ბულგარეთი) და ვლად-კრისტიან იანუ (რუმინეთი). ბრაზილიელმა ალექსანდრ ფიერმა ჩერნოგორიელი ნიკოლა ჯუკიჩი დაამარცხა, ხოლო ბართლომეი ჰებერლიამ (პოლონეთი) მასპინძელ მარჯან პეტროვს აჯობა.

ხუთი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ჰებერლია და ფიერი მეწინავეობდნენ. ექვს მოჭადრაკეს - ჩეპარინოვს, პეტკოვს, ვასილევს (ყველა - ბულგარეთი), იანუს, ნევედნიჩის (ორივე - რუმინეთი) და დანიილ დვირნის (იტალია) 4,5-4,5 ქულა ჰქონდათ. 27 მოჭადრაკეს (მათ შორის პაიჭაძეს და აზალაძეს) 4-4 ქულა ჰქონდა, ხაჟომიას - 3 ქულა.

გუშინ მე-6 ტურის პარტიები გაიმართა: პაიჭაძე - დიმიტარ მარხოლევი (ბულგარეთი) 1:0, ვასილის ბანისი (საბერძნეთი) - აზალაძე 1:0, ნიკოლაი ხრისტოვი (ბულგარეთი) - ხაჟომია 0:1, ჰებერლია - ფიერი 0,5:0,5, იანუ - ჩეპარინოვი 1:0, დვირნი - პეტკოვი 0,5:0,5, ნევედნიჩი - ვასილიევი 0:1.

ექვსი ტურის შემდეგ ჰებერლია, ფიერი, იანუ და ვასილიევი 5,5-5,5 ქულით დაწინაურდნენ. 13 მოჭადრაკეს, მათ შორის ლუკა პაიჭაძეს, 5-5 ქულა აქვთ, აზალაძემ და ხაჟომიამ 4-4 ქულა მოაგროვეს.

**ვაჟა დანელია**

# [illegible] დამარცხდა

რუსი დიდოსტატი მარია რომანკო მოსკოვის ღია პირველობაზე რეიტინგით ვერ უტოლდება ანასტასია ბოდნარუკსა და **ნინო ბაციაშვილს**, თუმცა სპეციალისტები ერთ-ერთ ფავორიტად მაინც მიიჩნევდნენ, როგორც გამოცდილ მოჭადრაკეს და ერთ დროს რუსეთის ნაკრების წევრს. რომანკომაც მოსკოვში შესანიშნავი სტარტი აიღო. ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო, გუშინ კი შავი ფიგურებით ბათუმელ ნინო ბაციაშვილსაც აჯობა 61-ე სვლაზე. ლიდერთა ჯგუფიდან, ასევე წარმატებით ითამაშა ბელარუსმა ლანიტა სტეცკომ - 38-ე სვლაზე კატერინა დოლუიკოვას (რუსეთი) სძლია. დაზავდნენ ოლგა ილიუშინა (რუსეთი) - ევგენია ოვოდი (რუსეთი), ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი) - ალიონა სუსლოვა (რუსეთი).

ამდენად, 6 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ რომანკო მეწინავეობს. 5,5 ქულით მეორე ადგილზე სტეცკომ გადაინაცვლა. მოჭადრაკეთა დიდ ჯგუფს 5-5 ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

## ჩოგბურთი

# ხორვატებმაც გაგვანადგურეს

გუშინ ეილათში (ისრაელი) ფედერაციის თასზე ევროაფრიკული ზონის პირველი ლიგის A და C ჯგუფებში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ნაკრები სტარტზე ავსტრიელთა მძლეველმა (2:1) ხორვატებმაც მშრალი ანგარიშით - 3:0 დაამარცხეს: მსოფლიო რეიტინგში 873-ე საფეხურზე მყოფმა 15 წლის **ანა კონიუჰმა სოფიო ქვაცაბაიას** (459-ე) 6:0, 6:0 მოუგო, 16 წლის **დონა ვეკიჩმა** (93-ე) **მაკა ჩახნაშვილს** (400) მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო - 6:0, 6:1; **დარია ჯურაკისა** და **ტერეზა მრდეზას** დუეტმა **ეკა გორგოძისა** და **სოფიო შაფათავას** ტანდემს აჯობა - 6:3, 6:2.

ჩვენს ჯგუფში ბელარუსმა ავსტრია დაამარცხა - 3:0. ასე რომ, დღეს ნახევარფინალის საგზურისთვის ბელარუსები და ხორვატები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, რომლებსაც ორი მოგება აქვთ. პირველ ლიგაში ვადამდე ადგილის შესანარჩუნებლად ქართველები და ავსტრიელები იბრძოლებენ.

**C ჯგუფში** მე-2 ტურის პაექრობები ასე დამთავრდა: თურქეთი-პოლონეთი 0:2, რუმინეთი-ისრაელი 2:1.

ასპარეზობის პირველ დღეს კოკისპირული წვიმების გამო B და D ჯგუფის წარმომადგენლებს არ უთამაშიათ. სასტარტო შეხვედრები მათ გუშინ გამართეს:

**B ჯგუფი.** დიდი ბრიტანეთი-ბოსნია 3:0, უნგრეთი-პორტუგალია 3:0.

**D ჯგუფი.** სლოვენია-ლუქსემბურგი 2:1, ბულგარეთი-ჰოლანდია 3:0.

**ვაჟა დანელია**

## წყალბურთი

# თოთხმეტი ცნობილია

წყალბურთში ჩემპიონთა ლიგის 16 მერვედფინალისტიდან 14 გუნდის ვინაობა ბოლოსწინა ტურში გაირკვა. სამწუხაროდ, მათ შორის ვერ მოხვდა საქართველოს სამგზის ჩემპიონი „ლიგამუსი-თბილისი", რომელმაც განვლილ 9 ტურში მხოლოდ ქულის აღება შეძლო. როგორც გაუწყეთ, 6 თებერვალს ჩვენი წყალბურთელები ჰოლანდიის „შუურმანთან" შინ 7:10 დამარცხდნენ და ექვსგუნდიან A ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ. ნიდერლანდელებმა თბილისში მიღწეული გამარჯვებით ჯგუფში მეოთხე ადგილი და მერვედფინალის საგზური გაინაღდეს.

6 თებერვალს A ჯგუფში დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „ეგერი" (უნგრეთი) - „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 8:6, „ვულიაგმენი" (საბერძნეთი) - „ვასპო-98" (გერმანია) 14:4. სატურნირო მდგომარეობა: „ვულიაგმენი" - 24 (121:46), „ეგერი" - 21 (119:60), „სპარტაკი" - 21 (99:58), „შუურმანი" - 9 58:105), „ვასპო-98" - 4 (41:102), „ლიგამუსი-თბილისი" - 1 (54:121).

**27 თებერვალს** ითამაშებენ: „სპარტაკი" - „ვულიაგმენი", „ლიგამუსი" - „ეგერი", „ვასპო-98" - „შუურმანი".

**B ჯგუფშიც** ყველაფერი გარკვეულია - ბოლო ტურის პაექრობათა შედეგებს სატურნირო მდგომარეობაში ცვლილებების შეტანა არ შეუძლია. 6 თებერვლის მატჩებმა გუნდებს ცხრილში თავ-თავისი ადგილი მიუჩინა: „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) - „მონპელიე" (საფრანგეთი), „კრეუცლინგენი" (შვეიცარია) - „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი) 12:24.

„დუბროვნიკი" - 21 (119:35), „ცრვენა ზვეზდა" - 15 (101:63), „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) - 12 (72:56), „მონპელიე" (საფრანგეთი) - 6 (65:100), „კრეუცლინგენი" (შვეიცარია) - 0 (50:153),

**27 თებერვალი.** „დუბროვნიკი" - „ცრვენა ზვეზდა", „კრეუცლინგენი" - „ოლიმპიაკოსი".

**C ჯგუფში** მერვედფინალის ორი საგზური ესპანეთის „ბარსელონეტას" და ყაზანის „სინთეზს" გარანტირებული აქვთ. ბოლო სამი გუნდიდან დარჩენილი ორი საგზურის მოპოვების შანსი ნოვი სადის „ვოივოდინას" და „იტალიის „ბრეშას" რჩებათ, თუკი სერბები შინ აპენინელებს დაამარცხებენ, თანაც არა კატასტროფული სხვაობით (რაც ნაკლებმოსალოდნელია), მაშინ საფრანგეთის „მონპელიე", რომელმაც ტურნირი 9 ქულით დაასრულა, თამაშგარე რჩება. „ვოივოდინა" - „ბრეშას" მატჩის ფრედ ან იტალიელთა გამარჯვებით დამთავრების შემთხვევაში მერვედფინალის საგზურები „ბრეშას" და „მარსელს" დარჩებათ.

6 თებერვლის მატჩები. „ბრეშა" - „მარსელი" 11:9, „ბარსელონეტა" - „ვოივოდინა" - 7:5.

„ბარსელონეტა" - 18 (76:43), „სინთეზი" - 10 (76:63), „ბრეშა" - 9 (63:64), „მარსელი" - 9 (72:84), „ვოივოდინა" - 7 (51:66).

**27 თებერვალი.** „ვოივოდინა" - „ბრეშა", „სინთეზი" - „ბარსელონეტა".

**D ჯგუფში** ბოლოსწინა ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: „პარტიზანი" (ბელგრადი) - „შპანდაუ-04" (გერმანია) 8:1, „ბეტონი" (უნგრეთი) - „ორადეა" (რუმინეთი) 17:8.

სატურნირო მდგომარეობა: „ბეტონი" - 18 (70:49), „პარტიზანი" - 16 (59:42), „გალათასარაი" - 10 (52:53), „ორადეა" - 6 (69:85), „შპანდაუ-04" - 3 (53:74).

„ორადეამ", რომელმაც ტურნირი დაასრულა, გერმანელებს შინ 4 ბურთის სხვაობით მოუგო, სტუმრად კი ორი გოლის სხვაობით დათმო შეხვედრა. ასე რომ, ბოლო ტურში წარმატების შემთხვევაში „შპანდაუ-04" რუმინელებს რომც გაუთანაბრდეს ქულებით, უკეთესი ურთიერთშეხვედრების წყალობით „ორადეა" მერვედფინალის საგზურს მაინც მოიპოვებს.

**27 თებერვალი.** „შპანდაუ-04" - „ბეტონი", „გალათასარაი" - „პარტიზანი".



**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა. მეტოქე

# ხინჩეგაშვილს კონკურენტი მოემატა



ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** 55-დან 60 კილოგრამში რომ გადავიდა, მკითხველმა უკვე იცის. ბუნებრივია, მას მშვიდი ცხოვრება არც იქ ექნება და ნებისმიერი მედლისთვის ცხარე ბრძოლა მოუწევს, თუმცა ბოლო დღეებში ამ წონაში ერთი ისეთი საკადრო ცვლილება მოხდა, ვფიქრობ, მკითხველს დააინტერესებს - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, რუსეთის ნაკრების წევრმა **ვიქტორ ლებედევმა** დაადასტურა, რომ წონით კატეგორიას იცვლის და 60-ში გადადის. ამ გადაადგილებით რუსეთის ნაკრებში უკვე ისეთი კონკურენცია შეიქმნა, ბევრგან მსგავსი იქნებ მსოფლიოს დონეზეც არ იყოს. თავად განსაჯეთ: ლებედევს ახალ წონაში ევროპის ორგზის ჩემპიონი **ოპან სატი** და მსოფლიოს ხუთგზის გამარჯვებული, ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ბესიკ კუდუხოვი** ხვდებიან. აქ არაფერს ვამბობთ ისეთ „ჩვეულებრივ" ფალავნებზე, როგორიცაა, მაგალითად, ევროპის მესამე პრიზიორი **რასულ მურთაზალიევი** ან სხვები.

ჭიდაობის ყველა ქომაგმა კარგად იცის, ზემოდასახელებული სამეული რა დონის ვარსკვლავია - ნებისმიერ ნაკრებში „გაქაჩავენ" ლიდერობას და მსოფლიო მასშტაბის წარმატებებს მოიმკიან, თუმცა არ გამოვრიცხავთ, ეს კონკურენცია კიდევ უფრო გაძლიერდეს - რაღაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ წონის შენარჩუნებას ვერც ლონდონურ ფინალში ხინჩეგაშვილის მეტოქე **ჯამალ ოთარსულთანოვი** ახერხებს. მართალია, მას ამაზე ღიად არ უსაუბრია, მაგრამ მწვრთნელ **ანატოლი მარგიევის** სიტყვებში შესაბამისი ქვეტექსტი იგრძნობა. მწვრთნელმა შეგირდს იარიგინის ტურნირი გამოატოვებინა და განაცხადა, რომ ინდივიდუალური პროგრამით ავარჯიშებდა.

საინტერესოა, რომ რუსებს 60 კილოგრამში სამივე ლიდერი ახალგაზრდა ჰყავთ - ლებედევი მარტში გახდება 25 წლისა, კუდუხოვი 27-ისაა, სატი - 26-ის.

ლებედევი ეროვნებით იაკუტიელია და იქაური ავტონომიის პრეზიდენტ **ეგორ ბორისოვის** სიძეა. აქედან გამომდინარე, მას არასოდეს აკლდა სავარჯიშო პირობები და პრივილეგიები, თუმცა არსებობდა ერთი დაუძინებელი მტერი, რომელსაც სიძე-სიმამრი ვერაფრით მოერია - სპორტსმენის პირადი წონა, რაც მისთვის მუდამ დიდი პრობლემა იყო. ამ მიზეზით მართლაც ძლიერსა და კარგ მოჭიდავე ლებედევს ევროპის პირველობებზე არც უასპარეზია - წელიწადში ორჯერ დაკლებას ვერ ახერხებდა, ამიტომ კონტინენტის პირველობას ტოვებდა ხოლმე და მთელი აქცენტი მსოფლიოსთვის მოსამზადებელ ეტაპზე გადაჰქონდა, სადაც მთავარი შესარჩევი ტურნირი რუსეთის პირველობა იყო. წინა წლებში ამ ამოცანას წარმატებით ართმევდა თავს, შარშან კი ფინალში ოთარსულთანოვთან დამარცხდა. მიზეზად მაშინაც ბევრის დაკლება დაასახელეს, თუმცა იმის შემდეგაც არანაკლებ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები - ლამის ოლიმპიადაზე ოთარსულთანოვის გამარჯვებამდე არ წყდებოდა კამათი იმაზე, რომ ლებედევი ჯობდა ჩეჩენს. ეს ხმები მხოლოდ ჯამალის ლონდონში გამარჯვების შემდეგ მიწყდა და მარგიევმაც ნიშნი მოუგო იაკუტებს - ახლა ხომ დარწმუნდით, ვინაა უფრო ძლიერიო. სხვათა შორის, ოლიმპიადამდე ვრცელდებოდა ხმები, რომ ლებედევის ბანაკმა ოლიმპიურ გუნდში ადგილის დათმობის სანაცვლოდ დიდძალი ფული შესთავაზა ოთარსულთანოვს, ამ ყველაფრის უკანმდგომად კი სიმამრ ბორისოვს ასახელებდნენ.

ოპან სატიც ციმბირელია, ოღონდ ეროვნებით ტუვი. მას არც გავლენიანი სიმამრი ჰყავს და არც ჭიდაობაა ტუვის რესპუბლიკაში იმდენად განვითარებული, რომ, ადგილზე მზადების საშუალება ჰქონდეს. ამიტომ ადგა და სავარჯიშოდ რამდენიმე წლის წინ კრასნოიარსკში გადასახლდა, სადაც **დიმიტრი მინდიაშვილმა** ძლიერი საჭიდაო სკოლა შექმნა, ოღონდ ამ წონის ლიდერად ჯერ ისევ საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ოსი კუდუხოვი მიიჩნევა. თუმცა სატი დაბეჯითებით აცხადებს, რომ მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში ლიდერი სწორედ ის იქნება და უძლიერესი კონკურენცია არ აშინებს. თავისი სიტყვის დასამტკიცებ;ლად პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა - ძლევამოსილად მოიგო იარიგინის ტურნირი, სადაც ფინალში ყოველმხრივ დაჯაბნა ბურიატი ფალავანი **ალექსანდრ ბოგომაევი**. შეგახსენებთ, რომ სატმა **მალხაზ ზარქუა** დაგვიმარცხა 2010 წლის ევროპირველობის ფინალში.

ვნახოთ, როგორ გაამართლებს სატი საკუთარ სიტყვებს და ჩაიგდებს თუ არა ხელთ ლიდერობას, თუმცა კუდუხოვმაც დასძლია „ვარსკვლავური ავადმყოფობით" გამოწვეული, როგორც ერთხელ მინდიაშვილმა თქვა, „პიონერული ქცევები" და პროფესიონალად ჩამოყალიბდა. ამის დასტურად მინდიაშვილის სიტყვების შემდეგ ორჯერ მოგებული მსოფლიოს ოქრო და ოლიმპიური ვერცხლი გამოდგება.

კონკურენტებისთვის კარგია, რომ ამდენი ძლიერი ფალავანი ერთად იყრის თავს, თუმცა ჭიდაობის საერთო სანახაობისთვის ცუდია - ძიუდოსგან განსხვავებით, ჭიდაობაში ხომ ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე წონაში ქვეყნიდან მხოლოდ ერთი კაცია დაშვებული, ანუ ამ რანგის ვარსკლავთაგან ორი თამაშგარეთ რჩება. თუმცა ვინც უნდა დააყენონ რუსებმა, ხინჩეგაშვილს ნებისმიერ ვარიანტში უძნელესი მეტოქე ელოდება... თუმცა ასეთებზე საუბრისას ნურც წონის კიდევ ერთ ლიდერს და მართლაც ძლიერ ფალავანს, აზერბაიჯანელ **ტოგრულ ასკეროვს** დავივიწყებთ, ლონდონურ ფინალში კუდუხოვის მომგებ ათლეტს... ეს ფაქტი ხინჩეგაშვილის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს, თუმცა სპორტი ხომ ბრძოლაა, სადაც სინით არავინ მოგართმევს გამარჯვებას. ისიც გვეიმედება, რომ ჩვენი ნაკრების ახალი მწვრთნელები სათითაოდ შეისწავლიან თითოეული სტრატეგიული მეტოქის ჭიდაობას, რაც ჩვენებურს მათთან ბრძოლას გაუიოლებს.

**ირაკლი თავაძე**

ქართველი საბერძნეთში



# ფრთებდამდნარი იკაროსი

საბერძნეთის ჩემპიონატში გუშინ ერთი შეხვედრა გაიმართა. მასში ქართველი ცენტრი **გიორგი შერმადინი** მონაწილეობდა - „ოლიმპიაკოსმა" „იკაროსს" უმასპინძლა. როგორც ბერძნულ მითში, მზისკენ მიმავალ „იკაროსს" ცვილის ფრთები შემოადნა და ჩამოვარდა - 63:85.

„ოლიმპიაკოსის" სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა გიორგი შერმადინი, რომელმაც მართალია, 12 წუთი ითამაშა, მაგრამ პირეოსელებს ღირებული დახმარება გაუწია. ეს სტატისტიკაში აისახა: 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება. გიორგიმ 5 ორქულიანი სტყორცნა და 3 ჩააგდო.

გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტი, 15 ქულა, **პრინტეზისმა** ჩააგდო.

„ოლიმპიაკოსს" საბერძნეთის ჩემპიონატში 15 მოგება აქვს (1 მარცხი) და სატურნირო ცხრილში პირველობას არავის უთმობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ტრანსფერი

# სტოიაკოვიჩი სოხუმში

გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ „სოხუმმა" სერბი ლეგიონერი დაიმატა. მისი ვინაობა დღეს გამჟღავნდა - **ბოშკო სტოიაკოვიჩი.**

იგი 196 სმ სიმაღლის ფორვარდია (1984 წელსაა დაბადებული) და თამაშობდა ბოსნიაში, ჩერნოგორიასა და რუმინეთში. მიმდინარე სეზონი მან რუმინულ „ტიმისში" დაიწყო.

სტოიაკოვიჩი „სოხუმს" დღეიდან შეუერთდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



სპორტული ფილოსოფია

# როგორ ავაშენოთ გუნდი

## სვეტისლავ პეშიჩი

დღეს სერბი სპეციალისტი **სვეტისლავ პეშიჩის** დაცვაზე მოგვითხრობს. ვიდრე საქმეზე გადავიდოდეთ, შეგახსენებთ, რომ მას გამოცდილება საკმარისზე მეტი აქვს: 1993 წელს გერმანიის ნაკრებს მოაგებინა ევრობასკეტი, 2001 წელს - იუგოსლავიას, ხოლო 2002 წელს იუგებს მსოფლიოს ჩემპიონობა მოუტანა (თანაც ამერიკაში).

„ერთმა ცნობილმა მწვრთნელმა თქვა: პეშიჩი ძალიან კარგი სპეციალისტია. მას ეს უნდა ეთქვა, თუ არა, სხვა საქმეა, თუმცა იქვე დაამატა - მაგრამ ზედმეტად დიდ ყურადღებას აქცევს დაცვასო. გასაგებია, ეს მისი მოსაზრებაა. თუმცა ჩემი გამოცდილება საპირისპიროს მკარნახობს. გამოცდილება, ვგონებ საკმარისად დამიგროვდა: 15 წელი კალათბურთი არცთუ დაბალ დონეზე ვითამაშე, შემდეგ მწვრთნელობას მოვკიდე ხელი და ამ საქმეში 30-წლიანი სტაჟი მაქვს. მიმუშავია სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა მენტალიტეტის კალათბურთელებთან, ამერიკელებთან, გერმანელებთან, ჰოლანდიელებთან, რუსებთან... კალათბურთელებთან, რომლებსაც დიდი თავი და მოკლე ფეხები ჰქონიათ და ა.შ... დაცვის გარეშე წარმატებას ვერსად, ვერასდროს მიაღწევ.



კალათბურთი გუნდურ მუშაობას, გუნდურ სულისკვეთებას მოითხოვს. თუ გუნდში ერთიანი სული არ ტრიალებს, ვერაფერს მოიგებ. ახლა რასაც ვიტყვი, ისე არ გაიგოთ, თითქოს ერთ კონკრეტულ მატჩში გამარჯვების მოტანა ორ მოთამაშეს შეუძლია, თუ მათ თანაგუნდელები არ ეხმარებიან და გუნდურად არ მოქმედებენ, შანსი არც ამ შემთხვევაში არსებობს. მაგრამ, აი, რისი თქმა მინდა: შეხვედრის გარკვეულ ეპიზოდებში შეტევისას ორ კალათბურთელზე დაყრდნობით შესაძლოა სიტუაციის კონტროლი, მაგალითად გამთამაშებლითა და ცენტრით, რომლებსაც დანარჩენებიც შეუწყობენ ხელს.

მაგრამ დაცვაში ეს შეუძლებელია. მატჩის ერთ ფაზაშიც არ შეიძლება ოთხი კალათბურთელი თამაშობდეს დაცვას, ერთი - არა. შესაძლოა, სამი კარგი დამცველი იყოს, ორი მათსავით ვერ თამაშობდეს, მაგრამ დაცვაში ყველამ უნდა იმუშაოს.

მხოლოდ დაცვისას მჟღავნდება ერთიანი სული და შესაძლებელია გუნდური ატმოსფეროს გაუმჯობესება. კალათბურთელი, რომელიც დაცვას არ თამაშობს, თანაგუნდელებში პატივისცემით ვერ ისარგებლებს. კალათბურთელი, რომელიც დაცვაში თავს არ ზოგავს, გუნდისთვისაც გაცილებით მნიშვნელოვანია და ამავდროულად ყველას უყვარს.

ასე რომ, ყველაფერი დაცვიდან იწყება, საბრძოლო სულისკვეთებიდან დაწყებული თამაშის რიტმის კონტროლით დამთავრებული. ვთქვათ, ტემპის მომატება გსურს, პირველ რიგში დაცვაში უნდა შეცვალო რაღაც, რაც დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადასვლის საშუალებას მოგცემს."

**ვაჟა სიმონიშვილი**



ხსოვნა

# ვლადიმერ მარღანია

დღეს 85 წელი შეუსრულდებოდა 1958 წელს ტრაგიკულად დაღუპულ შესანიშნავ მეკარეს ვლადიმერ მარღანიას.

აფხაზეთის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ოჩამჩირელი ჭაბუკი, აფხაზი ხალხის ღირსეული შვილი, შედარებით გვიან, 16 წლისა მოვიდა ფეხბურთში, მანამდე ის კრივით იყო გატაცებული და არცთუ ურიგო შედეგები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ფეხბურთში მან სამ წელიწადში მოიპოვა საყოველთაო აღიარება! 19 წლის იყო, როცა მიიწვიეს თბილისის „დინამოში" და 1948 წლის ჩემპიონატის პირველივე მატჩიდან დაიკავა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. უმალვე მოიხვეჭა პოპულარობა გაბედული, ლამაზი, მოხდენილი თამაშით, რომელსაც საფუძვლად ედო საოცრად სწრაფი რეაქცია.

თერთმეტი სეზონის განმავლობაში (1948-1958) 179 მატჩი ჩაატარა სსრ კავშირის პირველობაზე, 12 თასზე, ითამაშა 21 საერთაშორისო მატჩი.

ვლადიმერ მარღანია ორჯერ (1951 -1953) დაჯილდოვდა ვერცხლის და ერთხელ (1950) ბრინჯაოს მედლით. ორჯერ (1950-1951) შედიოდა 33 უძლიერესი ფეხბურთელის სიაში. სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდა ჰელსინკის XV ოლიმპიურ ასპარეზობაში. 1952 წელს კი მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

საქართველოს საფეხბურთო საზოგადოება, ძველი თაობის გულშემატკივრები დიდი პატივისცემით ვიგონებთ დღეს ვლადიმერ მარღანიას და ვფიქრობთ იმ დღეზე, როდესაც ქართველები და აფხაზები ერთად მივალთ მის საფლავთან აძიუბაში და პატივს მივაგებთ მის დიდ კაცობას და ფეხბურთელობას...

**მურად ანჯაფარიძე**
აფფ-ს პრეზიდენტი

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე კომიტეტის ყოფილ პრეზიდენტს, ამჟამად საპატიო პრეზიდენტს, ვეტერან ხელბურთელს, დამსახურებულ მწვრთნელ ჯანსულ ბაგრატიონს ძმის გიორგი ბაგრატიონის გარდაცვალების გამო.**



ერთა თასი

# ხუთი ცვლილება ბორჯღალოსნების რიგებში

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მეორე ტურის მატჩში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე პორტუგალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნების“ ახალზელანდიელმა თავკაცმა საბრძოლო რაზმი დაასახელა, რომელშიც რამდენიმე ცვლილებაა.**


ბელგია-საქართველო

ბელგიასთან მატჩის შემდეგ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ჰეიგმა ხუთი მორაგბე შეცვალა. დისკვალიფიცირებული პირველხაზელის **დავით ქუბრიაშვილის** ნაცვლად **დავით ზირაქაშვილი** ითამაშებს. მესამე ხაზში **ვიქტორ კოლელიშვილს**, რომელიც ვარჯიშისას დაშავდა, **შალვა სუთიაშვილი** შეცვლის.

ტრავმა მოიშუშა და გუნდს კაპიტნად დაუბრუნდა გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი. ალექსანდრე თოდუა** კი, რომელმაც ამ პოზიციაზე ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა, განაცხადში არ არის. სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა შუამარბმა **დავით კაჭარავამ,** მისი ადგილი კი **თედო ზიბზიბაძემ** დაიკავა.

განაცხადში არ არის ფულბეკი **ბექა წიკლაურიც,** მის ნაცვლად ჰეიგი **ლაშა ხმალაძეს** ათამაშებს, რომელიც ბელგიელებთან მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში.

სამი ახალი მორაგბეა სათადარიგოთა შორისაც. პირველხაზელი **ლევან ჩილაჩავა ირაკლი მირცხულავამ** შეცვალა. მეორეხაზელთა დუბლიორი კი ტრავმამოშუშებული **ვახტანგ მაისურაძე** იქნება. სათადარიგოთა შორის არის ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილიც,** რომელიც ბელგიასთან მატჩში განაცხადში არ იყო.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებების მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შაბათს, 15 საათზე დაიწყება.

„სტეუარიმ“ უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო სტუმრად პორტუგალიის ნაკრებთან, რომელიც ერთა თასთან ერთად, 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზურისთვის ბრძოლაში ერთ-ერთი ფავორიტია.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე „მუხის ფოთლების“ უელსელმა მთავარმა მწვრთნელმა **ლინ ჰოულსმა** თამამად განაცხადა, რომ მისი გუნდი მსოფლიოს თასზე თამაშის უფლებას აუცილებლად მოიპოვებს. თუმცა საამისოდ წინ კიდევ მრავალი ბრძოლა იქნება გადასატანი და ერთ-ერთი უმძიმესი მატჩი, მისი მოსაზრებით, სწორედ რუსებთან დაპირისპირება იქნება.

*„სამწუხაროდ, პორტუგალიასთან გამარჯვების შემდეგ იძულებულნი ვართ შემადგენლობაში ოთხი ცვლილება განვახორციელოთ. ძმები ურსაკეები საფრანგეთში თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ. მათ პაულიკა იონი და კორნელ ტატუ შეცვლიან. პირველი მაღალ დონეზე თამაშობს ინგლისის პრემიერშიპში, ტატუმ კი შესანიშნავად იასპარეზა რუმინეთის ჩემპიონატში.*

*ამჯერად ცხრა ნომრის პოზიციას ჩიპრიან კაპლესკუ დაიკავებს, რადგან ფლორინ სურუჯუსთან, ლუზიტანელებთან მატჩის შემდეგ, პრეტენზიები დამიგროვდა. მესამე ხაზში კი ვიორელ ლუკაჩი გამოცდილი ოვიდიუ ტონიცათი შევცვალეთ.“*

იმედიანი განწყობა აქვს რუმინეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტ **ალინ პეტრაკეს:**

*„ჩვენი მიზანი ერთია - 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშება. რუმინული რაგბისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბობოლათა შორის ყოფნას, მათთან ერთად თამაშს, პაექრობას. ამ გზაზე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ სტუმრად პორტუგალიაში. არ მგონია, ლისაბონში ბევრმა გუნდმა მოიგოს“* - დასძინა მან.

ამასობაში, რუსეთის ნაკრებმა სოჭში საწვრთნელი შეკრება დაასრულა და მოსკოვის გავლით ბუქარესტში გაემგზავრა. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა, რომელთა შემადგენლობაშიც გამორჩეულნი იყვნენ პირველხაზელი ძმები **გრიგორ და ვალერი ცნობილაძეები,** პირველ ტურში შინ დაამარცხეს ესპანეთის ნაკრები. გუნდის უელსელმა მთავარმა მწვრთნელმა **კინგსლი ჯოუნზმა** თან 26 მორაგბე იახლა, მათ შორისაა მოსკოვის „სპარტაკის“ მესამეხაზელი **პაველ კვერნაძე.**

რუსთა გუნდში ორი ლეგიონერია **ვასილი არტემევი** (ნორსჰემპთონი) და **კირილ კულემინი** (ლონდონ ველში).

**საქართველო**

15. ლაშა ხმალაძე, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. თედო ზიბზიბაძე, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. გიორგი ბეგაძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. რეზო ბელქანია, 17. დავით ხინჩაგიშვილი, 18. ირაკლი მირცხულავა, 19. ვახტანგ მაისურაძე, 20. ბექა ბიწაძე, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. დავით კაჭარავა, 23. ირაკლი ყიასაშვილი.

**რუმინეთი**

15. კატალინ ფერკუ, 14. ადრაინ აპოსტოლი, 13. რობერტ დესკალუ, 12. ფლორინ ვლაიკუ, 11. მიჰაი როსკა, 10. დორინ მანოლე, 9. კიპრიან კაპლესკუ. 1. მიჰაიტა ლაზარი, 2. ანდეი რადოი, 3. პაულიკა იონი, 4. კორნელ ტატუ, 5. მარიუს სირბე, 6. ოვიდიუ ტონიცა, 7. მიჰაი მაკოვეი, 8. დანიელ კრპო.

16. ევგენი კაპატანა, 17. ჰორაციუ პუნეგა, 18. პეტრუ ტამბა, 19. ალინ კოსტე, 20. ვიორელ ლუკაჩი, 21. ფლორინ სურუჯუ, 22. ჩაბა გალი, 23. იონუც ნიასუ.

**რუსეთი**

**პირველი ხაზი:** გრიგორი ცნობილაძე (კრასნი იარი), ალექსეი ვოლკოვი, ვლადისლავ კორშუნოვი, (ორი-ვვა), ინოკენტი ზიკოვი, ევგენი პრონენკო, ვალერი ცნობილაძე (ენისეი), ანდრეი პოლივალოვი (კაზანი).

**მეორე ხაზი:** კირილ კულემინი (ლონდონ ველში), ალექსანდრ ვოიტოვ (ვვა), მაქსიმ კისილევი (კრასნი იარი).

**მესამე ხაზი:** ვიქტორ გრესევი (ვვა), ანდრეი ტემნოვი, პაველ ბუტენკო (ენისეი), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი), პაველ კვერნაძე (სპარტაკი), არტიომ ფატახოვი (კაზანი).

**№9:** ალექსანდრ იანუშკინი (ვვა), ალექსეი შერბანი (ენისეი)

**№10:** სერგეი სუგრუბოვი (სლავა), ანტონ რიაბოვი (კრასნი იარი), სერგეი იანუშკინი (კაზანი).

**№12-13:** ალექსეი მაკოვეცკი (კრასნი იარი), მიხაილ ბაბაევი (ვვა), დიმიტრი გერასიმოვი (ენისეი), სერგეი ტრიშინი (ვვა).

**№11-14:** ვასილი არტემევი (ნორსჰემპთონი), ანდრეი ოტროკოვი (კრასნი იარი).

**№15:** იგორ კლუჩნიკოვი (ვვა), იგორ კურაშოვი (ენისეი)


ალინ პეტრაკე (მარცხნივ) და ლინ ჰოულსი

## „სტეუარი“ „დათვებს“ ბუქარესტში დაუხვდება

ერთა თასის გათამაშებაში მეორე ტურის ცენტრალურ მატჩად შეიძლება მივიჩნიოთ ბუქარესტში რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებების დაპირისპირება. ამ გუნდებმა პირველ ტურში გამარჯვებას მიაღწიეს და ერთა თასისკენ ერთი ნაბიჯი გადადგეს.

ექვსი ერი



# ხელმოცარულები გამოსავალს ეძებენ

**ექვსი ერის გათამაშების პირველი ტურის სენსაციის თანაავტორი, საფრანგეთის ნაკრები შაბათს პარიზში, „სტად დე ფრანსზე“ უელსის ნაკრებს დაუპირისპირდება. ორივე გუნდმა სტარტი მარცხიანი აილო. ამიტომ, სავარაუდოდ, ბრძოლა უაღრესად უშეღავათო იქნება.**

„ლე ბლოს“ თავკაცმა **ფილიპ სენტ-ანდრემ** ნაკრების შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა. ძირითად გუნდში დაბრუნდა შუამარბი **მატიო ბასტარო,** რომელმაც **ფლორინ ფრიცის** ადგილი დაიკავა. ბასტაროს უკანა ხაზში თანაკლუბელი მაქსიმ მერმოსი შეუწყვილდება.

იტალიელებთან მატჩში დაშავდა ფრანგთა კაპიტანი **პასკალ პაპე,** რომელსაც მეორეხაზელი **ჟოსელინ სუტა** შეცვლის. ამდენად, „ლე ბლოს“ „წითელ ურჩხულებთან“ მატჩში ისევ ძველი კაპიტანი, მესამეხაზელი **ტიერი დუსოტუარი** წარუძღვება. მატჩისწინა პრესკონფერენციაზე „ლე ბლოს“ თავკაცი კატეგორიული იყო:

*„ნათქვამია, გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიანო. ჩვენ ვამბობთ, რომ არ ვცვლით წაგებულ გუნდს. მოთამაშეებმა უნდა მოახერხონ კონდიციების აღდგენა, ფსიქოლოგიურად წელში უნდა გაიმართონ.*

*იტალიასთან მარცხის გამო აღშფოთებას ვერ ვმალავდი. იმ მატჩში ნათლად გამოჩნდა ჩვენი გუნდის სუსტი წერტილები. ვეცდებით წარმოჩენილი ხარვეზები სასწრაფოდ აღმოვფხვრათ და მოუთმენლად ველით შაბათს.*

*უკანა ხაზში განხორციელებული ერთი ცვლილება სტრატეგიული ხასიათისაა. უკანახაზელები (№10, №12, №13), ფრედერიკ მიშალაკი, მაქსიმ მერმოსი და მატიო ბასტარო თანაგუნდელები არიან. „ტულონში“ ეს სამეული შესანიშნავად ირჯება და, იმედი მაქვს, უელსელთა დაცვას დიდ პრობლემებს შეუქმნის“* - თქვა ფილიპ სენტ ანდრემ.

კაპიტანი შეიცვლა უელსის ნაკრებშიც. გუნდის „ყოჩი“ ფრანგებთან ბრძოლაში **რაიან ჯოუნზი** იქნება, რადგან **სემ ვერბარტონი** ტრავმირებულია. უელსელთა ლიდერი **ლეიგ ჰალპფენი** კრიზისის თაობაზე საუბარს გადაჭარბებულად მიიჩნევს. თუმცა ფაქტია, რომ „წითელმა ურჩხულებმა“ უკვე ზედიზედ მერვე თამაში წააგეს. ამ წარუმატებელი სერიის დასრულება მათ საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში უნდათ, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ უელსის ნაკრებს 1975 წლიდან მოყოლებული, სტუმრად ფრანგებისთვის მხოლოდ სამჯერ აქვს მოგებული.

*„ჩვენ კრიზისი არ გვაქვს. ჯერ მხოლოდ ერთი თამაში წავაგეთ და ყველაფერი ისევ წინ არის. ბოლოს და ბოლოს ჩემპიონები ვართ და ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ჩემპიონებს შეეფერებათ. ირლანდიასთან მატჩში პრობლემა ის იყო, რომ ძალიან გვიან მივაგენით საკუთარ თამაშს. მხოლოდ მეორე ტაიმში გამოვცოცხლდით, მაშინ, როცა უკვე 30 ქულით ვაგებდით. ვფიქრობ, თუ ასეთივე ტონუსი ფრანგებთანაც შევინარჩუნეთ, აუცილებლად გავიმარჯვებთ“* - თქვა უელსელთა ფულბეკმა და მთავარმა მექულემ.

**საფრანგეთი**

15. იან უგე, 14. ვესლი ფოფანა, 13. მატიო ბასტარო, 12. მაქსიმ მერმოსი, 11. ბენიამინ ფელი, 10. ფრედერიკ მიშალაკი, 9. მაქსიმ მაშენო. 1. იანიკ ფორესტერი, 2. დიმიტრი შარჟევსკი, 3. ნიკოლა მასი, 4. ჟოსელინ სუტა, 5. იოან მაესტრი, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ფლუჟანს უოდრაოგო, 8. ლუი პიკამოლი.

16. ბენიამინ კაიზერი, 17. ვენსან დებატი, 18. ლუკ დუკალკონი, 19. რომენ ტაოფიფენუა, 20. დამიენ შული, 21. მორგან პარა, 22. ფრანსუა ტრინ-დუკი, 23. ფლორინ ფრიცი.

**უელსი**

15. ლეიგ ჰალპფენი, 14. ალექს კატბერტი, 13. ჯონათან დევისი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. ჯორჯ ნორსი, 10. დენ ბიგარი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. გეთინ ჟენკინსი, 2. რიჩარდ ჰიბარი, 3. ადამ ჯოუნზი, 4. ენდრიუ კუმბსი, 5. იან ევანსი, 6. რაიან ჯოუნზი, 7. ჯასტინ ტიპურიჩი, 8. ტობი ფალეტაუ.

16. კენ ოუენსი, 17. პოლ ჟეიმზი, 18. კრეიგ მიტჩელი, 19. ლუ რიდი, 20. ენტონი შინგლერი, 21. ლოიდ ვილიამსი, 22. ჯეიმზ ჰუკი, 23. სკოტ ვილიამსი.

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ინგლისი - 2 ქულა, 2. ირლანდია - 2, 3. იტალია - 2, 4. საფრანგეთი - 0, 5. უელსი - 0, 6. შოტლანდია - 0.**

**II ტური**

**შოტლანდია-იტალია**
**საფრანგეთი-უელსი**
**ირლანდია-ინგლისი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## განცხადება

საქართველოს რაგბის კავშირის მოწვევით 2013 წლის 25 თებერვალს, 15 საათზე „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გაიმართება საქართველოს რაგბის კავშირის ნამდვილ წევრთა საერთო კრება (ყრილობა) შემდეგი დღის წესრიგით:

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის 2012 წლის ანგარიში.

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის 2012 წლის ანგარიში.

საქართველოს რაგბის კავშირის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

საქართველოს რაგბის კავშირის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

ჩოგბურთი




# გრუნტის მეფე დაბრუნდა

**რაფაელ ნადალმა** ვინა დელ მარის ტურნირზე ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. წყვილთა თანრიგში **ხუან მონაკოსთან** ერთად პირველი რაუნდის გავლის შემდეგ, ესპანელმა ჩოგბურთელმა მოგებით დაიწყო გამოსვლა ერთეულთა თანრიგში. ნადალი მეორე წრიდან ჩაება ბრძოლაში, სადაც მისი მეტოქე იყო არგენტინელი **ფედერიკო დელბონისი.**

რაფა საკმაოდ მძიმედ შევიდა თამაშში და წააგო საწყისი ორი გეიმი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ნადალმა მოიგო მომდევნო 11 გეიმიდან ათი და 6:3, 5:1 დაწინაურდა, რასაც არგენტინელის მხრიდან კიდევ ერთი გაბრძოლება მოჰყვა - მან „მშრალად" მოიგო საკუთარი გეიმი, თუმცა ნადალმა მატჩზე ჩაწოდებისას მეორე მატჩბოლი გამოიყენა და ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა მატჩი – 87-წუთიანი ბრძოლის შემდეგ ასეთი ანგარიში მივიღეთ – 6:3, 6:2. რაფაელმა ამ მატჩში ოთხი ბრეიკი შეასრულა და თავად მხოლოდ ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება.

ნადალი გავიდა მეოთხედფინალში, სადაც ესპანელ მეტოქეს შეხვდება. ეს იქნება **ალბერტ მონტანიესი** ან **დანიელ ხიმენო-ტრავერო**. სხვათა შორის, რაფას ჩამოშორდა ერთი სერიოზული მეტოქე – ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა და მეორე ნომრად განთესილმა ხუან მონაკომ ფრანგ **გიიომ რუფენთან** წააგო.

# 24 წლისა წავიდა




მსოფლიოს ყოფილმა მე-13 ჩოგანმა, 24 წლის უნგრელმა **აგნეს შავაიმ** კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. ჩოგბურთელმა ეს გადაწყვეტილება ზურგის ქრონიკული ტრავმის გამო მიიღო.

*„ეს არის ერთ-ერთი უმძიმესი მომენტი ჩემს ცხოვრებაში, რადგან ათ წელიწადზე მეტი საჩოგბურთო სამყაროში ვტრიალებდი. მხოლოდ 24 წლის ვარ და ბევრის მიღწევა შემეძლო, მაგრამ სამწუხაროდ, აღარ შემიძლია რისკის ქვეშ დავაყენო ჩემი ჯანმრთელობა"*, - ამბობს უნგრელი ჩოგბურთელი.

შავაის კარიერის განმავლობაში მოგებული აქვს WTA-ის ხუთი ტიტული ერთეულებში და ორი - წყვილთა თანრიგში. 2007 წელს, აგნესმა ამერიკის ღიას მეოთხედფინალში გააღწია, რაც მისი მთავარი მიღწევაა „დიდი სლემის" ტურნირებზე. მსოფლიოს რეიტინგში საუკეთესო შედეგს 2008 წლის აპრილში მიაღწია, როცა მე-13 ადგილზე დამკვიდრდა. პროფესიულ ტურში გამოსვლამ, უნგრელს ჯამში 2 086 125 დოლარი მოუტანა.

2012 წელს შავაიმ მხოლოდ ოთხი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა და ყველა წააგო. ბოლოს ის კორტზე ამერიკის ღია პირველობის დროს გავიდა, სადაც ვერ შეძლო პირველი წრის მატჩის დასრულება თავისი თანამემამულის **გრეტა არნის** წინააღმდეგ. ბოლო რეიტინგის მიხედვით, შავაი 1017 პოზიციაზე იმყოფება.

*„მაქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც შემიძლია ახალ თაობას გადავცე. ახლა, სწორედ საჩოგბურთო აკადემიის გახსნაზე და ბავშვებთან მუშაობაზე ვოცნებობ. არ ვგეგმავდი ამ საქმის ასეთ ასაკში დაწყებას, მაგრამ ასე გამოვიდა. ასე რომ, მალე შეიტყობთ შავაის აკადემიის გახსნის შესახებ. კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა, მაგრამ ახლა, მზად ვარ ახალი ცხოვრების დასაწყებად"*, - განაცხადა საკუთარი გეგმების შესახებ უნგრელმა.

# აზარენკას 50 კვირა



ვიქტორია აზარენკა

WTA-ის განახლებული რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ, 23 წლის ბელარუსი ჩოგბურთელი **ვიქტორია აზარენკა** მეათე ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც 50 კვირა გაატარა WTA-ის კლასიფიკაციის უმაღლეს საფეხურზე.

| | |
|---|---|
| შტეფი გრაფი | 377 კვირა |
| მარტინა ნავრატილოვა | 332 |
| კრის ევერტი | 260 |
| მარტინა ჰინგისი | 209 |
| მონიკა სელეში | 178 |
| სერენა უილიამსი | 123 |
| ჟუსტინ ანენი | 117 |
| ლინდსი დევენპორტი | 98 |
| კაროლინ ვოზნიაცკი | 67 |
| ვიქტორია აზარენკა | 50 |

ოლიმპიზმი. სოჭი 2014

# სოჭი კანადელების [illegible]

## დღეს რომ ზამთრის ოლიმპიადა ტარდებოდეს, გუნდურ ჩათვლაში კანადა, ნორვეგია და აშშ მოიგებდნენ

ანალიტიკურმა კომპანია Infostrada Sports-მა, რომელიც სპორტული სტატისტიკით არის დაკავებული, გამოაქვეყნა პროგნოზი სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის.

ამ პროგნოზის თანახმად, ზამთრის თამაშებზე მედლების ჩათვლაში პირველობას კანადის ნაკრებს უწინასწარმეტყველებენ. ამ გუნდმა 2010 წელს, ვანკუვერის თამაშებზე პირველი ადგილი დაიკავა. ანალიტიკოსთა აზრით, კანადა სოჭში გააუმჯობესებს ვანკუვერის შედეგებს (14 ოქრო, 7 ვერცხლი და 5 ბრინჯაო) და მოიგებს 17 ოქროს, ექვს ვერცხლსა და 9 ბრინჯაოს.

მედლების ჩათვლაში მეორე ადგილს უწინასწარმეტყველებენ ნორვეგიას - 14 ოქროს მედალი. ანალიტიკოსებმა მესამე ადგილზე დააყენეს ამერიკის შეერთებული შტატები (10 ოქრო).

Infostrada Sports-მა რვა პირველი ადგილი მისცა ავსტრიის ნაკრებს და ის მეოთხე პოზიციაზე იქნება გუნდურ ჩათვლაში. შვიდ-შვიდი ოქროს მედალი უნდა მოიპოვონ გერმანიამ და მასპინძელმა რუსეთმა, ოღონდ გერმანელები რუსებს მედლების საერთო რაოდენობით გაასწრებენ.

პროგნოზის შედგენისას Infostrada Sports-მა გაითვალისწინა შედეგები, რომელიც სპორტსმენებმა ვანკუვერის ოლიმპიადის შემდეგ დააფიქსირეს. ამასთან, პროგნოზი რეგულარულად განახლდება ხოლმე და წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ დასრულდება სოჭის ზამთრის თამაშები, ახლა რომ იღებდეს სტარტს.

სოჭში ზამთრის ოლიმპიადა 2014 წელს, 7-23 თებერვალს ჩატარდება.




დოპინგი

# სასჯელი გაორმაგდება

## დოპინგის მიღებისთვის დისკვალიფიკაციის ვადა ოთხ წლამდე გაიზარდა

საფრანგეთის ქალაქ სტრასბურში, ევროპის საბჭოს სხდომის რანგში გაიმართა მორიგი შეხვედრა, სადაც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს კოდექსში მოსალოდნელ ცვლილებებზე იმსჯელეს. ახალი წესების ამოქმედება 2015 წლის პირველი იანვრიდან იგეგმება.

კოდექსის ახალ რედაქციაში პირდაპირ წერია, რომ სპორტსმენის ტესტირება შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს ნებისმიერი ანტისადოპინგო ორგანიზაციის მიერ, რომელსაც შესაბამისი იურისდიქცია გააჩნია.



სადოპინგო კანონის პირველ ჯერზე დარღვევის შემთხვევაში, დისკვალიფიკაციის სტანდარტული ვადა ოთხი წელი იქნება, გარკვეული გამონაკლისების გარდა. ასე რომ, სასჯელის ვადა ორმაგდება. გართულდა სისტემა, რომლითაც სპორტსმენები ლამობენ თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცებასა და სანქციის შემცირებას (ეს ეხება იმ შემთხვევებს, როცა აკრძალული პრეპარატი სპორტსმენის ორგანიზმში დაუდევრობით ან შემთხვევით ხვდება). სპორტსმენის ყველა შედეგი, რომელიც დისკვალიფიკაციის პერიოდშია ნაჩვენები, ანულირდება რეტროაქტიური დისკვალიფიკაციის შემთხვევაშიც.

დოპინგსინჯები შეინახება არა რვა, არამედ ათი წლის განმავლობაში. მათი ხელმეორე შემოწმება ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი იქნება და სპორტსმენს, შესაძლოა, ძველი ცოდვები დიდი ხნის შემდეგ დაუმტკიცონ. გარდა ამისა, ანტისადოპინგო სააგენტოს შეუძლია სხვა რომელიმე წესის დარღვევისთვის (მაგალითად, დოპინგის გავრცელება) 14 წლის განმავლობაში მოჰკითხოს პასუხი სპორტსმენს.

# ლუდი და LSD დოპინგია

## ამერიკელებმა ყველაზე უცნაური აკრძალული პრეპარატების რეიტინგი შეადგინეს




ამერიკულმა გამოცემა Bleacher Report-მა შეადგინა ყველაზე უცნაური პრეპარატების რეიტინგი, რომელსაც სპორტსმენები დოპინგის სახით იყენებდნენ. დოპინგის უცნაური სახეობების სიაში შევიდა 10 პრეპარატი ან მათი მიღების მეთოდი. თითოეულ მათგანს ათბალიანი სისტემით მიანიჭეს "უცნაურობის დონე".

რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა ქალების მიერ სპორტსმენთა სპერმის შეძენამ. ქალბატონები ამით იმედოვნებენ, რომ ბავშვი, რომელიც ამ დონორიდან დაიბადება, თავად გახდება დიდი სპორტსმენი (ასეთი მშობლების შესახებ სიუჟეტი აჩვენეს ESPN-ის არხზე).

"უცნაურობის რეიტინგში" ცხრა ქულა მიიღო ირმის რქებისგან მიღებულმა სითხეს, რომელსაც იყენებდა ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე **რეი ლუისი**. რვა ქულა დაიმსახურა ტამოქსიფენმა – ქალის მკერდის სიმსივნის სამკურნალო პრეპარატმა. მას ბეისბოლისტი **მარლონ ბერდი** იღებდა შედეგების გასაუმჯობესებლად.

შვიდი ქულით შეაფასეს ნარკოტიკი LSD. 1970 წელს, ბეისბოლისტმა **დოკ ელისმა** მატჩის დღეს, დილით მიიღო ეს ნარკოტიკი, რადგან ეგონა, რომ საღამოს თამაში არ ჰქონდა. საბოლოოდ, ის შეხვედრა ერთ-ერთი საუკეთესო იყო მის კარიერაში. ასევე შვიდი ქულა მიანიჭეს „გერმანულ პროცედურას" - ართრიტის დაშვებულ მკურნალობას თრომბოციტებით გამდიდრებული პლაზმის მეშვეობით, რაც ბოლო დროს ძალიან პოპულარულია ამერიკელ სპორტსმენებს შორის.

ხუთი ქულა მიიღო ბრომანტანმა - საბჭოთა სამხედრო ექიმების მიერ შემუშავებულმა სტიმულატორმა, რომლის მიღების გამო ბევრი რუსი სპორტსმენი დასჯილა.

„უცნაურობის დონის" მიხედვით სიაში შემდეგია ადერალი. ეს არის სტიმულატორი, რომელსაც იყენებენ ყურადღების დეფიციტის სინდრომის სამკურნალოდ. ამ პრეპარატს ოთხი ქულა მიენიჭა, ისევე როგორც, ასთმით დაავადებულებისთვის განკუთვნილ ინჰალატორს.

ორი ქულით შეაფასეს ლუდი. 1968 წლის ოლიმპიადაზე ეს სასმელი მიიღო შვედმა ხუთჭიდელმა **ჰანს-გუნარ ლილენვალმა**, რათა სროლის ტურნირის წინ ნერვები დაეწყნარებინა.

რეიტინგი



ტაიგერ ვუდსი

# სამი ყველაზე საძულველი

პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე საძულველი სპორტსმენების რეიტინგი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ „საპატიო" სიას სათავეში ჩაუდგა ველომრბოლი **ლენს არმსტრონგი**, რომელსაც ცოტა ხნის წინ ღმერთად მიიჩნევენ, მაგრამ ცნობილი აღიარების შემდეგ, ხალხის მხრიდან მის მიმართ სიყვარული „ნულზე დავიდა".

მეორეა ნოტრდამის უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდის ლაინბეიკერი **მანტი ტე'ო**. როგორც იცით, ამ უცნაურ ამერიკელს ვირტუალურ გოგონასთან ჰქონდა რომანი.

სამეულში მოხვდა ლეგენდარული გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი**. მას ცოლის ღალატი არ აპატია ყოფილმა მეუღლემ და მთელმა ამერიკამ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## უცხოური სპორტი

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


იარომირ იაგრი

# იაგრი ლეგენდების ათეულში

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გასულ სათამაშო დღეს, „დალას სტარტზის" ლეგენდარულმა ჩეხმა ფორვარდმა **იარომირ იაგრმა** გამარჯვების შაიბა გაიტანა ოვერტაიმში „ედმონტონ ოილერზის" წინააღმდეგ. ეს გოლი 668-ე იყო ჰოკეისტის კარიერაში.

ამ შედეგით იაგრმა ლიგის ყველა დროის გოლეადორთა ათეულში შეაღწია. ის ამ ადგილს **ლიუკ რობიტაილთან** ერთად იყოფს.

სხვათა შორის, სულ მალე ათეულში შესვლა შეუძლია „ანაჰაიმის" ფინელ ვეტერანს **ტეემუ სელიანეს**, რომლის ანგარიშზე 666 შაიბა მოდის.

NHL-ის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერთა სია ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. უეინ გრეტცკი | 894 |
| 2. გორდი ჰოუ | 801 |
| 3. ბრეტ ჰალი | 741 |
| 4. მარსელ დიონი | 731 |
| 5. ფილ ესპოზიტო | 717 |
| 6. მაიკ გარტნერი | 708 |
| 7. მარკ მესიე | 694 |
| 8. სტივ აიზერმანი | 692 |
| 9. მარიო ლემიე | 690 |
| 10. იარომირ იაგრი | 668 |
| 10. ლიუკ რობიტაილი | 668 |
| 12. ტეემუ სელიანე | 666 |

■ ■ ■

გუშინდელი სათამაშო დღის შემდეგ, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ, ტრადიციულად, დღის სამი ვარსკვლავი დაასახელა.

პირველი ვარსკვლავის სტატუსი ერგო „ანაჰაიმის" მეკარე **ვიქტორ ფასტს**, რომელმაც „კოლორადოს" 31 დარტყმა მოიგერია და „შათაუტი შეასრულა. მესამე ვარსკვლავია ასევე მეკარე - „ბოსტონის" კარის დარაჯი **ტუუკა რასკი**. მან „მონრეალის" 20 დარტყმა მოიგერია.

რაც შეეხება დღის მეორე ვარსკვლავს, ეს გახლავთ დალასელი იარომირ იაგრი, რომელმაც „ედმონტონში" გატანილ გოლს შედეგიანი პასი დაუმატა.

**მონრეალი-ბოსტონი 1:2**

0:0, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 საბენი1 (მარკოვი-5, პლეკანეცი-4), 1:1 სეგუინი-2 (კრეიჩი-6), 1:2 კრეიჩი-3 (ლუჩიჩი-3, სეგუინი-4).

**კოლორადო-ანაჰაიმი 0:3**

0:2, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 სურეი-4 (გეტცლაფი-6), 0:2 ს. კოივუ-3 (სელიანე-7, სურეი-3), 0:3 ბოშემენი-2 (ვინიკი-3, ს. კოივუ-8).

**ედმონტონი-დალასი 2:3 (ო)**

0:0, 1:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ჰემსკი-4 (იაკუპოვი-3, სემ განიე-8), 1:1 ბენი-3 (იაგრი-5, მოროუ-3), 1:2 როი-1 (ლ. ერიქსონი-2, რაიდერი-1), 2:2 შულცი-3 (ჰემსკი-3, ტ. ჰოლი-8), 2:3 იაგრი-3 (ბენი-3, რობიდასი-3).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 9 | 7 | 1 | 1 | 15 |
| 2. პიტსბურგი* | 10 | 7 | 3 | 0 | 14 |
| 3. ტამპა ბეი* | 9 | 6 | 3 | 0 | 12 |
| 4. ნიუ ჯერსი | 9 | 5 | 1 | 3 | 13 |
| 5. ოტავა | 10 | 6 | 3 | 1 | 13 |
| 6. მონრეალი | 9 | 6 | 3 | 0 | 12 |
| 7. ტორონტო | 10 | 5 | 5 | 0 | 10 |
| 8. აილენდერსი | 9 | 4 | 4 | 1 | 9 |
| 9. ვინიპეგი | 9 | 4 | 4 | 1 | 9 |
| 10. კაროლინა | 8 | 4 | 4 | 0 | 8 |
| 11. რეინჯერსი | 9 | 4 | 5 | 0 | 8 |
| 12. ფილადელფია | 10 | 4 | 6 | 0 | 8 |
| 13. ფლორიდა | 9 | 3 | 5 | 1 | 7 |
| 14. ბაფალო | 10 | 3 | 6 | 1 | 7 |
| 15. ვაშინგტონი | 10 | 2 | 7 | 1 | 5 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 10 | 8 | 0 | 2 | 18 |
| 2. ანაჰაიმი* | 9 | 7 | 1 | 1 | 15 |
| 3. ვანკუვერი* | 9 | 5 | 2 | 2 | 12 |
| 4. სან ხოსე | 10 | 7 | 2 | 1 | 15 |
| 5. სტ. ლუისი | 9 | 6 | 3 | 0 | 12 |
| 6. ნეშვილი | 9 | 4 | 2 | 3 | 11 |
| 7. ედმონტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 11 |
| 8. დალასი | 11 | 5 | 5 | 1 | 11 |
| 9. ფინიქსი | 10 | 4 | 4 | 2 | 10 |
| 10. მინესოტა | 9 | 4 | 4 | 1 | 9 |
| 11. დეტროიტი | 9 | 4 | 4 | 1 | 9 |
| 12. ლოს ანჯელესი | 8 | 3 | 3 | 2 | 8 |
| 13. კოლორადო | 10 | 4 | 6 | 0 | 8 |
| 14. კოლამბუსი | 10 | 3 | 6 | 1 | 7 |
| 15. კალგარი | 7 | 2 | 3 | 2 | 6 |

*- დივიზიონის ლიდერი

**ლიდერები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 19 (8+11) |
| სტივენ სტემკოვი (ტ-ბეი) | 16 (7+9) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 15 (6+9) |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 14 (9+5) |
| ჯეისონ პომინვილი (ბაფ) | 14 (6+8) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 14 (4+10) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 14 (3+11) |
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 14 (3+11) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 13 (5+8) |
| ჯო პაველსკი (ს-ხოს) | 13 (5+8) |

**გოლი**

| | |
|---|---|
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 9 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 8 |
| ერიკ სტაალი (კარ) | 7 |
| დევიდ კლარკსონი (აილ) | 7 |
| სტივენ სტემკოვი (ტ-ბეი) | 7 |
| პი ეი პარენტო (კოლორ) | 7 |

**პასი**

| | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 11 |
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 11 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 11 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 10 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 10 |
| ტობიას ენსტრიომი (ვინ) | 10 |
| სტივენ სტემკოვი (ტ-ბეი) | 9 |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 9 |

### ველოსპორტი

# ნაკრებების ტურ დე ფრანსი?

საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაცია დადებითად ეკიდება სუპერველომარათონ ტურ დე ფრანსის ფორმატის სავარაუდო შეცვლას. ეს ცვლილება ითვალისწინებს რბოლაში ეროვნული ნაკრებების მონაწილეობას. ამ ინფორმაციას ფრანგული გამოცემა „ეკიპი" ავრცელებს.

ფედერაციის პრეზიდენტ **დავიდ ლაპარტიენის** აზრით, ეს არის რევოლუციური პროექტი, რომელმაც შეიძლება ველოსპორტის სახე შეცვალოს. პროექტის თანახმად, ტურ დე ფრანსზე გამოვა 25 ნაკრები, რომელიც ყველა კონტინენტს წარმოადგენს. თითო გუნდში რვა მრბოლელი იქნება.

*„ლენს არმსტრონგის მხილების შემდეგ, ეს პროექტი კიდევ უფრო დასაბუთებული და აქტუალური გახდა, - განაცხადა ლაპარტიენმა. - ველოსპორტს უნდა დავუბრუნოთ მისი არსი - დაძაბული რბოლები, რომელთა სცენარი წინასწარ არავის იცის".*

ტურ დე ფრანსის ისტორიაში უკვე იყო პერიოდი, როცა რბოლაში ნაკრებები მონაწილეობდნენ - 1930 წლიდან მოყოლებული 60-იანი წლების ბოლომდე, რამაც ძალიან აამაღლა ამ ველომარათონის პოპულარობა.

### კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ზედიზედ ექვსი რონდოს გარეშე

„გოლდენ სტეიტთან" 140 ქულის დაგროვებისა და NBA-ისთვის სარეკორდო 23 სამქულიანის ჩაგდების შემდეგ, „ჰიუსტონი" სტუმრად ეწვია ჩემპიონს და ბოლო ცხრა მატჩში მეშვიდედ მოგება სცადა. როგორც გუნდის ლიდერს შეშვენის, შესანიშნავად ითამაშა **ჯეიმს ჰარდენმა**, რომელმაც 36 ქულა დააგროვა და ამას 12 (!) მოხსნა, 7 პასი და 3 ჩაჭრა დაუმატა. ნამდვილად MVP-ის დარი სტატისტიკაა, მაგრამ „როკეტსში" სხვებს არ წაუვიდათ თამაში. მაგალითად, **ლინმა** და **მორისმა** სროლის მცირე შესაძლებლობა მიიღეს და სიზუსტეც მოიკოჭლებდა - 17-დან 4. ცნობილია, რომ „მაიამის" წინააღმდეგ ერთი კალათბურთელის კარგი თამაში საკმარისი არ არის გამარჯვების მოსაპოვებლად. და ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა.

გუშინ, **კრის ბოში** არ თამაშობდა, ამიტომაც თამაშის მთელი ტვირთი **ლებრონ ჯეიმსმა** და **დუეინ უეიდმა** მიიღეს საკუთარ თავზე და შესანიშნავად გაართვეს თავი ამოცანას. წყვილმა 63 ქულა დააგროვა, მაგრამ საჭირო მომენტში „მეორე ეშელონის" დახმარება რომ არ ჰქონოდათ, ლებრონისა და დუეინის მონდომება წყალში ჩაიყრებოდა.

ბოშის არყოფნაში სასტარტოში მოხვედრილმა **ჰასლემმა** შესანიშნავად იმუშავა. საქმე მხოლოდ 13 მოხსნაში არ არის. მთავარი ისაა, რომ სირენამდე 18 წამით ადრე, როცა „მაიამი" სამ ქულას აგებდა, ცენტრმა შეტევაში აალებინა მეტოქეს ჯარიმა. და ამის შემდეგ, „ჰიუსტონი" 108 ქულაზე „გაიყინა", „მაიამიმ" კი დარჩენილ დროში არათუ სამი ქულა გააბათილა, არამედ ექვსი ქულით მოიგო მატჩი.

■ ■ ■

„ბოსტონმა" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა მას შემდეგ, რაც სეზონის ბოლომდე გამოაკლდა **რაჟონ რონდო**. თუმცა „კელტები" ახლოს იყვნენ „ტორონტოსთან" მატჩში დამარცხებასთან. ბოლო მეოთხედისთვის **დოკ რივერსის** შეგირდები 10 ქულას აგებდნენ. თუმცა ხუთეულის მსუბუქმა ვარიანტმა (**ტერი, ბარბოზა, პირსი, გრინი, გარნეტი**) ოპერატიულად შეძლო ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად, გარნეტის შესანიშნავი თამაშით. ვეტერანმა სეზონში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ჯამში მოპოვებული 27 ქულიდან 11 მეოთხე მეოთხედზე მოდის. ეს 12-წუთეული „ბოსტონმა" დიდი უპირატესობით მოიგო - 30:16 და გამარჯვება გაიფორმა. სხვათა შორის, ეს მოგება მე-400 იყო რივერსისთვის „ბოსტონის" მთავარი მწვრთნელის რანგში. ადრე ასეთი შედეგი მხოლოდ ორ სპეციალისტს - **ტომ ჰეინსონსა** და **რედ აუერბახს** ჰქონდა.

■ ■ ■

სულ კი რივერსს კარიერაში 571 გამარჯვება დაუგროვდა, „დალასის" დამრიგებელ **რიკ კარლაილს** კი ამ შედეგამდე 71 მოგება აკლია. მან გუშინ,"პორტლენდის" ძლევის შემდეგ, 500 გამარჯვებას უწია. აქამდე ისტორიაში მსგავსი შედეგი მხოლოდ 27 მწვრთნელს ჰქონია, მოქმედთაგან კი, კარლაილისა და რივერსის გარდა, ასეთი მონაგარით თავს **ადელმანი, პოპოვიჩი** და **კარლი** იწონებენ.

„დალასს" ამ მოგებისთვის დიდი მონდომება დასჭირდა, რადგან „პორტლენდს" სირენამდე წუთით ადრე, ერთი ზუსტი სამქულიანი აკლდა ანგარიშის გასათანაბრებლად.

■ ■ ■

როგორც ჩანს, წელს „ვაშინგტონის" მთავარი მისია დივიზიონის ლიდერების გამწარებაა. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჯერ იყო „კლიპერსის" დამარცხება, ახლა კი „ნიუ იორკს" არ გაუმართლა. „ნიქსმა" 106 ქულა მიიღო გუნდისგან, რომელიც წელს ლიგაში ყველაზე დაბალშედეგიანია (საშუალოდ 91 ქულა) და 5-5 სამქულიანი ჩააგდებინა **უებსტერსა** და **არიზას**, რომლებიც, საშუალოდ, 2.7 შორეულ ტყორცნას ათავსებენ კალათში. და კიდევ, ნიუიორკელებმა 28-დან 19 სამქულიანი ააცილეს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ სტუმრების ოთხმა გამთამაშებელმა - **კიდმა, ფელტონმა, შუმპერტმა** და **პრიჯიონიმ** ჯამურ 88 წუთში მხოლოდ 9 შედეგიანი პასი შეასრულეს. ამდენივე იყო **უოლის** ანგარიშზე, რომელმაც მოედანზე 39 წუთი გაატარა. გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდა ბოლო მეოთხედის დასაწყისში მასპინძლების 18:7 გაქცევა. ამისთვის მათ მხოლოდ 204 წამი და ზედიზედ შვიდი შედეგიანი შეტევა დასჭირდათ.

**ტორონტო-ბოსტონი 95:99**

23:20, 22:30, 34:19, 16:30

**ტ:** გეი (25+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), ლოური (17+7 მოხსნა+8 პასი+4 ჩაჭრა), ჯონსონი (16+12 მოხსნა), დეროზანი (13), ბარნიანი (13).

**ბ:** გარნეტი (27+10 მოხსნა), ლი (15), ბარბოზა (14), პირსი (12+11 მოხსნა+6 პასი), ბრედლი (11), ბასი (10).

**ფილადელფია-ინდიანა 69:88**

15:18, 19:19, 14:22, 21:29

**ფ:** ჰოლიდეი (19+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ალენი (12+6 მოხსნა), მოლტრი (12), ჰოიესი (6+10 მოხსნა+3 დაფარება).

**ი:** ჰიბერტი (18+14 მოხსნა+5 დაფარება), ჯორჯი (15+5 მოხსნა+6 პასი), ჰილი (15+5 მოხსნა+5 პასი), უესტი (15+3 ჩაჭრა).

**ვაშინგტონი-ნიუ იორკი 106:96**

28:29, 23:19, 19:25, 36:23

**ვ:** უოლი (21+5 მოხსნა+9 პასი), არიზა (20), უებსტერი (19), ნენე (13+10 მოხსნა), ოკაფორი (12+7 მოხსნა), სინგლტონი (10).

**ნ-ი:** ენტონი (31+9 მოხსნა), სტაუდმაიერი (19+6 მოხსნა+3 დაფარება), ფელტონი (17), სმითი (13), ჩენდლერი (8+13 მოხსნა).

**ორლანდო-კლიპერსი 76:86**

17:17, 25:23, 13:24, 21:22

**ო:** ნელსონი (18+5 მოხსნა), ვუჩევიჩი (15+14 მოხსნა), ო'ქუინი (10+9 მოხსნა).

**კ:** ბლედსოუ (27+6 მოხსნა+6 ჩაჭრა+3 დაფარება), ჯორდანი (13+14 მოხსნა), ჰოლინზი (13+8 მოხსნა).

**კლივლენდი-შარლოტი 122:95**

32:21, 33:20, 35:26, 22:28

**კ:** ირვინგი (22), უეიტერსი (19+5 პასი), ტომპსონი (17+9 მოხსნა+3 პასი+3 დაფარება), სპეიტსი (11+10 მოხსნა).

**შ:** მალენსი (15+7 მოხსნა), სეშენსი (14), ჰენდერსონი (12), ტეილორი (10), ტომასი (10).

**ატლანტა-მემფისი 103:92**

26:22, 32:26, 22:14, 23:30

**ა:** ტიგი (22+13 პასი), სმიტი (19+11 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), ჰორფორდი (17+11 მოხსნა), კორვერი (12+6 მოხსნა).

**მ:** რენდოლფი (20+7 მოხსნა), კონლი (17+8 პასი), ბეილესი (15+5 პასი), გასოლი (14+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**მაიამი-ჰიუსტონი 114:108**

32:30, 31:26, 26:27, 25:25

**მ:** ჯეიმსი (32+6 მოხსნა+5 პასი), უეიდი (31+5 მოხსნა+8 პასი+4 ჩაჭრა), ბატიე (12), კოული (10), ჰასლემი (9+13 მოხსნა).

**ჰ:** ჰარდენი (36+12 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), აშიქი (15+14 მოხსნა), პატერსონი (15), პარსონსი (13), ლინი (13).

**დეტროიტი-ბრუკლინი 90:93**

24:23, 22:17, 27:29, 17:24

**დ:** მონრო (23+10 მოხსნა), ბაინუმი (13+7 პასი), სინგლერი (12+5 მოხსნა), ნაითი (12).

**ბ:** ლოპესი (17+9 მოხსნა), ჯონსონი (16), უოლასი (14), უილიამსი (12+9 პასი), ევანსი (10+14 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ფინიქსი 93:84**

26:27, 28:26, 24:18, 15:13

**ნ-ო:** ვასკესი (19+12 პასი+4 ჩაჭრა), ამინუ (16+11 მოხსნა), ანდერსონი (14), ლოპესი (11+8 მოხსნა).

**ფ:** გორტატი (14+7 მოხსნა), დადლი (14+6 მოხსნა), დრაგიჩი (13+6 პასი), ბიზლი (11+5 მოხსნა), სკოლა (11).

**ოკლაჰომა-გ სტეიტი 119:98**

34:22, 33:27, 23:30, 29:19

**ო:** დურანტი (25+7 მოხსნა), უესტბრუკი (22+5 პასი+4 ჩაჭრა), მარტინი (21), იბაკა (15+9 მოხსნა+6 დაფარება), ჯექსონი (12+6 პასი), პერკინსი (6+11 მოხსნა).

**გ-ს:** ჰ. ბარნსი (19), ტომპსონი (19), კარი (14+8 მოხსნა+11 პასი), ლი (12+11 მოხსნა+6 პასი), ბეზემორი (11).

**დალასი-პორტლენდი 105:99**

27:33, 30:28, 23:21, 25:17

**დ:** მაიო (28+5 პასი), კარტერი (17), ნოვიცკი (16+8 მოხსნა), მერიონი (13+10 მოხსნა), ბრენდი (7+10 მოხსნა).

**პ:** ოლდრიჯი (27+10 მოხსნა), მეტიუზი (21), ლილარდი (19+6 პასი), ჰიქსონი (14+10 მოხსნა).

**მინესოტა-სან ანტონიო 94:104**

23:21, 18:26, 23:21, 30:36

**მ:** პეკოვიჩი (21+10 მოხსნა), უილიამსი (15+12 მოხსნა), ბარეა (15), რიდნური (10+5 მოხსნა), შელაბალი (10), რუბიო (9+11 პასი).

**ს-ა:** პარკერი (31+5 მოხსნა+8 პასი), გრინი (28), ლეონარდი (19+10 მოხსნა), სპლიტერი (12+7 მოხსნა).

**იუტა-მილუოკი 100:86**

19:25, 32:18, 26:19, 23:24

**ი:** ჯეფერსონი (19+11 მოხსნა), მილსეპი (19+6 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება), კანტერი (17+9 მოხსნა+5 დაფარება), ფოიე (12), კეროლი (11), ფეივორსი (9+11 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება).

**მ:** ჯენინგსი (17+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), ილიასოვა (17), ელისი (13+5 პასი), დალემბერი (10+11 მოხსნა+4 ჩაჭრა+4 დაფარება), დანლივი (10).

### ამბები

## გასოლი: ერთი თვე თამაშგარეთ

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ფორვარდი **პაუ გასოლი** ოთხი-ექვსი კვირა ვერ დაეხმარება თავის გუნდს, - იტყობინება ESPN. ესპანელმა კალათბურთელმა „ბრუკლინთან" მატჩში მიიღო ტრავმა. როგორც თამაშის შემდეგ სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, გასოლმა მარჯვენა ტერფის ტრავმა გაიმიზეზა და მინიმუმ ერთი თვე ვერ დაეხმარება თავის გუნდს. როგორც კალათბურთელი ამბობს, ის დაახლოებით ორი თვე გრძნობდა ტკივილს ფეხის არეში.

მიმდინარე სეზონში ფორვარდი საშუალოდ მატჩში 13.4 ქულასა და 8 მოხსნას აგროვებს.

## რიჩარდსონმა სეზონი დაასრულა

„ფილადელფია სიქსერზის" შემტევი მცველი **ჯეისონ რიჩარდსონი** ექვსიდან ცხრა თვემდე გამოტოვებს მარცხენა მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო. 32 წლის კალათბურთელი იძულებული გახდა ქირურგიული ჩარევისთვის მიემართა დაზიანებული მყესის სამკურნალოდ.

ამ რეგულარულში რიჩარდსონის საშუალო სტატისტიკა 10.5 ქულასა და 3.8 მოხსნას შეადგენს.

## სპურსი ჯეფერსონს უმიზნებს

როგორც ამერიკული პრესა წერს, „სან ანტონიო სპურსი" ფავორიტია „იუტა ჯაზის" ცენტრის, **ელ ჯეფერსონის** ხელში ჩასაგდებად.

იტყობინებიან, რომ ამ გარიგების განხორციელებას, შესაძლოა, ხელი შეუწყოს კლუბებს შორის კარგმა დამოკიდებულებამ. გასული წლის აგვისტოში „ჯაზის" გენერალური მენეჯერი გახდა **დენის ლინდსეი**, რომელიც 2007 წლიდან „სპურსის" ოფისში მუშაობდა.

ჯეფერსონის სანაცვლოდ „იუტამ" შეიძლება მიიღოს გამთამაშებლები **პატრიკ მილსი** ან **ნანდო დე კოლო**, აგრეთვე ფორვარდი **სტივენ ჯექსონი** და ცენტრი **ტიაგო სპლიტერი**.

## საუკეთესო ახალბედა ვალანჩუნასია

„ტორონტო რეპტორზის" ცენტრი **იონას ვალანჩუნასი** ექსპერტებისა და გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგად ზედიზედ მეორედ გახდა ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელი. შეგახსენებთ, რომ 20 წლის ლიტველი გასული წლის ზაფხულში გადაბარგდა NBA-ში, მანამდე კი ევროლიგის „ამომავალი ვარსკვლავის" პრიზი მიიღო.

გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა ხორვატმა **დარიო გირიჩმა**, მესამეზე გავიდა ფრანგი **ლეო ვესტერმანი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ფორმულა 1

# მესამე დღე მასასი იყო


როსიტერის ინციდენტი

გუშინ, ხერესში ფორმულა 1-ის წინასასეზონო ტესტები გაგრძელდა. მაგრამ, სანამ მესამე დღის შესახებ მოგიყვებოდეთ, მოკლედ მეორე დღის შედეგებზე ვთქვათ. საუკეთესო დრო „ლოტუსის" პილოტმა **რომენ გროსჟანმა** აჩვენა, მაგრამ მთავარი ის იყო, რაც „მერსედესის" ახალწვეულ **ლუის ჰემილტონს** შეემთხვა. ბრიტანელი პირველად იჯდა გერმანული საჯინიბოს ბოლიდის საჭესთან და მხოლოდ 15 წრის გავლა მოასწრო. ლუისი ერთ-ერთ მოსახვევში ვერ შევიდა და საათში 275 კილომეტრი სიჩქარით შეეჯახა უსაფრთხოების კედელს.

„მერსედესისთვის" ტესტების პირველი ორი დღე ცუდად განვითარდა. პირველ დღეს **ნიკო როსბერგმა** მხოლოდ 13 წრე გაიარა და შეწყვიტა ვარჯიში ტექნიკური პრობლემების გარეშე, ახლა კი ავარია შეემთხვა მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონს.

■ ■ ■

ტესტების მესამე დღეს, გუნდების უმეტესობაში პილოტები შეიცვალნენ, მხოლოდ „ფერარის" ბოლიდის საჭესთან დარჩა **ფელიპე მასა**, „ფორს ინდიაში" კი დღე გაინაწილეს **ჯეიმს როსიტერმა** და **პოლ დი რესტამ**.

გუნდების ნაწილმა დილიდან აქცენტი გააკეთა წრეების გრძელ სერიაზე, სხვები აეროდინამიკურ ტესტებზე მუშაობდნენ. ისინი პილოტს ფიქსირებული სიჩქარით მოკლე წრეზე უშვებდნენ. ეს ცალკეული ტექნიკური გადაწყვეტილებებისა და მახასიათებლების ეფექტურობის შესამოწმებლად ხდებოდა.

დილით, „ფორს ინდიას" ბოქსებში პატარა ინციდენტი მოხდა - როსიტერმა პიტ-ლეინზე დამუხრუჭება დააგვიანა და ერთ-ერთ მექანიკოსს დაეჯახა. საბედნიეროდ, დაზარალებული მცირე დაზიანებებით გადარჩა. ბოლიდის პოლ დი რესტასთვის გადაცემის შემდეგ, ჯეიმსმა თავის „ტვიტერზე" დაწერა: *„მოხარული ვარ, რომ ჩემს მექანიკოსს ყველაფერი წესრიგში აქვს - რამდენიმე სისხლჩაქცევა და მეტი არაფერი. როგორც ჩანს, დღეს ლუდის ფულს მე ვიხდი".*

სესიის დაწყებიდან დაახლოებით საათ-ნახევარში პილოტებს ბოქსებში დაბრუნებამ მოუწიათ წითელი დროშების გამოფენის გამო - **შარლ პიკი** გაჩერდა ტრასაზე ტექნიკური პრობლემების მიზეზით. მოგვიანებით, პრობლემები შეექმნა **ჟან-ერიკ ვერნს** პიტ-ლეინზე შესვლისას და ტესტები ისევ შეწყდა, ხოლო სესიის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, **ჯენსონ ბატონმა** გააჩერა მანქანა. ასე რომ, გუშინდელი დღე გამოფენილი წითელი დროშებით დასრულდა.

„მერსედესში" სცადეს ფაქტობრივად დაკარგული პირველი ორი დღის კომპენსირება და ამჯერად, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ნიკო როსბერგმა გუშინ ყველაზე გრძელი დისტანცია გაიარა - 148 წრე.

გუშინდელ ოქმს სათავეში ჩაუდგა ფელიპე მასა. ჯერ კიდევ დილით მან საუკეთესო დრო აჩვენა Soft-ის საბურავებით და ეს შედეგი ვერავინ გააუმჯობესა. საინტერესოა, რომ ბრაზილიელის დრო საუკეთესოა მთლიანად სამი დღის შედეგების მიხედვით.

დღეს, გუნდები ბოლო სატესტო სერიას ჩაატარებენ ხერესის ავტოდრომზე.

**გუშინდელი შედეგები**

| | |
|---|---|
| 1. მასა (ფერარი) | 1:17.879 (85 წრე) |
| 2. როსბერგი (მერსედესი) | +0.887 (148) |
| 3. ფეტელი (რედ ბული) | +1.173 (102) |
| 4. რაიკონენი (ლოტუსი) | +1.321 (40) |
| 5. ვერნი (ტორო როსო) | +1.368 (85) |
| 6. როსიტერი (ფორს ინდია) | +1.424 (42) |
| 7. ბატონი (მაკლარენი) | +1.724 (83) |
| 8. გუტიერესი (ზაუბერი) | +2.055 (110) |
| 9. ჩილტონი (მარუსია) | +3.390 (78) |
| 10. ბოტასი (უილიამსი) | +3.696 (86) |
| 11. პიკი (კატერჰემი) | +4.473 (57) |
| 12. დი რესტა (ფორს ინდიან) | +5.850 (7) |

● ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# პირველი ოქრო ნორვეგიისაა


სვენდსენი ბოლო ეტაპზე

ჩეხეთის ქალაქ ნოვო მესტოში სტარტი აიღო ბიატლონის სეზონის მთავარმა სტარტმა - მსოფლიოს ჩემპიონატმა. მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდა შერეულ ესტაფეტაში, რომელშიც ერთად გამოდიან ქალი და მამაკაცი ბიატლონისტები. ამ სახეობაში მწვრთნელებს ხშირად გამოჰყავთ სპორტსმენები უახლოესი რეზერვიდან და ლიდერებს სხვა სტარტებისთვის უკეთ მომზადების საშუალებას აძლევენ. მაგრამ ამჯერად, სტარტზე ყველა საუკეთესო ვიხილეთ.

რბოლის წინ რთული იყო ფავორიტის დასახელება, სტარტის შემდეგ კი გამოიკვეთა ნორვეგიის უპირატესობა. ამ გუნდიდან პირველი გარბოდა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ბიატლონისტი **ტურა ბერგერი** და მან 6.5 კილომეტრის შემდეგ, თავის გუნდს 12-წამიანი უპირატესობა მოუტანა.

თუმცა, ამ უპირატესობისგან არაფერი დარჩა მეორე ეტაპის შემდეგ, როცა ნორვეგიელთა მეორე ნომერმა **სულემდალმა** ცუდად ისროლა და ესტაფეტის „ქალური" ნაწილი რუსების ლიდერობით დასრულდა.

დაიწყო მესამე ეტაპი და აქ უკვე ფრანგებმა მოახერხეს წინ გაჭრა - ამ გუნდის მესამე ნომერმა **ბიოფმა** გარკვეული ჰანდიკაპი შეუქმნა გუნდის ლიდერ **ფურკადს**, თუმცა ახლოს იყვნენ ნორვეგიელი **სვენდსენი** და რუსი **მალიშკო**. თითქოს მათ უნდა გაეთამაშებინათ მედლები, მაგრამ რუსებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა რიგით მეშვიდე სასროლეთი, როცა მალიშკომ ერთი სამიზნე ვერ დახურა და საჯარიმო წრის გავლამ მოუწია. რუსეთმა მედლების შანსი დაკარგა და ამით ჩეხეთმა ისარგებლა, რომელმაც ბრინჯაო მოიგო.

ოქროს მედლისთვის იბრძოლეს სვენდსენმა და ფურკადმა. ბოლო სროლის შემდეგ, ნორვეგიელს მცირე უპირატესობა გააჩნდა და ფრანგმა მისი დაწევა ველარ შეძლო.

საინტერესოა, რომ ექვსეულში ვერ მოხვდა ერთ-ერთი ფავორიტი - გერმანიის ნაკრები.

**შერეული ესტაფეტა**

1. **ნორვეგია** (ბერგერი, სულემდალი, ბიო, სვენდსენი) - 1:12.04,9; 2. **საფრანგეთი** (ბრიუნე, დორნე-აბერი, ბიოფი; მ. ფურკადი) - + 20.0; 3. **ჩეხეთი** (ვიტკოვა, სოუკალოვა, სოუკული, მორავეცი) - +32.3; 4. **იტალია** - +58.4; 5. **სლოვენია** - +1:07.1; 6. **რუსეთი** - +1:26.5...

● კრივი

# კლიჩკოს იტალიელი უპოვეს

რვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, ფილიპინელი **მენი პაკიაოს** ადვოკატმა **ფრანკლინ გაკალმა** განაცხადა, რომ ისინი არ გამოედევნებიან **ხუან მანუელ მარკესს** მეხუთე ბრძოლის ორგანიზებისთვის. უფრო ადრე მექსიკელმა განაცხადა, რომ ფილიპინელის არაფერი მართებს და ვერ ხედავს კიდევ ერთი ბრძოლის ჩატარების აზრს.

მარკესის საბოლოო უარის შემთხვევაში, პაკიაოს გუნდი მოლაპარაკებებს დაიწყებს ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერთან**.

■ ■ ■

სუპერმძიმე წონით კატეგორიაში ოთხი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** შემდეგ შეხვედრას გერმანიაში მცხოვრები იტალიელის **ფრანჩესკო პიანეტას** წინააღმდეგ გამართავს. ჯერჯერობით, ეს ინფორმაცია დადასტურებული არ არის, ისევე როგორც, სავარაუდო თარიღი - 6 აპრილი.

28 წლის პიანეტას (28-0-1, 15 ნოკაუტით) კანდიდატურა იმით არის მომხიბვლელი, რომ მას კარგად იცნობს გერმანული პუბლიკა. ამიტომაც, ტელეარხმა RTL-მა, რომელთანაც კლიჩკოს კონტრაქტი აქვს გაფორმებული, იტალიელი პოტენციურ მეტოქედ გამოაცხადა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| რაპიდი-ლეხი | 3:1 |
| დაუგავა-ლევადია | 2:0 |
| აგფ ორჰუსი-სილკებორგი | 2:4 |
| ვესტსიელანდი-რანდერსი | 1:0 |
| ოცელული-ლუდოგორეცი | 1:0 |
| ლილესტრიომი-ჰაკენი | 3:2 |
| ლოკომოტივი (პ)-ფრედრიკსტადი | 1:0 |
| სელიკი-სპარტაკი (ზ) | 1:3 |
| სტიაუა-სლოვანი | 3:1 |
| შემროკი-ლონგფორდი | 3:1 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| სენტრალ კოუსტი-ველინგტონი | 5:0 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-იკაროსი | 85:63 |

**ესპანეთის თასი**

| | |
|---|---|
| რეალი-ბარსელონა | 108:111 (ო) |

**გერმანიის თასი**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ბაიერნი | 69:77 |

**იტალიის თასი**

| | |
|---|---|
| კანტუ-რომა | 85:89 |
| მილანი-ვარეზე | 74:92 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ბანვითი-ჰაჩეთეფე | 77:63 |
| ეფესი-გალათასარაი | 64:72 |

[illegible]

| | |
|---|---|
| შვედეთი-ჩეხეთი | 0:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მონპელიე**

| | |
|---|---|
| ტროიცკი-ჰაიეკი | 0:6, 2:6 |
| სიმონი-ბრუგეს დავი | 7:6, 6:2 |
| სტახოვსკი-იტო | 6:7, 6:4, 7:6 |
| ტიპსარევიჩი-ლოდრა | 3:6, 6:7 |
| გასკე-მონფილსი | 6:3, 2:6, 6:3 |
| ბენეტო-ჰანესკუ | 6:4, 6:4 |

**ATP. ვინა დე მარი**

| | |
|---|---|
| რობრედო-ლორენცი | 4:6, 4:6 |
| სებალიოსი-ანდუხარი | 6:3, 6:3 |
| რამოსი-ვოლანდრი | 6:7, 6:3, 7:5 |
| მონტანიესი-ხიმენო ტრავერო | 4:6, 4:6 |

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| ჰაასე-კლიჟანი | 6:2, 4:6, 6:4 |
| დევარმანი-მელცერი | 6:1, 6:7, 2:6 |
| ბაღდატისი-კავჩიჩი | 6:3, 6:7, 4:6 |
| ჩიპოლა-როსოლი | 4:6, 6:2, 3:6 |
| პეტცშნერი-სეპი | 6:3, 6:4 |
| ჩილიჩი-ჟემლია | 6:2, 6:3 |
| დოდიგი-კარლოვიჩი | 7:6, 6:7, 6:3 |

● TV პროგრამა

**8 თებერვალი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. ბოტაფოგო-კორინთიანსი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ვერდერი-ჰანოვერი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური. ტვენტე-უტრეხტი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ნიუკასლი-ჩელსი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. პალმეირასი-სოროკაბა.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
23:00 არგენტინის ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი - ბოკა ხუნიორსი.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-დენ ჰააგი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ლეიკერსი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულემი-მანჩესტერ იუნ.
17:00 კალათბურთი. NBA. ლეგენდარული მატჩები. ბოსტონი- დეტროიტი. 1987 წელი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ფილადელფია სიქსერზი. 1982-83 წლები.
21:30 NBA ACTION.
22:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ლეიკერსი.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.
12:45 სპორტ-NEWS.
13:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჩეხოვსკიე მედვედი-ჰამბურგი.
15:15 საჩოგბურთო მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
22:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 13 | (მზე) |
| ქუთაისი | 10 | 19 | (მზე) |
| ბათუმი | 10 | 20 | (მზე) |
| ფოთი | 9 | 22 | (მზე) |
| ზუგდიდი | 5 | 21 | (მზე) |
| გორი | 0 | 16 | (მზე) |
| თელავი | 3 | 12 | (მზე) |
| სიღნაღი | 2 | 11 | (მზე) |
| გუდაური | -7 | 5 | (მზე) |
| ბაკურიანი | -4 | 10 | (მზე) |
| ბორჯომი | -2 | 13 | (მზე) |
| მესტია | -5 | 13 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2417 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6565 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5946 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5291 |



# ჩემი დარბაზი შენსას ჯობია

ამერიკულ გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში“ გამოქვეყნდა ფოტორეპორტაჟი სახელწოდებით „შევიხედოთ „ფილიპს არენაში“. ეს გახლავთ დიდი კომპლექსი, სადაც ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსი“ საშინაო მატჩებს ატარებს.

ფოტოებს ვათვალიერებდი, როცა მეგობარი კოლეგა მომიახლოვდა, კომპიუტერის მონიტორს დააკვირდა და მკითხა: „სპორტის სასახლეა?“

სწორედ მაშინ დაიბადა დღევანდელი „ტაიმლაინის“ თემის იდეა. ვითომ, „ფილიპს არენა“ უფრო გრანდიოზულია? ვითომ, ის უფრო ლამაზია? ვითომ, ამ არენებს შორის სხვაობა ქართული ფილმის ერთ-ერთ გმირს გაგვახსენებს, რომელსაც ეუბნებიან - სად თქვენ, სად ჩვენო?!

იმდენი კითხვის დასმა შეიძლება, რამდენი კილომეტრიცაა თბილისსა და ატლანტას შორის, მაგრამ ჩვენ პასუხი გვაინტერესებს. საამისოდ კი აუცილებელია სწორედ იმავე გზით შევათვალიეროთ სპორტის სასახლე, როგორითაც „ატლანტა კონსტიტუშენის“ ფოტორეპორტიორმა.

ოთხშაბათს, სუპერლიგის მატჩების მსვლელობისას, ჩვენს ფოტოგრაფ თამუნა ყულუმბეგაშვილთან ერთად სპორტის სასახლის ინტერიერი დეტალურად დავათვალიერე. რა გამოვიდა, ამ გვერდზე ხედავთ.

## არენა

ვერ ვიტყვით, რომ თბილისის დარბაზი ატლანტისაზე ნაკლებად გრანდიოზულია. „ფილიპს არენა“ უფრო ეფექტური შეიძლება იმიტომ მოჩანს, რომ ხალხითაა გავსებული და სხვა ატმოსფერო იგრძნობა. ასეთი გარემო საქართველოში მხოლოდ სანაკრებო თამაშების დროსაა, - წელიწადში მაქსიმუმ ოთხჯერ.

სპორტის სასახლის არენის ეს ფოტო კი სუპერლიგის მატჩის მსვლელობისას არის გადაღებული.





## ტაქტიკა

ტაქტიკის გარჩევისთვის ატლანტაში სპეციალური ოთახია გამოყოფილი ჩამონტაჟებული მონიტორებითა და დაფებით.
...აი, დაფა ჩვენც გვაქვს.





## გასახდელი

დროა გასახდელშიც შევიხედოთ. შეიძლება, მცირე სხვაობა არის, „ფილიპს არენა“ მაინც ერთი კლუბის კუთვნილებაა და იატაკსაც ლამაზად გართხმია ქორი, მაგრამ სპორტის სასახლის გასახდელიც არ არის ბედენა, ნამდვილად მოგეწონებათ. ერთი ნიუანსია მხოლოდ: შეიძლებოდა კალათბურთელთა გვარების ნაბეჭდი შრიფტით დაწერა (ხელით გამოჩუქურთმებული ასოების ნაცვლად).





## ისტორია

თუ ამერიკელ ჯორჯიელებს (ატლანტა ჯორჯიის შტატის დედაქალაქია) ჰყავთ ლეგენდები, არც ჩვენ განვიცდით მათ ნაკლებობას.





## დიდების დარბაზი

„ფილიპს არენის“ კედლებს ბრძნული ფრაზები ამშვენებს. მაგალითად, ეს: „კარგი კალათბურთელები დიდებულ თამაშებს გვიჩვენებენ, დიდი კალათბურთელები ყველა მატჩს დიდებულად ატარებენ“.

ზაზა ფაჩულიამ უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართულ კალათბურთში და სულაც არ არის საჭირო სიბრძნის დაფაზე გადატანა, სპორტის სასახლეში მისი მაისურის ხილვაც საკმარისია იმისთვის, რომ ახალგაზრდამ წარმოიდგინოს როგორი უნდა იყოს დიდი კალათბურთელი.







## პრესა

სპორტის სასახლის პრესლოჟაში სამუშაო პირობებს ნამდვილად არ ვუჩივით, მაგრამ როცა დღეში სამი, ზოგჯერ ხუთი მატჩის ხილვა გიწევს, ბუნებრივი მოთხოვნილებაც ჩნდება - კვება. ერთ ფოტოზე „ფილიპს არენაზე“ მასმედიის კვებისთვის გამოყოფილი ოთახია, მეორეზე - რამდენიმე ქართველი ჟურნალისტის საყვარელი ადგილი, სადაც გემრიელ თონის პურს აცხობენ. რომელია ატლანტური და რომელი ქართული ფოტო, თავადაც გაარჩევთ.





## ექსტერიერი

დაგვეთანხმებით, გარედან ორივე შენობა კარგი სანახავია. მეტი ორიგინალურობა ამერიკელებს გამოუჩენიათ, რომლებსაც სვეტები ისე მოუწყვიათ, რომ ლათინური ასოებით „ატლანტა“ იკითხება.

...კიდევ კარგი, ასეთი ორიგინალური აზრი 1961 წელს სპორტის სასახლის მშენებლებს არ გაუჩნდათ, თორემ, სვეტებში შესაძლოა მაშინდელი ლოზუნგი ამოგვეკითხა: „დიდება ლენინს“, ან...





დასკვნის სახით შეიძლება დაიწეროს: სპორტის სასახლე ნამდვილად ცოდვაა მოცდენისთვის, მასში NBA-ის გუნდი ვერა, მაგრამ ევროლიგის დონის კლუბი მაინც უნდა ბუდობდეს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ISSN 2233-3827
9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608